საკლასო დავალებები, დემონსტრაციები და თამაშები

ჩარლზ ა. სთალი
კალამაზუს უნივერსიტეტი

ეკონომიკის პრინციპები

ნ. გრეგორი მენქიუ
ჰარვარდის უნივერსიტეტი

ჩარლზ ა. სთალი
საკლასო დავალებები, დემონსტრაციები და თამაშები
მასწავლებლის წიგნი გრეგორი მენქიუს სახელმძღვანელოსთვის
"ეკონომიკის პრინციპები"

წიგნი გამოიცა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საკითხთა ბიუროსა და ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით

მთარგმნელი
ნოდარ მანჩხაშვილი

სამეცნიერო რედაქტორი
ანა ახვლედიანი

რედაქტორი
ანა ჭაბაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება
გიორგი ტაბლიაშვილი

COPYRIGHT © 1998 BY HARCOURT BRACE & COMPANY
საავტორო უფლება თარგმანზე © 2002 გამომცემლობა "დიოგენე"
ყველა უფლება დაცულია

პირველი ქართული გამოცემა 2002
ISBN 99928-994-3-3

გამომცემლობა "დიოგენე"
თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 97
ტელეფონი 95 63 94, ტელ./ფაქსი 96 79 71
ელფოსტა diogene@ip.osgf.ge

ან წიგნის დაწერას ჩემს კოლეგებს, სტუდენტებს, მეგობრებსა და მასწავლებლებს უნდა ვუმადლოდე. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ლოურენს ს. გეტცლერს (ვირჯინიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი), რომელმაც მომანოდა "გამაგრილებელი სასმელი და შემცვლელები" (4.4).

მადლობას ვუხდი, აგრეთვე, ყველა იმ ეკონომისტს, რომელთაც გაგვიზიარეს თავიანთი მეთოდები რალფ ბირნსისა და ჯერალდ სთოუნს მიერ რედაქტირებული "ეკონომიკის სწავლების დიადი იდეების" მე-2 გამოცემაში. განსაკუთრებით მადლობელი ვარ იმ ეკონომისტებისა, რომელთა იდეებიც საფუძვლად დაედო ამ წიგნში მოცემულ დავალებებსა და თამაშებს: რეგან უაითუორთს (2.2. რეალიზმი და მოდელები), ნ.ჯ. ო'ნეილს (24.1. უნიფერსალური დუბლიკატორი), ქევინ ც. ქელის (27.3. რას გვასწავლის დოლარი?) უილიამ სმითს (13.3. საშუალო და ზღვრული ნიშნები), დერილ გრუეერს (13.1. ბრინჯის მოყვანა საკლასო დაფაზე), სთივენ თ. ქოლს (14.2. მომგებიანი შესაძლებლობა), ედვარდ ფეიგერლუნდს (16.1. სამკერდე ნიშნების ოთხი ბაზარი), გ. შერსა და ს. გუფთას (17.1. სავაჭრო ნიშნები).

მადლობა ანიტა მ. ფელონს "დრაიდენ პრესიდან" ამ წიგნის რედაქტირებისა და ზედამხედველობისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი სიუზენ პოზოს (დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტი) და ბილ ბოსჰართს (ფლორიდის ატლანტიკის უნივერსიტეტი) რჩევებისა და თანადგომისთვის.

ბოლოს კი, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სტუდენტებს კალამაზუს კოლეჯიდან, მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტიდან, კელოგის კოლეჯიდან და ჰობართისა და უილიამ სმითის კოლეჯიდან, რომლებმაც წიგნში მოცემული თითოეული დავალების თავდაპირველი ვერსიები დაამუშავეს.

ჩაქ სთალი
მაისი, 1977

საკლასო დავალებები, დემონსტრაციები და თამაშები *"ეკონომიკის პრინციპებისთვის"*

I. შესავალი
1. ეკონომიკის ათი პრინციპი
   1.1. ვეცნობით მსოფლიო ეკონომიკას
2. ეკონომიკური აზროვნება
   2.1. ფორთოხლის კოქტეილი და "სისხლიანი მერი"
   2.2. რეალიზმი და მოდელები: ანალოგია
3. ურთიერთდამოკიდებულება და ვაჭრობიდან მიღებული სარგებლობა
   3.1. ხანმოკლე მოგზაურობა მრავალი მონანილით

II. მიწოდება და მოთხოვნა I: როგორ მუშაობს ბაზარი
4. მიწოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალები
   4.1. ბაზრის მაგალითი
   4.2. სტატია მიწოდებასა და მოთხოვნაზე
   4.3. ავტომობილების სადგომი სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში
   4.4. გამაგრილებელი სასმელი
5. ელასტიურობა და მისი გამოყენება
   5.1. რატომ ხტის ბურთი
   5.2. ელასტიურობათა სახეობები
6. მიწოდება, მოთხოვნა და სამთავრობო პოლიტიკა
   6.1. იხვები მწკრივში

III. მიწოდება და მოთხოვნა II: ბაზრები და კეთლდღეობა
7. მომხმარებლები, მწარმოებლები და ბაზრების ეფექტიანობა
   7.1. დროის მანქანის ღირებულება
8. თეორიის პრაქტიკული გამოყენება: დაბეგვრის დანახარჯები
9. თეორიის პრაქტიკული გამოყენება: საერთაშორისო ვაჭრობა
   9.1. თავისუფალი ვაჭრობა თუ ვაჭრობის შეზღუდვა?

IV. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა
10. გარეგანი ეფექტები
    10.1. გრეგანი ეფექტები მდინარის მაგალითზე
    10.2. კარგი სიგარა ყველას მოსწონს
11. საზოგადოებრივი საქონელი და საერთო რესურსები
    11.1. კერძო საქონელი / საზოგადოებრივი საქონელი: დემონსტრაცია
    11.2. უკანონო გაცვლები
12. საგადასახადო სისტემა
    12.1. ერთგვაროვანი გადასახადი?
    12.2. "ანბანის სუპი": მთავრობის როლი
    12.3. სტატია მთავრობის როლის შესახებ

V. ფირმის ქცევა და დარგის ორგანიზება
13. წარმოების დანახარჯები
13.1. ბრინჯის მოყვანა საკლასო დაფაზე
13.2. ინტენსიური წარმოება
13.3. საშუალო და ზღვრული ნიშნები
14. ფირმები კონკურენტულ ბაზრებზე
14.1. დაეფიქრდეთ ფირმის შესახებ
14.2. მომგებიანი შესაძლებლობა?
15. მონოპოლია
15.1. ფასისმიერი დისკრიმინაცია და დროში მოგზაურობა
16. ოლიგოპოლია
16.1. სამკერდე ნიშნების ოთხი ბაზარი
16.2. სტატია ბაზრის სტრუქტურის შესახებ
17. მონოპოლისტური კონკურენცია
17.1. სავაჭრო მარკები
17.2. ლურჯი ჯინსის შარვლის წონასწორული ფასი

VI. შრომის ბაზრების ეკონომიკა
18. წარმოების ფაქტორთა ბაზრები
19. ხელფასები და დისკრიმინაცია
19.1. თანაბარი შემოსავალი
20. შემოსავლების განაწილება
20.1. რა გჭირდებათ ცხოვრების მინიმალური დონის შესანარჩუნებლად?
20.2. ღარიბის პორტრეტი

VII. ეკონომიკის შესწავლის შემდგომი ეტაპი
21. მომხმარებლის არჩევანის თეორია
21.1. სარგებლიანობის საზომი
21.2. ყოველთვის ვერ მიიღებთ იმას, რაც გსურთ
21.3. მოიმოქმედე რაიმე ახალი

VIII. მაკროეკონომიკური მაჩვენებლები
22. ეროვნული შემოსავლის გამოთვლა
22.1. ეროვნული შემოსავალი და კეთილდღეობა
23. ცხოვრების ღირებულების გამოთვლა
23.1. სტუდენტური ფასების ინდექსის შექმნა
23.2. მონაცემებზე ნადირობა

IX. რეალური ეკონომიკა გრძელვადიან პერიოდში
24. წარმოება და ეკონომიკური ზრდა
24.1. უნივერსალური დუბლიკატორი
25. დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა
25.1. პორტფელის შედგენა
26. უმუშევრობის ბუნებრივი დონე
26.1. ვინ არის უმუშევარი?

X. ფული და ფასები გრძელვადიან პერიოდში
27. მონეტარული სისტემა
27.1. ოქრო და რაინდები
27.2. ფულის შექმნა
27.3. რას გვასწავლის დოლარი?
28. ინფლაცია: მისი მიზეზები და დანახარჯები
28.1. ინფლაციის ფერია
28.2. სტუდენტური ფასების ინდექსის ცვლილება
28.3. ფასები და დრო

XI. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა

29. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა: ძირითადი ცნებები
    - 29.1. ლუდის საერთაშორისო მოხმარება
    - 29.2. მომგებიანი შესაძლებლობა
    - 29.3. სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ფასების შედარება
30. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკური თეორია

XII. მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკური რყევები

31. ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება
32. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე
33. მოკლევადიანი პერიოდის ალტერნატივა ინფლაციისა და უმუშევრობას შორის

XIII. შემაჯამებელი ფიქრები

34. მაკროეკონომიკური პოლიტიკის გარშემო გამართული დებატების ხუთი მაგალითი

საკლასო დავალებები, დემონსტრაციები და თამაშები "ეკონომიკის პრინციპებისთვის"

დეტალური საძიებელი

ნაწილი I — შესავალი

1.1. ვეცნობით მსოფლიო ეკონომიკას: ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტები გაეცნობიან სპეციალიზაციისა და შრომის დანაწილების მასშტაბებს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში.

თემები:	სპეციალიზაცია, ურთიერთდამოკიდებულება, კერძოინტერესი, მომხმარებლის არჩევანი, საერთაშორისოკავშირები
სახელმძღვანელო:	თავი 1. ეკონომიკის ათი პრინციპი, თავი 3. ურთიერთდამოკიდებულება და ვაჭრობიდან მიღებული სარგებლობა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

2.1. ფორთოხლის კოქტეილი და "სისხლიანი მერი": მეცადინეობას ვიწყებთ გრაფიკული სავარჯიშოთი, შემდეგ კი ვეცნობით შეზღუდულობის, ალტერნატიული ღირებულებისა და არჩევანის კონცეფციებს.

თემები:	გრაფიკები, ალტერნატიული ღირებულება, არჩევანი
სახელმძღვანელო:	თავი 2. ეკონომიკური აზროვნება
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

2.2. რეალიზმი და მოდელები: ანალოგია: ეს სწრაფი დემონსტრაცია მარტივი მოდელების მნიშვნელობას გვიჩვენებს.

თემა:	მოდელები
სახელმძღვანელო:	თავი 2. ეკონომიკური აზროვნება
დამატებითი მასალა:	თვითმფრინავის მოდელი, ქაღალდის ფურცელი, სათამაშო ვერტმფრენი (სპეციალურ ღერძზე დამაგრებული ხის ნაჭერი, რომელიც ღერძის დატრიალების შედეგად ზემოთ მიფრინავს)
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

3.1. ხანმოკლე მოგზაურობა მრავალი მონაწილით: ეს საკლასო დავალება გვიჩვენებს სპეციალიზაციისა და შრომის დანაწილების მასშტაბებს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში.

თემა:	სპეციალიზაცია, ურთიერთდამოკიდებულება, კერძო ინტერესი, საერთაშორისო კავშირები, მთავრობის როლი
სახელმძღვანელო:	თავი 3. ურთიერთდამოკიდებულება და ვაჭრობიდან მიღებული სარგებლობა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

4.1. ბაზრის მაგალითი: ნამცხვრების კლასში გაყიდვა გვიჩვენებს შეზღუდულ საქონელზე ფასის დანესების პროცესს.

თემები:	ინდივიდუალური მოთხოვნა, საბაზრო მოთხოვნა, წონასწორული ფასი, განაწილება
სახელმძღვანელო:	თავი 4. მიწოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალები
დამატებითი მასალა:	15 ნამცხვარი, 5 მოხალისე
მეცადინეობის დრო:	35 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	მინიმუმ 15 სტუდენტი

4.2. სტატია მიწოდებასა და მოთხოვნაზე: ამ საშინაო დავალების ფარგლებში სტუდენტებმა უნდა გაიხსენონ საბაზრო წონასწორობის ცვლილების უახლესი მაგალითი.

თემები:	მოთხოვნისა და მიწოდების მრუდების გადაადგილებები, წონასწორობის ცვლილება
სახელმძღვანელო:	თავი 4. მიწოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალები
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

4.3. ავტომობილების სადგომი სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში: ეს საკლასო დავალება სტიმულს აძლევს საუბარს ფასდადების, როგორც შეზღუდული საქონლის განაწილების ერთ-ერთი საშუალების შესახებ.

თემები:	მოთხოვნა, მიწოდება, უწონასწორობა, დეფიციტი, საქონლის განაწილება
სახელმძღვანელო:	თავი 4. მიწოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალები
დამატებითი მასალა:	სტუდენტების ავტომობილების დასაყენებელი ადგილების დეფიციტი საერთო საცხოვრებელში
მეცადინეობის დრო:	35 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერისიდიდის კლასი, სადაც არსებობს ავტომობილის დასაყენებელი ადგილების პრობლემა

4.4. გამაგრილებელი სასმელი: ამ საკლასო დავალებით ნაჩვენები იქნება, თუ როგორ იგება საბაზრო მოთხოვნის მრუდი და როგორ გადააადგილებს მას შემცვლელები.

თემები:	მოთხოვნა, შემცვლელები და ცვალებადი მოთხოვნა
სახელმძღვანელო:	თავი 4. მიწოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალები
დამატებითი მასალა:	მასწავლებლის ასისტენტი გამოკითხვის შედეგების დასათვლელად
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	დიდი კლასი

5.1. რატომ ხტის ბურთი: სწრაფი დემონსტრაციის დახმარებით ვეცნობით ელასტიურობის, როგორც რეაგირების, იდეას.

თემები:	ელასტიური და არაელასტიური
სახელმძღვანელო:	თავი 5. ელასტიურობა და მისი გამოყენება
დამატებითი მასალა:	ერთი რეზინის ბურთი და ერთი "მკვდარი" ბურთი. მკვდარი ბურთი არადრეკადი მასალისგანაა დამზადებული და არ ხტის.
მეცადინეობის დრო:	1 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

5.2. ელასტიურობათა სახეობები: ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტები განიხილავენ ელასტიურობის დეტერმინანტებს.

თემები:	ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობის დეტერმინანტები
სახელმძღვანელო:	თავი 5. ელასტიურობა და მისი გამოყენება
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

6.1. იხვები მწკრივში: ეს საკლასო დემონსტრაცია ნათელს ხდის ბაზრების ფუნქციონირებაში ჩარევის პრობლემებს.

თემები:	ფასის ზედა ზღვარი, სუბსიდიები და დაუგეგმავი შედეგები
სახელმძღვანელო:	თავი 6. მინოდება, მოთხოვნა და სამთავრობო პოლიტიკა
დამატებითი მასალა:	ორი სათამაშო იხვი, სათამაშო ფული, 3 მოხალისე
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

ნაწილი III — მიწოდება და მოთხოვნა II: ბაზრები და კეთილდღეობა

7.1. დროის მანქანის ღირებულება: ამ საკლასო თამაშისას სტუდენტები წარმოსახვითი გამოგონების შედეგად მიღებულ სამომხმარებლო დანაზოგს შეაფასებენ.

თემები:	სამომხმარებლო დანაზოგი
სახელმძღვანელო:	თავი 7. მომხმარებლები, მწარმოებლები და ბაზრების ეფექტიანობა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

9.1. თავისუფალი ვაჭრობა თუ ვაჭრობის შეზღუდვა? რეზინის ძაფის მაგალითი: ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტები თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებული დებატების რამდენიმე ასპექტს გაეცნობიან.

თემები:	პროტექციონიზმის შედეგები, თავისუფალი ვაჭრობა
სახელმძღვანელო:	თავი 9. საერთაშორისო ვაჭრობა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	60 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

ნაწილი IV — საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა

10.1. გარეგანი ეფექტები მდინარის მაგალითზე: ამ საკლასო თამაშის დროს სტუდენტები გაეცნობიან გარეგან ეფექტებს და მათ ზემოქმედებას ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე.

თემები:	უარყოფითი გარეგანი ეფექტები
სახელმძღვანელო:	თავი 10. გარეგანი ეფექტები
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

10.2. კარგი სიგარა ყველას მოსწონს: ეს სწრაფი დემონსტრაცია უჩვენებს, რატომ გასხვავდება კერძო და სოციალური დანახარჯები.

თემები:	უარყოფითი გარეგანი ეფექტები
სახელმძღვანელო:	თავი 10. გარეგანი ეფექტები
დამატებითი მასალა:	სიგარა (და სანთებელა)
მეცადინეობის დრო:	3 წუთი

სტუდენტების რაოდენობა:	50 ან ნაკლები

11.1. კერძო საქონელი/საზოგადოებრივი საქონელი: ამ დემონსტრაციის შედეგად სტუდენტები გაეცნობიან მახასიათებლებს, რომლებიც განასხვავებს კერძო საქონელსა და საზოგადოებრივ საქონელს.

თემები:	კერძო და საზოგადოებრივი საქონელი
სახელმძღვანელო:	თავი 11. საზოგადოებრივი საქონელი და საერთო რესურსები
დამატებითი მასალა:	შოკოლადის ფილა
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

11.2. უკანონო გაცვლები: ამ მეცადინეობისას სტუდენტები გაეცნობიან საბაზრო გაცვლებისათვის სამართლებრივი სისტემის მნიშვნელობას.

თემები:	სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლება
სახელმძღვანელო:	თავი 11. საზოგადოებრივი საქონელი და კერძო რესურსები
დამატებითი მასალა:	მოხალისე, ქაღალდის პაკეტი
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

12.1. ერთგვაროვანი გადასახადი: ეს მოკლე სავარჯიშო აჩვენებს, რომ მხოლოდ პროპორციული გადასახადები არ არის მთავარი.

თემები:	პროგრესული, რეგრესული და პროპორციული გადასახადები
სახელმძღვანელო:	თავი 12. საგადასახადო სისტემა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	3 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

12.2. "ანბანის სუპი": მთავრობის როლი: ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტები გაეცნობიან იმ როლს, რომელსაც მთავრობა ასრულებს საბაზრო ეკონომიკაში.

თემები:	მთავრობის როლი
სახელმძღვანელო:	თავი 12. საგადასახადო სისტემა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

12.3. სტატია მთავრობის როლის შესახებ: ამ საშინაო დავალების შესრულებისთვის სტუდენტებმა უნდა დაასახელონ საბაზრო ჩავარდნის უახლესი მაგალითი.

თემები:	მთავრობის როლი, საბაზრო ჩავარდნა
სახელმძღვანელო:	თავი 10. გარეგანი ეფექტები თავი 11. საზოგადოებრივი საქონელი და საერთო რესურსები თავი 12. საგადასახადო სისტემა
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

13.1. ბრინჯის მოყვანა საკლასო დაფაზე: ამ საკლასო თამაშის დროს ნათლად იქნება ნაჩვენები შრომის კლებადი უკუგება ნარმოების დანარჩენი ფაქტორების უცვლელობის პირობებში.

თემები:	კლებადი უკუგება და ზრდადი დანახარჯები
სახელმძღვანელო:	თავი 13. წარმოების დანახარჯები
დამატებითი მასალა:	ორი მოხალისე, საკლასო დაფა, ცარცი, 2 "სესხი"
მეცადინეობის დრო:	25 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	15-ზე მეტი

13.2. ინტენსიური წარმოება: ეს საკარჯიშო გვიჩვენებს, რატომ იზრდება ზღვრული დანახარჯი მოკლევადიან პერიოდში.

თემები:	ზღვრული დანახარჯი
სახელმძღვანელო:	თავი 13. წარმოების დანახარჯები
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

13.3. საშუალო და ზღვრული ნიშნები: ამ საკარჯიშოში ნიშნების და მათი საშუალო მაჩვენებლის მაგალითზე მოცემულია ზღვრული და საშუალო სიდიდეების ურთიერთდამოკიდებულება და მათი ანალოგია დანახარჯებთან.

თემები:	დამოკიდებულება ზღვრულ და საშუალო დანახარჯებს შორის
სახელმძღვანელო:	თავი 13. წარმოების დანახარჯები
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

14.1. დავფიქრდეთ ფირმის შესახებ: ეს საკლასო დავალება სტუდენტებს გააცნობს ოლიგოპოლიისა და პროდუქტის დიფერენციაციის მნიშვნელობას შეერთებული შტატების ეკონომიკაში.

თემები:	ბაზრის სტრუქტურა, კონკურენცია
სახელმძღვანელო:	თავი 14. კონკურენტული ფირმა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

14.2. მომგებიანი შესაძლებლობა? ამ საკლასო დავალების დროს სტუდენტები შეაფასებენ საშუალო დანახარჯებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებულ რისკს.

თემები:	მოგების მაქსიმიზაცია
სახელმძღვანელო:	თავი 14. ფირმები კონკურენტულ ბაზრებზე
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

15.1. ფასისმიერი დისკრიმინაცია და დროში მოგზაურობა: ამ თამაშის დროს სტუდენტები ერთმანეთს შეადარებენ კონკურენციას, მონოპოლიასა და ფასისმიერ დისკრიმინაციას წარმოსახვით დარგში.

თემები:	ფასისმიერი დისკრიმინაცია, სამომხმარებლო დანაზოგი
სახელმძღვანელო:	თავი 15. მონოპოლია
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

16.1. სამკერდე ნიშნების ოთხი ბაზარი: ეს საკლასო დავალება ცხადყოფს, თუ რა დიდი განსხვავებაა სხვადასხვა საბაზრო სტრუქტურებში წარმოქმნილ ფასებს შორის.

თემები:	ბაზრის სტრუქტურა და ფასი
სახელმძღვანელო:	თავი 16. ოლიგოპოლია
დამატებითი მასალა:	7 მოხალისე, ფული ($2,5-$4)
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	15-ზე მეტი

16.2. სტატია ბაზრის სტრუქტურის შესახებ: ეს საშინაო დავალება სტუდენტებისგან მონოპოლიის, ოლიგოპოლიის ან მონოპოლისტური კონკურენციის მაგალითის მოძებნასა და ანალიზს მოითხოვს.

თემები:	ბაზრის სტრუქტურა
სახელმძღვანელო:	თავი 15. მონოპოლია თავი 16. ოლიგოპოლია თავი 17. მონოპოლისტური კონკურენცია
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

17.1. სავაჭრო მარკები: ამ საკლასო დავალებისას ნაჩვენები იქნება საქონლის დიფერენციაციის მნიშვნელობა.

თემები:	საქონლის დიფერენციაცია
სახელმძღვანელო:	თავი 17. მონოპოლისტური კონკურენცია
დამატებითი მასალა:	კითხვარის ასლები ყველა სტუდენტისთვის
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

17.2. ლურჯი ჯინსის შარვლის წონასწორული ფასი: ამ ხანმოკლე თამაშის დროს სტუდენტები გაიგებენ განსხვავებას დიფერენცირებული საქონლის მწარმოებელი ფირმის საფასო პოლიტიკასა და ამ საქონელზე საბაზრო ფასნარმოქმნას შორის.

თემები:	საქონლის დიფერენციაცია
სახელმძღვანელო:	თავი 17. მონოპოლისტური კონკურენცია
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

ნაწილი VI — შრომის ბაზრების ეკონომიკა

19.1. თანაბარი შემოსავალი: ამ საკლასო დავალების შესრულებისთვის სტუდენტებს მოეთხოვებათ შეერთებული შტატების ეკონომიკის ისეთი ცვლილების განხილვა, რომლის შედეგადაც შემოსავალი თანაბრად იქნება განაწილებული.

თემები:	სტიმულები, შემოსავლის განაწილება
სახელმძღვანელო:	თავი 19. ხელფასები და დისკრიმინაცია
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

20.1. რა გჭირდებათ ცხოვრების მინიმალური დონის შესანარჩუნებლად? ამ საკლასო დავალების შერულებისას სტუდენტები განიხილავენ დამოკიდებულებას დაბალ შემოსავლებსა და სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს შორის.

თემები:	გამომუშავების უნარი, სიღარიბის ზღვარი
სახელმძღვანელო:	თავი 20. შემოსავლების განაწილება
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

20.2. ღარიბის პორტრეტი: ამ სნრაფი სავარჯიშოს შესრულებისას სტუდენტები განიხილავენ სიღარიბესთან დაკავშირებულ ზოგიერთ სტერეოტიპს.

თემები:	სიღარიბე
სახელმძღვანელო:	თავი 20. შემოსავლების განაწილება
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	2 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

ნაწილი VII ეკონომიკის შესწავლის შემდგომი ეტაპი

21.1. სარგებლიანობის საზომი: ამ დემონსტრაციისას გაშუქებული იქნება ძირითადი დაშვებები მომხმარებლის უპირატესობებთან დაკავშირებით.

თემები:	კლებადი ზღვრული სარგებლიანობა, ზრდადი მთლიანი სარგებლიანობა
სახელმძღვანელო:	თავი 21. მომხმარებლის არჩევანის თეორია
დამატებითი მასალა:	3 ღეეზელი, ვაშლი, "სარგებლიანობის საზომი", სახრახნისი
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

21.2. ყოველთვის ვერ მიიღებთ იმას, რაც გსურთ: ამ თამაშში ნაჩვენები იქნება მომხმარებლის არჩევანის შემზღუდველი ორი ფაქტორი — შემოსავალი და ფასები.

თემები:	საბიუჯეტო შეზღუდვა
სახელმძღვანელო:	თავი 21. მომხმარებლის არჩევანის თეორია
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

21.3. მოიმოქმედე რაიმე ახალი: ეს საშინაო დავალება სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მომხმარებლის არჩევანისა და სარგებლიანობის მაქსიმიზაციის ცნებები საკუთარ ცხოვრებას დაუკავშირონ.

თემები:	მომხმარებლის არჩევანი
სახელმძღვანელო:	თავი 21. მომხმარებლის არჩევანის თეორია
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

ნაწილი VIII — მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

22.1. ეროვნული შემოსავალი და კეთილდღეობა: ამ საკლასო დავალების შესრულებისთვის სტუდენტები უნდა დაფიქრდნენ კეთილდღეობის პირდაპირი საზომების შესახებ და ეს საზომები შეადარონ მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე.

თემები:	მშპ ერთ სულ მოსახლეზე
სახელმძღვანელო:	თავი 22. ეროვნული შემოსავლის გამოთვლა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

23.1. სტუდენტური ფასების ინდექსის შექმნა: ეს საშინაო დავალება სტუდენტებისგან მოითხოვს საბაზრო სასაქონლო კალათისთვის ფასების შესახებ ინფორმაციის შეკრებას.

თემები:	მომხმარებლის არჩევანი
სახელმძღვანელო:	თავი 23. ცხოვრების ღირებულების გამოთვლა
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

23.2. მონაცემებზე ნადირობა: ეს ულმობელი ნადირობა სტუდენტებს მრავალფეროვანი მაკროეკონომიკური მონაცემების მოძიებას ავალებს.

თემები:	მაკროეკონომიკური მაჩვენებლები
სახელმძღვანელო:	თავი 22. ეროვნული შემოსაელის გამოთვლა თავი 23. ცხოვრების დონის გამოთვლა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	50 წუთი ან მეტი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

ნაწილი IX — რეალური ეკონომიკა გრძელვადიან პერიოდში

24.1. უნივერსალური დუბლიკატორი: ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტები შეისწავლიან ისეთი ტექნოლოგიის შექმნის შედეგებს, რომელიც ნებისმიერი საქონლის დუბლიკატის ნარმოების საშუალებას იძლევა.

თემები:	ტექნოლოგიური ცვლილებები
სახელმძღვანელო:	თავი 24. ნარმოება და ეკონომიკური ზრდა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

25.1. შეადგინე პორტფელი: ეს საშინაო დავალება სტუდენტებს ფინანსური ბაზრების შესწავლასა და ამის საფუძველზე $100000 პორტფელის შექმნას ავალებს.

თემები:	ფინანსური ბაზრები
სახელმძღვანელო:	თავი 25. დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

26.1. ვინ არის უმუშევარი? ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტებმა სამუშაო ძალის განმარტება რამდენიმე ინდივიდუალური შემთხვევის შესასწავლად უნდა გამოიყენონ.

თემები:	უმუშევრობის სახეები
სახელმძღვანელო:	თავი 26. უმუშევრობის ბუნებრივი დონე
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

ნაწილი X — ფული და ფასები გრძელვადიან პერიოდში

27.1. ოქრო და რაინდები: ეს საკლასო დემონსტრაცია სტუდენტებს საბანკო საქმისა და ნაწილობრივი რეზერვების სისტემის განვითარებას გააცნობს.

თემები:	ფული, ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემა
სახელმძღვანელო:	თავი 27. მონეტარული სისტემა
დამატებითი მასალა:	3 მონეტა, ხელნერილი, ერთი მოხალისე
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

27.2. ფულის შექმნა: ეს საკლასო თამაში უჩვენებს, თუ როგორ ზრდის საბანკო სისტემა ფულის მიწოდებას ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ღია საბაზრო შესყიდვების შედეგად.

თემები:	საბანკო სისტემა და დეპოზიტების ზრდა
სახელმძღვანელო:	თავი 27. მონეტარული სისტემა
დამატებითი მასალა:	2 მოხალისე, ფურცელი ნარნერით "$1000"
მეცადინეობის დრო:	25 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

27.3. რას გვასწავლის დოლარი? ამ თამაშში ვალუტის გამოყენება სტუდენტებს ფედერალური სარეზერვო სისტემის სტრუქტურის გაცნობაში ეხმარება.

თემები:	ფული, ფედერალური სარეზერვო სისტემა
სახელმძღვანელო:	თავი 27. მონეტარული სისტემა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

28.1. ინფლაციის ფერია: ამ თამაშში შესწავლილია ინფლაციის შედეგები.

თემები:	ინფლაცია
სახელმძღვანელო:	თავი 28. ინფლაცია
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

28.2. სტუდენტური ფასების ინდექსის ცვლილება: ამ საშინაო დავალების შესასრულებლად სტუდენტები უნდა გაეცნონ ფასების ცვლილებას და გამოითვალონ ინფლაციის დონე.

თემები:	ინფლაცია
სახელმძღვანელო:	თავი 28, ინფლაცია
დამატებითი მასალა:	სამომხმარებლო კალათის საწყისი ფასები (იხ. 23.1)
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

28.3. ფასები და დრო: ამ საშინაო დავალების შესრულებისას სტუდენტები ადარებენ მიმდინარე ფასებსა და მათი დაბადების წელს არსებულ ფასებს.

თემები:	ინფლაცია
სახელმძღვანელო:	თავი 28. ინფლაცია
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

ნაწილი XI — ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა

29.1. ლუდის საერთაშორისო მოხმარება: აქ ნაჩვენებია სავალუტო კურსების დიდი მნიშვნელობა.

თემები:	სავალუტო კურსები
სახელმძღვანელო:	თავი 29. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა: ძირითადი ცნებები
დამატებითი მასალა:	სამი ბოთლი იმპორტული ლუდი, უცხოური ვალუტა
მეცადინეობის დრო:	3 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

29.2. მომგებიანი შესაძლებლობა: ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტები არბიტრაჟის შესაძლებლობებს განიხილავენ.

თემები:	სავალუტო კურსები, არბიტრაჟი
სახელმძღვანელო:	თავი 29. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა: ძირითადი ცნებები
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

29.3. სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ფასების შედარება: ამ დავალების შესრულებისთვის სტუდენტებმა უნდა შეკრიბონ ინფორმაცია ფასების შესახებ, უნდა გადაიყვანონ ეს ფასები ერთი ვალუტიდან სხვა ვალუტაში და ახსნან განსხვავება ფასებს შორის.

თემები:	საავალუტო კურსები, არბიტრაჟი, მსყიდველობითი უნარის პარიტეტი
სახელმძღვანელო:	თავი 29. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა: ძირითადი ცნებები
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

ნაწილი I — შესავალი

"ეკონომიკა არის ის, რასაც ეკონომისტები აკეთებენ"
იაკობ ვინერი

1.1. ვეცნობით მსოფლიო ეკონომიკას: ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტები გაეცნობიან სპეციალიზაციისა და შრომის დანაწილების მასშტაბებს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში.

2.1. ფორთოხლის კოქტეილი და "სისხლიანი მერი": მეცადინეობას ვიწყებთ გრაფიკული საკვარჯიშოთი, შემდეგ კი ვეცნობით შეზღუდულობის, ალტერნატიული ღირებულებისა და არჩევანის კონცეფციებს.

2.2. რეალიზმი და მოდელები: ანალოგია: ეს სწრაფი დემონსტრაცია მარტივი მოდელების მნიშვნელობას გვიჩვენებს.

3.1. ხანმოკლე მოგზაურობა მრავალი მონაწილით: ეს საკლასო დავალება გვიჩვენებს სპეციალიზაციისა და შრომის დანაწილების მასშტაბებს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში.

1.1. ვეცნობით მსოფლიო ეკონომიკას

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემები:	სპეციალიზაცია, ურთიერთდამოკიდებულება, კერძო ინტერესი, მომხმარებლის არჩევანი, საერთაშორისო კავშირები
სახელმძღვანელო:	თავი 1. ეკონომიკის ათი პრინციპი, თავი 3. ურთიერთდამოკიდებულება და ვაჭრობიდან მიღებული სარგებლობა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს მაგალითი ნათლად წარმოაჩენს სპეციალიზაციისა და შრომის დანაწილების უპირატესობებს. აქვე ნაჩვენებია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მოქმედი კავშირები. ჩვენი ყოველდღიური ყოფა ათასობით ჩვენთვის უცნობ ადამიანზეა დამოკიდებული. ურთიერთდამოკიდებულებიდან კი ბუნებრივად გამომდინარეობს კერძო ინტერესი. ხელფასი, მოგება და ქირა ადამიანებს თავიანთი მრავალრიცხოვანი ამოცანების შესრულების სტიმულს აძლევს. ჩვენ დამოკიდებულნი ვართ იმ ადამიანების შრომაზე, რომელთა მიერ დამზადებულ საქონელს ვყიდულობთ, ხოლო ამ ადამიანების შემოსავალი ჩვენს მიერ მათი საქონლის შეძენაზეა დამოკიდებული.

ინსტრუქციები

სთხოვეთ სტუდენტებს, პასუხი გასცენ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს. მიეცით მათ თითოეული პასუხის დაწერისთვის საკმარისი დრო, რის შემდეგაც, შემდეგ კითხვაზე გადასვლამდე, საჯაროდ განიხილეთ პასუხები. პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა ერთი მოკლე წინადადებით შეიძლება. მეორე კითხვა ამ მეცადინეობის ძირითად საკითხს ეხება და მასზე პასუხის გასაცემად რამდენიმე წუთია საჭირო. სტუდენტებმა უნდა ჩამოთვალონ შრომის სახეობების მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობა. (მეცადინეობა კონკურენციის სახეს მიიღებს, თუ პირველ სტუდენტს, რომელიც შრომის 20 სახეობას ჩამოთვლის, პრიზის სახით ერთ დოლარს დაუნესებთ.) მესამე კითხვა მოთხოვნის ცნებას შეეხება. განხილვის დროს შესაძლებელია მოთხოვნის თითქმის ყველა დეტერმინანტის შემოტანა. მეოთხე კითხვაზე პასუხის გასაცემად სტუდენტებმა თავიანთი ტანსაცმლის ეტიკეტზე უნდა წაიკითხონ, რომელ ქვეყანაშია ეს ტანსაცმელი დამზადებული.

1. საიდანაა თქვენი ტანსაცმელი?
2. ვისი შრომის პროდუქტია თქვენი ტანსაცმელი?
3. რა კრიტერიუმებით სარგებლობთ, როდესაც ტანსაცმელს ყიდულობთ?
4. სადაა (რომელ ქვეყანაშია) თქვენი ტანსაცმელი დამზადებული?

ტიპიური პასუხები და სადისკუსიო საკითხები

1. საიდანაა თქვენი ტანსაცმელი?

პასუხის მრავალი შესაძლო ვარიანტი არსებობს, მაგრამ სტუდენტების უმრავლესობა ასახელებს "ტიფანი&ტომატოს", "ზმანს" ან სხვა მაღაზიას. სხვები იტყვიან: "ფაბრიკიდან", "ტანსაცმლის მაღაზიიდან" ან "სხვა ქვეყნიდან".

ხაზი გაუსვით ბაზრის მნიშვნელობას (რისთვისაც შეიძლება დასვათ კითხვა: "ხომ არ არის აქ ვინმე, ვისაც მეგობრის ან ნათესავის მიერ დამზადებული ტანსაცმელი აცვია?) და დისკუსიაში ერთმანეთს დაუპირისპირეთ საქონლის განაწილებისა და წარმოების ცნებები.

2. ვისი შრომის პროდუქტია თქვენი ტანსაცმელი?
შესაძლო პასუხები უამრავია. ამ პასუხებს შორის აუცილებლად იქნებიან მოხსენიებულნი ქსოვილებისა და ტანსაცმლის დამამზადებლები, მაგრამ, ამას გარდა, სტუდენტების უმრავლესობა დაასახელებს ნედლეულის დამზადებით, ტრანსპორტირებით, მენეჯმენტით, ტანსაცმლის დიზაინითა და კერვით დაკავებულ ადამიანებს. უფრო მასშტაბურად მოაზროვნე სტუდენტები გამომგონებლებს, ბანკირებს, ნავთობის გადამამუშავებლებს, ინჟინრებსა და ბუღალტრებსაც გაიხსენებენ.
სამი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია სპეციალიზაცია, ურთიერთდამოკიდებულება და კერძო ინტერესი.

3. რა კრიტერიუმებით სარგებლობთ, როდესაც ტანსაცმელს ყიდულობთ?
პასუხები, ძირითადად, ზომას, სტილს, ხარისხსა და ფერს შეეხება. ფასი უფრო იშვიათად სახელდება. დასვით კითხეა ფასის მნიშვნელობის შესახებ და დაელოდეთ, სანამ რომელიმე სტუდენტი არ განაცხადებს, რომ შემოსაეალს და შემცველელი საქონლის ფასებს დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ფასების მოსალოდნელი ცვლილების (მაგალითად, ე.ნ. "სეილების") განხილვაც. რამდენიმე სტუდენტი ურთიერთშემავსებელ საქონელს ახსენებს, რის შემდეგაც სტუდენტების უმრავლესობა უარყოფს კონკრეტულ ტანსაცმელთან შეხამების მიზნით სვიტერის არჩევას. ის შემავსებლები, რომლებიც ყველაზე ხშირად დასახელდება, საქმიანობისა და ტანსაცმლის ურთიერთშეხამებას გულისხმობს: თხილამურებზე სრიალი და სათხილამურო კომბინეზონი, სერფინგი და წყალგაუმტარი კომბინეზონი და ა.შ.

4. სადაა (რომელ ქვეყანაშია) თქვენი ტანსაცმელი დამზადებული?
მცირერიცხოვან აუდიტორიაშიც კი მრავალ ქვეყანას დაასახელებენ. როგორც წესი, სტუდენტებს აოცებთ აშშ-ში დამზადებული ტანსაცმლის დიდი რაოდენობა. კარგადაა წარმოდგენილი აზიაც. ლათინურ ამერიკასა და ევროპაში დამზადებული ტანსაცმელი უფრო იშვიათია. აფრიკული ტანსაცმელი საერთოდ არავის ექნება.

ტანსაცმლის დამამზადებელი ქვეყნების ჩამონათვალი ნათლად გვიჩვენებს "იაფი სამუშაო ძალის" მარტივი განმარტების შეზღუდულ შესაძლებლობებს. მოკლედ განიხილეთ შედარებითი უპირატესობის, სპეციალიზაციის, ვალუტის კურსის, ტარიფებისა და ქვოტების მნიშვნელობა.

2.1. ფორთოხლის კოქტეილი და "სისხლიანი მერი"

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	გრაფიკები, ალტერნატიული ღირებულება, არჩევანი
სახელმძღვანელო:	თავი 2. ეკონომიკური აზროვნება
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

მეცადინეობას ვინყებთ მარტივი გრაფიკების აგებით, შემდეგ კი ვეცნობით შეზღუდულობის, ალტერნატიული ღირებულებისა და არჩევანის ცნებებს.

ინსტრუქციები

ააგეთ გრაფიკი, რომლის ჰორიზონტალურ ღერძზე გადათვლილი იქნება "სისხლიანი მერი"-ს რაოდენობა, ვერტიკალურზე კი — ფორთოხლის კოქტეილების რაოდენობა.

"სისხლიანი მერი" პომიდვრის წვენსა და არაყს შეიცავს. ფორთოხლის კოქტეილს კი ფორთოხლის წვენისა და არყის შერევით ამზადებენ. დავუშვათ, ფორთხოლის წვენი და პომიდვრის წვენი ბევრი გვაქვს, არაყი კი მხოლოდ ერთი ბოთლია, რაც 6 კოქტეილისთვისაა საკმარისი.

რამდენი "სისხლიანი მერის" დამზადებას შევძლებთ, თუ მხოლოდ "სისხლიან მერის" ავირჩევთ?

რამდენი ფორთოხლის კოქტეილის დამზადებას შევძლებთ, თუ მხოლოდ ფორთოხლის კოქტეილს ავირჩევთ?

შეგვიძლია ორივე კოქტეილის 6-6 პორციის დამზადება? რატომ არა?

გრაფიკზე ვუჩვენოთ "სისხლიანი მერისა" და ფორთოხლის კოქტეილის ყველა შესაძლო კომბინაცია, როცა მოცემულია არყის მხოლოდ ერთი ბოთლი.

განსახილველი საკითხები

ეს კომბინაციები უნყვეტ წირს ქმნიან, ვინაიდან შესაძლებელია კოქტეილის ნახევარი, მეოთხედი და ა.შ. პორციების დამზადებაც.

სტუდენტები გაეცნობიან გრაფიკებთან მუშაობისთვის საჭირო რამდენიმე ძირითად ცნებას — ინვერსიულ დამოკიდებულებას, უარყოფით დახრილობას, ნრფივ ურთიერთდამოკიდებულებას და ა.შ.

გრაფიკების ეკონომიკური ასპექტები უფრო საინტერესოა. შეგვიძლია შევქმათ ნებისმიერი კომბინაცია ნირზე ან მის ქვემოთ. თუ კომბინაცია წირის ქვემოთაა, მაგალითად, 2 ფორთოხლის კოქტეილი და 2 "სისხლიანი მერი", ეს იმას ნიშნავს, რომ რესურსები სრულად არაა გამოყენებული. ეს არაეფექტიანია.

თუ ჩვენს შეზღუდულ რესურსებს სრულად გამოვიყენებთ, მაშინ ერთ-ერთი კოქტეილის რაოდენობის ერთი პორციით გაზრდა მეორე კოქტეილის რაოდენობის ერთი პორციით შემცირებას გამოინვევს. პროდუქციის დანაკარგი ალტერნატიული ღირებულებაა.

რესურსების შეზღუდულობა არჩევანის აუცილებლობას წარმოშობს. "სისხლიანი მერის" წარმოება იმას ნიშნავს, რომ ამ რესურსებს ფორთოხლის კოქტეილის დამზადებაზე არ ვიყენებთ. ალტერნატიული ღირებულება არსებობს ყველგან, სადაც კი არჩევანი კეთდება.

2.2. რეალიზმი და მოდელები: ანალოგია

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემა: მოდელები	
სახელმძღვანელო:	თავი 2. ეკონომიკური აზროვნება
დამატებითი მასალა:	თვითმფრინავის მოდელი, ქაღალდის ფურცელი, სათამაშო ვერტმფრენი (სპეციალურ ღერძზე დამაგრებული ხის ნაჭერი, რომელიც ღერძის დატრიალების შედეგად ზემოთ მიფრინავს)
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

სტუდენტები ხშირად უჩივიან რეალიზმის ნაკლებობას ეკონომიკურ მოდელებში. სათამაშო თვითმფრინავის მეშვეობით ვუჩვენოთ, რომ სიმარტივე შეიძლება მოდელირების მნიშვნელოვანი უპირატესობა იყოს.

ინსტრუქციები და განსახილველი საკითხები

ჰკითხეთ სტუდენტებს, რას ანიჭებენ უპირატესობას — რეალისტურ მოდელებს თუ არარეალისტურ მოდელებს. "რა თქმა უნდა, რეალისტურს" — იქნება პასუხი.

უჩვენეთ თვითმფრინავის ასაწყობი მოდელი. აღწერეთ მოდელის რამდენიმე დეტალი (მოქლონები, კორპუსის საფარი, საყრდენები და ა.შ.). მოდელს უამრავი დეტალი აქვს. ეს საკმაოდ რეალისტური მოდელია, თუმცა ნამდვილი თვითმფრინავი არ არის. სირთულე ამ მოდელს რეალიზმს ჰმატებს — ფასთან ერთად. თვითმფრინავის ანყობა დროს მოითხოვს. ყუთი, რომელშიც ასაწყობი მოდელი დევს, იატაკზე დააგდეთ და კლასს უთხარით: "ამ მოდელს (თუნდაც აწყობილი სახით) ფრენა არ შეუძლია".

აიღეთ ფურცელი და მისგან თვითმფრინავი გააკეთეთ. ახალი მოდელი კლასს უჩვენეთ. ეს მარტივი მოდელია, რომელიც ადვილად მზადდება, მაგრამ ნაკლებ რეალისტურია, ვიდრე მაღაზიაში ნაყიდი თვითმფრინავის ასაწყობი მოდელი — არც მოქლონები აქვს, არც სავარძლები, არც ფანჯრები. ამის შემდეგ ქაღალდის თვითმფრინავი ჰაერში გაუშვეთ და ახსენით: "ეს მოდელი რთულ დეტალებს არ შეიცავს, მაგრამ ჰაერში თავისუფლად ლივლივებს".

უჩვენეთ სათამაშო ვერტმფრენი. ამ მოდელს თვითმფრინავთან საერთო არაფერი აქვს — არც ფრთები, არც კორპუსი. ის უფრო ასო "T"-ს ფორმის ხის ნაჭერს ჰგავს. ამის მიუხედავად, ამ მოდელს შეუძლია ის, რაც წინა ორ მოდელს არ შეეძლო — ის რეალურად ზემოთ მიფრინავს. ეს სათამაშო ისეთივე აეროდინამიკურ პრინციპებს იყენებს, როგორიც ნამდვილ საფრენ აპარატებსა აქვთ; ის რეალურად დაფრინავს. ღერძი ხელისგულებით დაატრიალეთ და უჩვენეთ, როგორ აფრინდება სათამაშო.

ეკონომიკური მოდელი ამ სათამაშო ვერტმფრენის მსგავსია. ის რეალურ სამყაროზე გაცილებით მარტივია, მაგრამ რეალური ბაზრების მუშაობას ნათლად გვიჩვენებს.

3.1. ხანმოკლე მოგზაურობა მრავალი მონაწილით

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემა:	სპეციალიზაცია, ურთიერთდამოკიდებულება, კერძო ინტერესი, საერთაშორისო კავშირები, მთავრობის როლი
სახელმძღვანელო:	თავი 3. ურთიერთდამოკიდებულება და ვაჭრობიდან მიღებული სარგებლობა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

სტუდენტები გაეცნობიან სპეციალიზაციისა და შრომის დანაწილების უპირატესობებს, აგრეთვე, მსოფლიო ეკონომიკურ კავშირებს. ეს დავალება საზოგადოებრივი და კერძო დაფინანსების ცნებებსაც მოიცავს.

ინსტრუქციები

სტუდენტებს სთხოვეთ პასუხი გასცენ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს. თითოეულ კითხვაზე წერილობითი პასუხის გაცემის შემდეგ პასუხები ერთად თანამიმდევრულად განიხილეთ.

1. გაიხსენეთ თქვენი უკანასკნელი მოგზაურობა. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს, აირჩიეთ ერთი კონკრეტული მოგზაურობა. სად დაიწყო და სად დასრულდა თქვენი მოგზაურობა?
2. ვინ მიიღო მონაწილეობა იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებაში, რომლითაც თქვენი მოგზაურობა შესაძლებელი გახდა? (დაასახელეთ მონაწილეთა მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობა.)
3. როგორ იყო თქვენი მოგზაურობის სხვადასხვა ელემენტები დაფინანსებული (მაგ., ავტომობილი, რკინიგზა ან თვითმფრინავი)?

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

პასუხები განსხვავებული იქნება, მოგზაურობის ხასიათიდან გამომდინარე. აქ მოყვანილი მსჯელობა ავტომობილით მოგზაურობას შეეხება, მაგრამ ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ თვითმფრინავებზე, ავტობუსებზე, მატარებლებსა თუ გემებზე.

სტუდენტების უმრავლესობა დაასახელებს ავტოქარხნის მშრომელებს, ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომლებს და, თუ მოგზაურობას თოვლიანობა დაემთხვა, საგზაო სამსახურის მუშებს. ეს პასუხები სამ ძირითად ელემენტს შეიცავს — ავტომობილს, საწვავსა და გზებს, - მაგრამ დეტალები გაცილებით უფრო რთულია. თითოეული ელემენტი ფირმებისა და ინდივიდების უზარმაზარი ქსელის ფუნქციონირებას გულისხმობს.

მაგალითისთვის მიჩიგანში წარმოებული ავტომობილი განვიხილოთ. ის ათასობით კომპონენტისგან შედგება, ოჰაიოში წარმოებული საბურავების ჩათვლით. ამ საბურავების დამზადებისას მრავალი მასალა გამოიყენეს, მათ შორის, რეზინი, რომელიც ნავთობისგან მზადდება. ნავთობი, შესაძლოა, ჩრდილოეთის ზღვაში მოიპოვეს და ნიუ-ჯერსიში გადაამუშავეს. ამ ნავთობის მოპოვებისას უამრავი რესურსი გამოიყენეს, მაგალითად, თბილი ტანსაცმელი ნავთობის მომპოვებელი მუშებისთვის. ამ ტანსაცმლის ძირითადი ნანილია ბატის ბუმბულით გატენილი თბილი ქურთუკი. ეს ბუმბული სამხრეთ ჩინეთიდან ჩამოიტანეს.

ასე შეიძლება გაგრძელდეს უსასრულობამდე თითოეული კომპონენტისთვის — მაღაროელები, რომლებიც მადანს მოიპოვებენ, მზარეულები, რომლებიც მაღაროელებს კვებავენ, ფერმერები, რომლებიც მზარეულებს კვების პროდუქტებს აწვდიან. რა თქმა უნდა, საჭიროა მრავალი სხვა ადამიანიც — ბუღალტრები, დიზაინერები, მენეჯერები, გამომგონებლები, ინჟინრები, დამლაგებლები, მდივნები, კომპიუტერის ოპერატორები, კავშირგაბმულობის ტექნიკოსები, ქიმიკოსები და ა.შ. და ა.შ.

ეს ყველაფერი კი მხოლოდ ავტომობილს შეეხება. გზებიც მშრომელთა ასეთივე ქსელმა შექმნა, ბეტონის მუშებიდან დაწყებული და იმ მუშებით დამთავრებული, რომლებიც სინათლის ამრეკლავებს აწარმოებენ. ასევე, საწვავმაც უზარმაზარი ჯაჭვი გამოიარა, რომელშიც, სხვებთან

ერთად, გამყიდველები, გადამმუშავებლები, ტრანსპორტის მუშები და ნავთობის მომპოვებლები მონაწილეობდნენ.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის სირთულე და სხვადასხვა დარგ ებს შორის ურთიერთდამოკიდებულება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. მსოფლიოს ერთ კუთხეში მომხდარი ცელილება სხვა ქვეყნებზეც მოქმედებს. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ ადამიანები იმისთვის შრომობენ, რომ ფული გამოიმუშაონ. ჩინელ ფერმერს არ აინტერესებს მისგან 7000 მილის მანძილზე წარმოებული ავტომობილი ან თუნდაც ის კონკრეტული ადამიანები, რომელთაც მის ფერმაში დამზადებული ბუმბულით სავსე ქურთუკი აცვიათ. ამ ფერმერის მიზანი საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესებაა. ამ ურთულესი ქსელის კოორდინირება ხელფასით, მოგებითა და ქირით ხორციელდება.

როგორ იყო თქვენი მოგზაურობის სხვადასხვა ელემენტები დაფინანსებული?

ტრანსპორტით გადადგილებაში როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო დაფინანსება მონაწილეობს. სტუდენტები (ან მათი მშობლები), ჩვეულებრივ, ფულს იხდიან ბენზინის, ავტომობილების, თვითმფრინავისა თუ ავტობუსის ბილეთების საყიდლად ან ამა თუ იმ სახის კრედიტით სარგებლობენ. გზებსა და აეროპორტებს, როგორც წესი, მთავრობა აფინანსებს ობლიგაციებიდან და გადასახადებიდან ამოღებული თანხებით.
აქვე შეგიძლიათ სტუდენტებს ესაუბროთ საკრედიტო ბაზრების, მათი რეგულირებისა და მთავრობის როლის შესახებ.

ნაწილი II — მიწოდება და მოთხოვნა I: როგორ მუშაობს ბაზარი

"ბაზარი თანამედროვე საზოგადოების ცენტრალური ინსტიტუტია. თუ ბაზრის ფუნქციონირებაში ერკვევით, შეძლებთ გაიგოთ, რა ხდება თანამედროვე სამყაროში. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს გაიგებთ."

მარტინ მაიერი

4.1. ბაზრის მაგალითი: ნამცხვრების კლასში გაყიდვა გვიჩვენებს შეზღუდულ საქონელზე ფასის დანესების პროცესს.

4.2. მიწოდება და მოთხოვნა: ამ საშინაო დავალების ფარგლებში სტუდენტებმა უნდა გაიხსენონ საბაზრო წონასწორობის უახლესი მაგალითი.

4.3. ავტომობილების სადგომი სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში: ეს საკლასო დავალება სტიმულს აძლევს საუბარს ფასდადების, როგორც შეზღუდული საქონლის განანილების ერთ-ერთი საშუალების შესახებ.

4.4. გამაგრილებელი სასმელი: ამ საკლასო თამაშისას ნაჩვენები იქნება, თუ როგორ იგება საბაზრო მოთხოვნის მრუდი და როგორ გადაადგილებს მას შემცველელები.

5.1. რატომ ხტის ბურთი: ამ სნრაფი დემონხტრაციის დახმარებით ვეცნობით ელასტიურობის, როგორც რეაგირების, იდეას.

5.2. ელასტიურობათა სახეობები: ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტები განიხილავენ ელასტიურობის დეტერმინანტებს.

6.1. იხვები მწკრივში: ეს საკლასო დემონსტრაცია ნათელს ხდის ბაზრების ფუნქციონირებაში ჩარევის პრობლემებს.

4.1. ბაზრის მაგალითი

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	ინდივიდუალური მოთხოვნა, საბაზრო მოთხოვნა, წონასწორული ფასი, განაწილება
სახელმძღვანელო:	თავი 4. მინოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალები
დამატებითი მასალა:	15 ნამცხვარი, 5 მოხალისე
მეცადინეობის დრო:	35 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	მინიმუმ 15 სტუდენტი

მიზანი

ესაა რეალური მსოფლიო ბაზრის მაგალითი, სადაც რეალური საქონელი რეალურ ფულზე იცვლება. ეს თავისუფალი ბაზარია, ამიტომ იძულება არ არსებობს, მაგრამ სტუდენტებმა პასუხები კარგად უნდა მოიფიქრონ, ვინაიდან ამ მაგალითში რეალური ვაჭრობა ხორციელდება.

ინსტრუქციები

საჭიროა 5 მოხალისე, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ნამცხვრის ბაზრის ფუნქციონირებაში. შეკვრაზე ნაიკითხეთ ამ "უგემრიელესი" ნამცხვრების აღწერა. დაფაზე დაწერეთ თითოეული მოხალისის სახელი.

მოხალისეებს ჰკითხეთ, რამდენი ნამცხვრის ყიდვას ისურვებდნენ სხვადასხვა ფასების დროს. ფასები და რაოდენობები ჩაიწერეთ.

მიეცით უფლება მოხალისეებს, გადახედონ თავიანთ პასუხებს და, თუ მიღებული მონაცემები ზუსტად არ ასახავს მათი გადახდისთვის მზადყოფნას, შეიტანონ შესაბამისი შესწორებები. კიდევ ერთხელ შეახსენეთ, რომ ეს მხოლოდ სავარჯიშო არ არის და მათ რეალური ფულის გადახდა მოუწევთ.

ამ დროისთვის მიღებულია მონაცემები 5 მონაწილის ინდივიდუალური მოთხოვნის შესახებ და შეიძლება ინდივიდუალური მოთხოვნის 5 მრუდის აგება.

თითოეული მოცემული ფასისთვის, შეაჯამეთ ინდივიდუალური რაოდენობები, რათა დადგინდეს საბაზრო მოთხოვნა ამ ფასის დროს. ეს საყოველთაო მოთხოვნა საჭიროა საბაზრო წონასწორობის მოსაძებნად. ააგეთ საბაზრო მოთხოვნის მრუდი.

მიწოდება, ამ შემთხვევაში, შეზღუდულია შეკვრაში ნამცხვრის რაოდენობით — გვაქვს მხოლოდ 15 ნამცხვარი, მეტი არ ინარმოება, ხოლო დარჩენილი ნამცხვრები გაფუჭდება. ეს გვაძლევს ძალიან მოკლევადიან პერიოდში მიწოდების ვერტიკალურ მრუდს, როდესაც Q =15 (ააგეთ მიწოდების მრუდი).

სცადეთ სხვადასხვა ფასები, სანამ ინდივიდუალური რაოდენობების ჯამი 15-ს არ გაუტოლდება. ეს მოგვცემს წონასწორულ ფასსა და რაოდენობას.

გაანაწილეთ ნამცხვრები და თითოეული მონაწილისგან შეაგროვეთ ფული.

მაგალითი:
რამდენი ნამცხვრის ყიდვას ისურვებდით, თუ ერთი ნამცხვარი $10 ღირს?

რამდენი ნამცხვრის ყიდვას ისურვებდით, თუ ერთი ნამცხვარი $0,01 ღირს?

რამდენი ნამცხვრის ყიდვას ისურვებდით, თუ ერთი ნამცხვარი $0,5 ღირს?

რამდენი ნამცხვრის ყიდვას ისურვებდით, თუ ერთი ნამცხვარი $0,25 ღირს?

მოხალისეების პასუხები ქვემოთაა მოცემული. საბაზრო რაოდენობა თითოეული ფასის დროს ინდივიდუალური რაოდენობების ჯამის ტოლია.

ფასი	მარია	რიკარდო	ემი	ჯეი	საბაზრო რაოდენობა
$10	0	0	0	0	0
$0,5	0	2	1	3	6
$0,25	1	4	2	4	11
$0,01	6	100	50	25	181

მოვძებნოთ მიწოდების ამ მრუდის გადაკვეთა საბაზრო მოთხოვნის მრუდთან და ვიპოვოთ წონასწორობის წერტილი. ამ მაგალითში წონასწორობა შესაძლებელია, როდესაც ფასი $0,25-სა და $0,01-ს შორისაა.

მაგალითად:

ფასი	მარია	რიკარდო	ემი	ჯეი	საბაზრო რაოდენობა
$0,2	2	5	3	5	15

ესაა წონასწორული ფასი. ამ ფასად ბაზარზე არსებული საქონელი მთლიანად გაიყიდება. მას შემდეგ, რაც დადგინდება ფასი, საქონელს გავანაწილებთ ინდივიდუალური მოთხოვნის შესაბამისად, ასე რომ, $0,2-ად მარია 2 ნამცხვარს იყიდის, რიკარდო — 5-ს, ემი — 3-ს, ხოლო ჯეი — 5-ს.

<u>განსახილველი საკითხები</u>

მოთხოვნის მრუდები ასახავს ტიპიურ უკუკავშირს ფასსა და რაოდენობას შორის (ნებისმიერი გამონაკლისი აღნიშნეთ). ეს უკუკავშირი თითოეული მონაწილის გადახდისთვის მზადყოფნას გვიჩვენებს, ამასთანავე, გვაძლევს ინფორმაციას ნამცხვრის რაოდენობის ზრდის შედეგად თითოეული მომხმარებლის მიერ მიღებული ზღვრული სარგებლობის შესახებ.

საბაზრო მოთხოვნა ინდივიდუალური მოთხოვნების მრუდების გაერთიანებით მიიღება.

აღნიშნეთ, რომ მომხმარებლები ნამცხვრის თანაბარ რაოდენობას არ იღებენ. ეს ნებისმიერი ბაზრის დამახასიათებელი თვისებაა, ვინაიდან ინდივიდების გემოვნება და შემოსავალი ერთმანეთისგან განსხვავდება.

აღნიშნეთ ისიც, რომ მომხმარებლების მთლიანი დანახარჯი ნამცხვრების მწარმოებელი ფირმის მთლიანი შემოსავლის ტოლია. ესაა ფასისა და რაოდენობის ნამრავლი.

4.2. მიწოდება და მოთხოვნა

მეცადინეობის ხასიათი:	საშინაო დავალება
თემები:	მოთხოვნისა და მიწოდების მრუდების გადაადგილებები, წონასწორობის ცვლილება
სახელმძღვანელო:	თავი 4. მიწოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალები
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს ძალიან სასარგებლო დავალებაა. სტუდენტებს, რომლებიც ამ დავალებას თავს ვერ ართმევენ, სასწრაფოდ დახმარება სჭირდებათ. სთხოვეთ მათ, გამოასწორონ თავიანთი შეცდომები და ხელახლა შეასრულონ ეს დავალება. ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია და სტუდენტებმა რაც შეიძლება კარგად უნდა გაითავისონ, როგორ მუშაობს ბაზარი.

ინსტრუქციები

გააფრთხილეთ სტუდენტები, თავი აარიდონ რეკლამის განხილვას, ვინაიდან სარეკლამო ტექსტები მცირე ინფორმაციას შეიცავს. ამას გარდა, ფრთხილად უნდა მოეკიდონ კაპიტალისა და ფინანსურ ბაზრებს, თუ კარგად არა აქვთ გააზრებული კონკრეტული ბაზრის სპეციფიკა. ურჩიეთ სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ბაზრების განხილვა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ანალიზი შედარებით ადვილია.

განსახილველი საკითხები

ცვლილებათა უმრავლესობა მხოლოდ ერთ — მოთხოვნის ან მიწოდების —მრუდს გადაადგილებს. სტუდენტებს შეახსენეთ, რომ ფასის ცვლილებები არცერთი მრუდის გადაადგილებას არ ინვევს (მაგრამ ნებისმიერი მრუდის გადაადგილება ფასების ცვლილებას ინვევს).

წონასწორობის წერტილი უცვლელი არ არის. ის იცვლება მიწოდების ან მოთხოვნის ცვლილებისას. ფასებისა და რაოდენობების სანყის დონეზე დაბრუნება აუცილებელი არ არის.

გაახსენეთ კლასს ძირითადი დამოკიდებულებები:

1. მოთხოვნის ზრდა ფასისა და რაოდენობის ზრდას იწვევს.
2. მიწოდების ზრდა ფასის შემცირებასა და რაოდენობის ზრდას იწვევს.
3. მოთხოვნის შემცირება ფასისა და რაოდენობის შემცირებას იწვევს.
4. მიწოდების შემცირება ფასის ზრდასა და რაოდენობის შემცირებას იწვევს.

გვარი _____ კურსი_____

მიწოდება და მოთხოვნა

მოძებნეთ სტატია უახლეს გაზეთსა თუ ჟურნალში, სადაც საუბარია ფასის ან რაოდენობის ცვლილების შესახებ რომელიმე ბაზარზე.

ეკონომიკური მსჯელობის გზით გააანალიზეთ სიტუაცია.

შემცირდა თუ გაიზარდა მოთხოვნა? არის თუ არა იმ ფაქტორებს შორის, რომელთაც მოთხოვნის მრუდის გადაადგილება გამოიწვია, მომხმარებლის უპირატესობების, შემოსავლის, შემავსებლების ან შემცვლელების ფასების, ბაზარზე მომხმარებლების რაოდენობის ცვლილება?

შემცირდა თუ გაიზარდა მიწოდება? არის თუ არა იმ ფაქტორებს შორის, რომელთაც მიწოდების მრუდის გადაადგილება გამოიწვია, ნედლეულის ან სხვა საწარმოო ფაქტორების ფასების, ხელფასების, ტექნოლოგიის, ბაზარზე მოქმედი ფირმების რაოდენობის ცვლილება?

ცვლილების აღწერის მიზნით ააგეთ მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდები. არ დაგავიწყდეთ იმ მრუდის მითითება, რომელიც გადაადგილდა.

წარმოადგინეთ სტატიის პირი თქვენს ახსნა-განმარტებასთან ერთად.

სტატიის თარიღი_____ წყარო_____

© 1988 The Dryden Press

4.3. ავტომობილების სადგომი სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემები:	მოთხოვნა, მინოდება, უნონასნორობა, დეფიციტი, საქონლის განაწილება
სახელმძღვანელო:	თავი 4. მინოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალები
დამატებითი მასალა:	სტუდენტების ავტომობილების დასაყენებელი ადგილების დეფიციტი საერთო საცხოვრებელში
მეცადინეობის დრო:	35 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი სიდიდის კლასი, სადაც არსებობს ავტომობილის დასაყენებელი ადგილების პრობლემა

მიზანი

სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ავტოსადგომი ყოველთვის ცხარე დისკუსიის საგანია. თუ თქვენს სასწავლებელს ავტომობილის დასაყენებელი ადგილები ცოტა აქვს, მაშინ ამ გაკვეთილზე წამოჭრილი იდეები ფასების ფორმირებისა და რესურსების განაწილების შესახებ აუცილებლად გამოეხმაურება სტუდენტთა გრძნობებს.

ა.კ. სენის იგავი ბამბუკის ფლეიტის შესახებ ამ დავალებისთვის კარგი შესავალი იქნება. იგავი მოგვთხრობს: ოსტატმა ულამაზესი საკრავი დაამზადა, რომელმაც მთელს ქვეყანაში გაითქვა სახელი. მალე გამოჩნდა მრავალი ადამიანი, რომლებიც აცხადებდნენ, რომ საკრავს იმსახურებდნენ: საკრავის შემქმნელი ოსტატი, ყველაზე ნიჭიერი მუსიკოსი, ყველაზე ღარიბი და გაჭირვებული მოქალაქე, ყველაზე შრომისმოყვარე მუსიკოსი და ა.შ. ვინ იმსახურებს ფლეიტას? სტუდენთა აზრები გაიყოფა, მაგრამ უმეტესობა დაეთანხმება საბაზრო გადანყვეტას — ფლეიტას იმსახურებს ის, ვინც მზადაა მასში ყველაზე მეტი გადაიხადოს (ის, ვინც ყველაზე მეტ ზღვრული სარგებლობას იღებს სიმდიდრისა და შემოსაელის მოცემული განაწილების პირობებში). ანალოგიური მდგომარეობაა ავტოსადგომის შემთხვევაშიც.

ინსტრუქციები

დასვით ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვები. მიეცით პასუხების დაწერისთვის საკმარისი დრო, შემდეგ კი თითოეული კითხვის პასუხები თანამიმდევრულად განიხილეთ.

ტიპიური პასუხები და სადისკუსიო საკითხები

1 & 2. დაასახელეთ სამი მოსაზრება, რომლებიც ჭეშმარტია ავტოსადგომის შემთხვევაში. რომელი ორი პრობლემაა, თქვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი?
ავტოსადგომის პრობლემა, სტუდენტების უმრავლესობის თვალსაზრისით, ორი ნაწილისგან შედგება. ავტოსადგომის გადასახადი ძალიან დიდია, ხოლო ავტომობილის დასაყენებელი ადგილი — ძალიან ცოტა.

3. რა უნდა იღონოს ადმინისტრაციამ ამ პრობლემების გადასაჭრელად?
სტუდენტები ამ პრობლემის გადაჭრის მრავალ შესაძლო ვარიანტს დაასახელებენ. ყველაზე ხშირია წინადადება ახალმოსულებისთვის ავტომობილის დაყენების აკრძალვის შესახებ. ახალმოსულები შემოგთავაზებენ იმ ჯგუფების სიას, რომელთაც ავტომობილის დაყენება უნდა აეკრძალოთ. კიდევ ერთი პოპულარული წინადადებაა სტუდენტებისთვის პროფესორ-მასწავლებლების სადგომების გამოყენების ნებართვის გაცემა. სადგომის გადასახადი უნდა შემცირდეს ან უნდა გაუქმდეს. უნდა შემცირდეს ჯარიმა ავტოსადგომით სარგებლობის წესების დარღვევისთვის. უნდა აიგოს ახალი ავტოსადგომები. უნდა შეიქმნას მოძრაკი ტროტუარები და მონორელსები.

არცერთი სტუდენტი არ წამოაყენებს ფასების გაზრდის წინადადებას საბაზრო წონასნორობის მიღნეეის მიზნით.

4 & 5. ვის სჭირდება ავტოსადგომი ყველაზე მეტად? ვინ გადაიხდის ყველაზე მეტს?
კითხვა გადახდისთვის მზადყოფნის შესახებ დისკუსიას მიმართულებას შეუცვლის. წინადადება ამა თუ იმ ჯგუფისთვის ავტომობილის დაყენების აკრძალვის შესახებ დავინყებას მიეცემა — ახალმოსულებს ისევე სჭირდებათ ავტოსადგომი და, შესაძლოა, გადახდისთვის ისეთივე მზადყოფნა ახასიათებთ, როგორც უფროსკურსელებს.

6. გააანალიზეთ ეს პრობლემა მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების დახმარებით.
სტუდენტების დიდ ნაწილს თავდაპირველად გაუჭირდება ამ სიტუაციის შესაბამისი მრუდების აგება. სტუდენტები მოისურვებენ უჩვენონ, რომ ნებართვის ფასები ძალიან მაღალია, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ მიერ აგებული გრაფიკები დეფიციტს არ უჩვენებს. საბოლოოდ, სტუდენტები დარწმუნდებიან, რომ ავტოსადგომის არსებული ფასი, მართალია ძვირია, მაგრამ რეალურ ფასზე გაცილებით დაბალია.

7. როგორ იმოქმედებს პრობლემის გადაჭრის თქვენეული გეგმა ავტოსადგომების ბაზარზე?
წამოყენებულ ვარიანტებში იქნება ზოგიერთი პოპულარული გადაწყვეტილება, მაგალითად, უფასო ნებართვა, რაც სინამდვილეში დეფიციტს კიდევ უფრო გააღრმავებს. მოთხოვნის შეზღუდვის გადაწყვეტილებას შეუძლია დეფიციტის შემცირება, თუმცა შედეგად მიღებული განაწილება არაეფექტიანი იქნება. ახალი ავტოსადგომების აგება მიწოდების მრუდის გადაადგილებას არ გამოიწვევს — ეს იქნება რაოდენობის ზრდა უცვლელი მიწოდების პირობებში. დამატებითი ხარჯები უნდა დაიფაროს ავტოსადგომის ფასის გაზრდით, სნავლის ფასის გაზრდით ან გადასახადების გადამხდელთა მიერ გაღებული სუბსიდიებით

·გვარი _____ კურსი_____

საერთო საცხოვრებლის ავტოსადგომი

1. დაასახელეთ სამი მოსაზრება, რომლებიც ნათლად ასახავს ავტოსადგომის სიტუაციას.

2. რომელი ორი პრობლემაა, თქვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი?

3. რა უნდა იღონოს ადმინისტრაციამ ამ პრობლემების გადასაჭრელად?

4. ვის ჭირდება ავტოსადგომი ყველაზე მეტად?

5. ვინ გადაიხდის ავტოსადგომისთვის ყველაზე მეტს?

6. გააანალიზეთ ეს პრობლემა მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების დახმარებით.

7. როგორ იმოქმედებს პრობლემის გადაჭრის თქვენეული გეგმა ავტომობილების დასაყენებელი ადგილების ბაზარზე?

© 1998 The Dryden Press

4.4. გამაგრილებელი სასმელი

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	მოთხოვნა, შემცველელები და ცვალებადი მოთხოვნა
სახელმძღვანელო:	თავი 4. მინოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალები
დამატებითი მასალა:	მასწავლების ასისტენტი გამოკითხვის შედეგების დასათვლელად
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	დიდი კლასი

მიზანი

ამ გაკვეთილის მიზანია ფასსა და რაოდენობას შორის იმ უარყოფითი კავშირის ჩვენება, რომელიც მოთხოვნის მრუდს ახასიათებს. სტუდენტები უპასუხებენ კითხვებს მათი გადახდისთვის მზადყოფნის შესახებ. მასწავლებლის ასისტენტი მათ პასუხებს აგროვებს და აჯამებს, ამ დროს კი მასწავლებელი სხვა თემაზე საუბრობს. კლასის პასუხებში იქნება ორი სახის მრუდი, ერთი შემცველელი საქონლით, მეორე — ასეთი საქონლის გარეშე. ეს შედეგი კლასთან ერთად განიხილეთ.

ინსტრუქციები

დასვით კითხვები, რომლებიც ქვემოთაა ჩამოთვლილი. ეს ჰიპოთეტური კითხვებია და რეალურ გაცვლას არ გულისხმობს.

1. "დავუშვათ, მე "პეპსის" ვყიდი. თუ ერთ ბოთლის ფასია $1,5, მოისურვებთ თუ არა ერთი ბოთლის ყიდვას? (კი/არა)"
2. "დავუშვათ, მე "პეპსის"ვყიდი. თუ ერთი ბოთლის ფასია $1, მოისურვებთ თუ არა ერთი ბოთლის ყიდვას? (კი/არა)"
3. "დავუშვათ, მე "პეპსის" ვყიდი. თუ ერთი ბოთლი ფასია $0,75, მოისურვებთ თუ არა ერთი ბოთლის ყიდვას? (კი/არა)"
4. "დავუშვათ, მე "პეპსის" ვყიდი. თუ ერთი ბოთლის ფასია $0,5, მოისურვებთ თუ არა ერთი ბოთლის ყიდვას? (კი/არა)"
5. "დავუშვათ, მე "პეპსის" ვყიდი. თუ ერთი ბოთლის ფასია $0,25, მოისურვებთ თუ არა ერთი ბოთლის ყიდვას? (კი/არა)"
6. "ახლა კი დავუშვათ, რომ ვყიდი "პეპსის" და "კოკას". "პეპსის" ფასები ისეთივეა, მაგრამ ამჯერად უნდა განეიხილოთ "კოკას" ხელმისაწვდომობა. დავუშვათ, "კოკა" ხელმისანდომია, როგორც "პეპსის" ალტერნატივა, ამასთან, "კოკა" ყოველთვის $0,75 ღირს. შეგიძლიათ იყიდოთ "პეპსი", "კოკა" ან არცერთი."
7. თუ "პეპსის" ფასია $1,5, მოისურვებთ თუ არა ერთი ბოთლის ყიდვას?" (უპასუხეთ "კი", თუ მზად ხართ იყიდოთ "პეპსი", და "არა", თუ "კოკას" იყიდით ან არაფერს იყიდით.)
8. თუ "პეპსის" ფასია $1, მოისურვებთ თუ არა ერთი ბოთლის ყიდვას?" (უპასუხეთ "კი", თუ მზად ხართ იყიდოთ "პეპსი", და "არა", თუ "კოკას" იყიდით ან არაფერს იყიდით.)
9. თუ "პეპსის" ფასია $0,75, მოისურვებთ თუ არა ერთი ბოთლის ყიდვას?" (უპასუხეთ "კი", თუ მზად ხართ იყიდოთ "პეპსი", და "არა", თუ "კოკას" იყიდით ან არაფერს იყიდით.)
10. თუ "პეპსის" ფასია $0,5, მოისურვებთ თუ არა ერთი ბოთლის ყიდვას?" (უპასუხეთ "კი", თუ მზად ხართ იყიდოთ "პეპსი", და "არა", თუ "კოკას" იყიდით ან არაფერს იყიდით.)
11. თუ "პეპსის" ფასია $0,25, მოისურვებთ თუ არა ერთი ბოთლის ყიდვას?" (უპასუხეთ "კი", თუ მზად ხართ იყიდოთ "პეპსი", და "არა", თუ "კოკას" იყიდით ან არაფერს იყიდით.)

ასისტენტს სთხოვეთ, შეაგროვოს სტუდენტების პასუხები და დაითვალოს დადებითი პასუხების რაოდენობა თითოეული კითხვისთვის.

განსახილველი საკითხები

პირველი 5 კითხვის საფუძველზე ააგეთ "პეპსიზე" მოთხოვნის მრუდი. "პეპსის" ფასის შემცირებისას გაიზრდება იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც მის ყიდვას მოისურვებენ.

6-10 კითხვების საფუძველზე ააგეთ "პეპსიზე" მოთხოვნის მეორე მრუდი. ეს მრუდი შემცველის ფასის შემცირების შედეგებს ასახავს. (პირველ კითხვებში "კოკას" ფასი უსასრულო იყო, შემდეგ კი $-0,75-მდე შემცირდა.) "პეპსიზე" მოთხოვნის მრუდი კვლავ კლებადი იქნება, მაგრამ, თითოეული ფასისას, "პეპსის" სტუდენტების ნაკლები რაოდენობა აირჩევს. ეს შემცველის ფასის შემცირებისას მოთხოვნის შემცირების კარგი მაგალითია.

5.1. რატომ ხტის ბურთი?

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	ელასტიური და არაელასტიური
სახელმძღვანელო:	თავი 5. ელასტიურობა და მისი გამოყენება
დამატებითი მასალა:	ერთი რეზინის ბურთი და ერთი "მკვდარი" ბურთი. მკვდარი ბურთი არადრეკადი მასალისგანაა დამზადებული და არ ხტის.
მეცადინეობის დრო:	1 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს ხანმოკლე, მაგრამ ადვილად დასამახსოვრებელი საკარჯიშო შეიძლება ელასტიურობის და არაელასტიურობის ცნებების გასაცნობად გამოვიყენოთ.

ინსტრუქციები

გამოიძახეთ ორი სტუდენტი. თითოეულ მათგანს ბურთი მიეცით და სთხოვეთ, იატაკზე დააგდონ, შემდეგ კი ასხლეტილი ბურთი დაიჭირონ. სტუდენტი, რომელსაც რეზინის ბურთი აქვს, ამას ადვილად გააკეთებს. ის სტუდენტი, რომელსაც "მკვდარი" ბურთი შეხედა, ვერ შეძლებს ბურთის დაჭერას, იატაკზე დარტყმის სიძლიერის მიუხედავად.

ახსენით, რომ რეზინის ბურთი ელასტიურია და ცვლილებებზე რეაგირებს. "მკვდარი" ბურთი არაელასტიურია და მისი რეაგირება უმნიშვნელოა. ელასტიურობისა და არაელასტიურობის ეს ფიზიკური მახასიათებლები ამავე სახელწოდების ეკონომიკური მახასიათებლების ანალოგიურია.

5.2. ელასტიურობათა სახეობები

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემები:	ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობის დეტერმინანტები
სახელმძღვანელო:	თავი 5. ელასტიურობა და მისი გამოყენება
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ სავარჯიშოს მიზანი ისაა, რომ სტუდენტებმა გაიაზრონ ელასტიურობის სხვადასხვა ხარისხის არსებობა და გაეცნონ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს მოთხოვნის ელასტიურობას.

ინსტრუქციები

სტუდენტებს დაურიგეთ ქვემოთ მოცემული სია. სთხოვეთ დაახარისხონ ჩამოთვლილი საქონელი ელასტიურობის კლების მიხედვით.

1. საქონლის ხორცი
2. მარილი
3. დასვენება ევროპაში
4. ღორი
5. ავტომობილი "ჰონდა აკორდი"
6. "დიჟონის" მდოგვი

პასუხის გაცემაში სტუდენტებს შემდეგი კითხვები დაეხმარება:

1. როგორ იმოქმედებს საქონლის ფასის 10%-ით გაზრდა მომხმარებლების საერთო ბიუჯეტზე?
2. რა შემცვლელები აქვს ამ საქონელს?
3. მომხმარებლის თვალსაზრისით, ეს პირველი მოხმარების საქონელია თუ ფუფუნების საგანი?

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

ტიპიური დახარისხება:

1. დასვენება ევროპაში (ფუფუნებაა, არსებობს მრავალი სხვა დასასვენებელი ადგილი, ძვირია)
2. "ჰონდა აკორდი" (ძვირია, მრავალი შემცვლელი აქვს, სხვა ავტომობილების ჩათვლით)
3. ღორი (საგრძნობი ფუფუნებაა, შედარებით ძვირია, ხორცი ახლო შემცვლელია)
4. "დიჟონის" მდოგვი (საგრძნობი ფუფუნებაა, შედარებით იაფია, შეიძლება შეიცვალოს სხვა სახის მდოგვით)
5. საქონლის ხორცი (ზომიერად ძვირია, ღორის და ქათმის ხორცი მისი შემცვლელებია)
6. მარილი (იაფია, აუცილებელია, ახლო შემცვლელები არა აქვს)

6.1. იხვები მწკრივში

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	ფასის ზედა ზღვარი, სუბსიდიები და დაუგეგმავი შედეგები
სახელმძღვანელო:	თავი 6. მიწოდება, მოთხოვნა და სამთავრობო პოლიტიკა
დამატებითი მასალა:	ორი სათამაშო იხვი, სათამაშო ფული, 3 მოხალისე
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს სავარჯიშო ბაზარზე მთავრობის ინტერვენციის ზოგად პრობლემებს ასახავს.

ინსტრუქციები

ერთი მოხალისე ღარიბი ქვეყნის მთავრობის როლს ასრულებს. მიეცით "მთავრობას" სათამაშო ფული, დაიტოვეთ მხოლოდ $1. ამ ფულით მთავრობა გლეხისგან იხვებს ყიდულობს და მაღაზიის მფლობელს აძლევს. მეორე მოხალისე ქალაქის მაღაზიის მფლობელის როლს ასრულებს. როდესაც ყველა იხვს გაყიდის, ის მთავრობას ახალი იხვების მიწოდებას სთხოვს. მიეცით მაღაზიის მფლობელს ერთი იხვი. მესამე მოხალისე "მომხმარებელია". ის იხვებს ყიდულობს. მიეცით მომხმარებელს სათამაშო $1. მასწავლებელი გლეხის როლს ასრულებს. ის თავისთვის მეორე იხვს იტოვებს.

აღწერეთ ვითარება: "იხვები მნიშვნელოვანი საქონელია, მაგრამ ძვირია — ერთი იხვი $3 ღირს. მთავრობას საკვების გაიაფება სურს, რათა ბოლო მოუღოს შიმშილობას ღარიბთა შორის. მისი გამოთვლების თანახმად, მოსახლეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს იხვების ყიდვას, თუ ერთი იხვი $1 ეღირება. მთავრობა ანესებს ფასის ზედა ზღვარს, რომელიც $1-ის ტოლია. ესაა იხვის მაქსიმალური საცალო ფასი."

დაინყეთ თამაში. მომხმარებელი მაღაზიის მფლობელისგან ერთ იხვს ყიდულობს. მაღაზიის მფლობელი მთავრობას დამატებით იხვებს სთხოვს. მთავრობა გლეხს მიმართავს.

განსახილველი საკითხები

მასწავლებელი, ანუ "გლეხი", თამაშს წარმართავს. არსებობს თამაშის გაგრძელების სამი შესაძლო ვარიანტი:

1. დეფიციტი. გლეხი $1-ად იხვების გაყიდვაზე უარს აცხადებს. მაღაზია იხვების გარეშე რჩება.
2. სუბსიდია. გლეხი თითოეულ იხვში $3-ს ითხოვს. ამის შემდეგ შესაძლებელია იხვების $1-ად გაყიდვა ბაზარზე. საკვების დაბალი ფასის შენარჩუნების მიზნით მთავრობა $2-ს იხდის.
3. "შავი ბაზრები". მას შემდეგ, რაც გლეხი მთავრობას იხვებს $3-ად მიპყიდის, საქონელი მაღაზიაში მიდის და $1-ად იყიდება. გლეხი თავისივე გაყიდულ იხვებს ხელმეორედ ყიდულობს $1-ად და ხელმეორედ აძლევს მთავრობას $3-ად. ეს შეიძლება მანამდე გაგრძელდეს, სანამ მთავრობას ფული არ გაუთავდება.

ბაზარზე მთავრობის ინტერვენციას ზოგჯერ მოულოდნელი შედეგები მოჰყვება. ფასის ზედა ზღვარი თავდაპირველად ქალაქში არსებული საქონლის რაოდენობას ამცირებს. მნარმოებლებისთვის გადახდილ სუბსიდიებს შეუძლია წარმოების მოცულობის გაზრდა, მაგრამ სუბსიდიები ახალი სტიმულების გაჩენას ინვევს.

ეს მაგალითი ემყარება ფასის ზედა ზღვარსა და სუბსიდიებს, რომლებიც გამოყენებული იყო სამხრეთ ჩინეთში. იქაური გლეხები შინაურ ფრინველს ყიდულობდნენ და ხელმეორედ ჰყიდდნენ.

ნაწილი III — მიწოდება და მოთხოვნა II: ბაზრები და კეთილდღეობა

"ის დარგს ისე წარმართავს, რომ პროდუქციას მაქსიმალური ღირებულება ჰქონდეს, და ამ გზით მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ზრუნავს. ამ და სხვა მრავალ შემთხვევაში მის ქმედებებს უხილავი ხელი წარმართავს, რის გამოც შედეგი განზრახულისგან სრულიად განსხვავებულია. მაგრამ საზოგადოებისთვის ეს მოულოდნელი შედეგი ყოველთვის საზიანო არ არის. უწინარესად საკუთარი ინტერესების დაცვისას ის ხშირად უფრო უკეთ იცავს საზოგადოების ინტერესებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც უწინარესად ამ უკანასკნელის მიღწევა აქვს განზრახული."

ადამ სმიტი

7.1. დროის მანქანის ღირებულება: ამ საკლასო თამაშის დროს სტუდენტები პრაქტიკულად დაინახავენ წარმოსახვითი გამოგონებიდან მიღებულ სამომხმარებლო დანაზოგს.

9.1. თავისუფალი ვაჭრობა თუ ვაჭრობის შეზღუდვა? რეზინის ძაფის მაგალითი: ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტები თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებული დებატების რამდენიმე ასპექტს გაეცნობიან.

7.1. დროის მანქანის ღირებულება

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	სამომხმარებლო დანაზოგი
სახელმძღვანელო:	თავი 7. მომხმარებლები, მწარმოებლები და ბაზრების ეფექტიანობა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

სამომხმარებლო დანაზოგი, შესაძლოა, სტუდენტებისთვის რთულად გასაგები ცნება აღმოჩნდეს, ვინაიდან ის შეეხება დაზოგილ ხარჯებს და არა რეალურად გაცვლილ ფულს. ამ მაგალითში აქცენტი გადატანილია სამომხმარებლო დანაზოგის ფულად გამოსახულებაზე.

ინსტრუქციები

კლასს უთხარით შემდეგი: "ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ ადამიანებს დროში წინ და უკან მოგზაურობის საშუალება მისცა. საჭიროა მომხმარებლისთვის დროის მანქანის ღირებულების შეფასება. დავუშვათ, ამ კლასში არის 4 მომხმარებელი, რომელთაც ყველაზე მეტად სურთ ამ პროდუქტის გამოყენება."

აირჩიეთ 4 სტუდენტის სახელი და მაგალითში გამოიყენეთ.

"სკოტს ეს პროდუქტი ყველაზე მეტად სურს. ის დინოზავრების დროში დაბრუნებაზე ოცნებობს და მზადაა ამისთვის $3000 გადაიხადოს."

"ქეროლის გადახდისთვის მზადყოფნა სიდიდით მეორეა. მას სურს გაემგზავროს მომავალში, რომელიც 200 წლის შემდეგ იქნება, რისთვისაც $2500-ს გადაიხდის."

"შემდეგი მომხმარებელია სთივი. მას სურს ამ სემესტრის დასაწყისში მოხვედეს, რისთვისაც $800-ს გადაიხდის."

"მეოთხე მომხმარებელია ჯინი. ის მზადაა გადაიხადოს $200, რათა ეს გაკვეთილი სწრაფად ჩათავდეს."

დაფაზე დაწერეთ:

სკოტი $3000
ქეროლი $2500
სთივი $800
ჯინი $200

"ეს არის დროის მანქანაზე მოთხოვნის მრუდი. სამომხმარებლო დანაზოგი მომხმარებლის გადახდისთვის მზადყოფნასა და რეალურად გადახდილ თანხას შორის სხვაობის ტოლია. საბაზრო ფასი განსაზღვრავს, თუ ვინ ისარგებლებს დროის მანქანით და რა სიდიდის დანაზოგს მიიღებს."

"თუ დროის მანქანით სარგებლობის ფასი $500-ა, დროში 3 მომხმარებელი იმოგზაურებს — სკოტი, ქეროლი და სთივი. ჯინი მზად არ არის $500-ის გადახდისთვის, ამიტომ გაკვეთილის ბოლომდე მოთმენა მოუნევს."

"შეგვიძლია გამოვითვალოთ სამომხმარებლო დანაზოგი დროში სამი მოგზაურობისთვის. სკოტი მზად იყო $3000-ის გადახდისთვის, მაგრამ მხოლოდ $500 გადაიხადა, რაც მას $2500-ის ტოლ წმინდა სარგებლობას აძლევს." (დაწერეთ დაფაზე.) "ქეროლის წმინდა სარგებლობა $2000-ია, სთივის - $300. ამ წმინდა დანაზოგების ჯამი — $4800 — სამოხმარებლო დანაზოგს წარმოადგენს."

განსახილველი საკითხები

სამომხმარებლო დანაზოგი დამოკიდებულია საქონლის გასაყიდ ფასსა და იმ მომხმარებლების რაოდენობაზე, რომლებიც მოცემული საქონლის ამ ფასად ყიდვისთვის მზად არიან. რაც უფრო დაბალია ფასი, მით მეტია სამომხმარებლო დანაზოგი.

9.1. თავისუფალი ვაჭრობა თუ ვაჭრობის შეზღუდვა?

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემები:	პროტექციონიზმის შედეგები, თავისუფალი ვაჭრობა
სახელმძღვანელო:	თავი 9. საერთაშორისო ვაჭრობა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	60 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ დავალების შესრულებისას სტუდენტები ვაჭრობის რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შეეხებიან. მრავალ სტუდენტს, იმათი ჩათვლით, რომელთაც შეუძლიათ თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლო არგუმენტების მოყვანა, მაინც იზიდავს პროტექციონიზმი. ამ სავარჯიშოს შესრულების შედეგად სტუდენტები შეძლებენ პროტექციონიზმის რაციონალურ დასაბუთებას და შეაფასებენ პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს.

ინსტრუქციები

დასვით კითხვები, რომლებიც ქვემოთაა მოცემული. მიეცით პასუხის დაწერისთვის საკმარისი დრო. პასუხები თანამიმდევრულად განიხილეთ.

მე-4 კითხვა სტუდენტებისთვის ყველაზე რთულია. აქ საჭიროა დამატებითი ახსნა-განმარტება. თუ მომხმარებლები აშშ-ში 100 სამუშაო ადგილის შესანარჩუნებლად დამატებით გადაიხდიან $100000-ს, მაშინ სამუშაო ადგილის შენარჩუნების დანახარჯი იქნება $1000.

1. რას ანიჭებთ უპირატესობას, თავისუფალ ვაჭრობას თუ პროტექციონიზმს? ახსენით.

2. დავუშვათ, აშშ საერთაშორისო ვაჭრობის კომისიაში კენჭს უყრით რეზინის ძაფის იმპორტზე ტარიფის გაზრდის მოთხოვნას. რეზინის ძაფი ლატექსისგან მზადდება და მისი მწარმოებელი დარგი მცირე მასშტაბებისაა. ამ ძაფებს ელასტიური საქონლის, მაგალითად, წინდებისა და საცვლების წარმოებაში იყენებენ. ტარიფის გაზრდა ამერიკელ მწარმოებლებს ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შენარჩუნებასა და ტექნოლოგიის განვითარების ინვესტირებაში.

   მისცემთ თუ არა ხმას ტარიფის გაზრდას ან მის შემცირებას?

3. საზოგადოდ, რა სარგებლობა მოაქვს შეერთებულ შტატებში სამუშაო ადგილის შენარჩუნებას (ახსენით ეს გრაფიკი თითოეულ სამუშაო ადგილზე დახარჯული თითოეული აშშ დოლარის თვალსაზრისით)?

4. პროტექციონიზმის დანახარჯებს მომხმარებლები იხდიან გაზრდილი ფასების სახით. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: "როდის გადააჭარბებს ეს დანახარჯები სარგებლობას?" თქვენი აზრით, რა დამატებითი თანხა უნდა გადაიხადონ მომხმარებლებმა შეერთებულ შტატებში ერთი სამუშაო ადგილის შესანარჩუნებლად?

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

1. რას ანიჭებთ უპირატესობას, თავისუფალ ვაჭრობას თუ პროტექციონიზმს? ახსენით.

პასუხები თანაბრად გაიყოფა. დასახელებული იქნება მრავალი მოსაზრება, მაგრამ ძირითადი არგუმენტი, როგორც წესი, იქნება ეკონომიკური ეფექტიანობა და არა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

2. დავუშვათ, აშშ საერთაშორისო ვაჭრობის კომისიაში კენჭს უყრით რეზინის ძაფის იმპორტზე ტარიფის გაზრდის მოთხოვნას. რეზინის ძაფი ლატექსისგან მზადდება და მისი მწარმოებელი დარგი მცირე მასშტაბებისაა. ამ ძაფებს ელასტიური საქონლის, მაგალითად, წინდებისა და საცვლების წარმოებაში იყენებენ. ტარიფის გაზრდა ამერიკელ მწარმოებლებს ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შენარჩუნებასა და ტექნოლოგიის განვითარების ინვესტირებაში.

მისცემთ თუ არა ხმას ტარიფის გაზრდას ან მის შემცირებას?

ბევრი სტუდენტი, ისინიც კი, ვინც, ჩვეულებრივ, თავისუფალი ვაჭრობის მომხრეა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ტარიფის გაზრდას დაუჭერს მხარს.

3. საზოგადოდ, რა სარგებლობა მოაქვს შეერთებულ შტატებში სამუშაო ადგილის შენარჩუნებას?

მშრომელები გადასახადებს იხდიან და სხვა კომპანიებისგან საქონელს ყიდულობენ. სოციალური მომსახურების დანახარჯები დაიზოგება. კომპანიების მოგება იზრდება. საზოგადოება უფრო ჯანმრთელია.

4. პროტექციონიზმის დანახარჯებს მომხმარებლები იხდიან გაზრდილი ფასების სახით. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: "როდის გადააჭარბებს ეს დანახარჯები სარგებლობას?" თქვენი აზრით, რა დამატებითი თანხა უნდა გადაიხადონ მომხმარებლებმა შეერთებულ შტატებში ერთი სამუშაო ადგილის შესანარჩუნებლად?

თავისუფალი ვაჭრობის უპირობო მომხრე უპასუხებს: "არცერთი ცენტი. ჩემს ქვეყანაში სამუშაო ადგილის დაცვის ღირებულება ნულის ტოლია." ამ პოზიციას მხოლოდ რამდენიმე სტუდენტი დაიკავებს.

სტუდენტების უმრავლესობა დაასახელებს სხვადასხვა თანხას $100-დან $10000-მდე. რამდენიმე სტუდენტი უფრო შორსაც წავა.

შეერთებულ შტატებში სავაჭრო ბარიერებით სამუშაო ადგილის შენარჩუნების რეალური დანახარჯები ამ რიცხვებს გაცილებით აღემატება. ისინი, საშუალოდ, $60000-დან (ველოსიპედების ნარმოებაში) $750000-მდე (მეტალურგიაში) იცვლება.

ეს თანხები მშრომელთა რეალურ შემოსავალზე გაცილებით მეტია. სამუშაო ადგილის დაკარგვის სანაცვლოდ გარკვეული სიდიდის ერთჯერადი თანხის გადახდა უფრო იაფი იქნებოდა. საავაჭრო კანონმდებლობის მეშვეობით მშრომელთა სუბსიდირება მათი დახმარების არაეფექტიანი მეთოდია. სტუდენტების მიერ მე-3 კითხვის პასუხად მოყვანილი სარგებლობა რეალურია, მაგრამ დიდად ჩამოუვარდება დანახარჯებს.

კვლავ დავუბრუნდეთ მე-2 კითხვას და დავფიქრდეთ, ნამდვილად ვინარჩუნებთ თუ არა სამუშაო ადგილებს ტარიფის გაზრდით? სანარმოო მასალების ფასის გაზრდა აშშ საწარმოების კონკურენტუნარიანობას ამცირებს. რეზინის ძაფის შემთხვევაში, ათჯერ მეტი მშრომელია დაკავებული იმ დარგებში, სადაც რეზინის ძაფს საწარმოო მასალად იყენებენ. რეზინის ძაფის ნარმოებაში დაკავებული მშრომელების დაცვა სამუშაო ადგილების დაკარგვის საფრთხის ნინაშე აყენებს წინდებისა და საცვლების ნარმოებაში დაკავებულ მშრომელებს.

უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, აშშ საავაჭრო ბარიერების ზრდა სხვა ქვეყნებს აიძულებს, შური იძიონ! ამის შედეგად ამერიკის ექსპორტიორი დარგების მშრომელები სამუშაოს დაკარგვის საფრთხის ნინაშე დგებიან. ყველაზე ეფექტიანი ამერიკული დარგები ზარალდებიან ქვეყნის ყველაზე არაეფექტიანი დარგების დაცვის მცდელობების შედეგად.

ნაწილი IV — საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა

"ზუსტად არ ვიცი, რა უპირატესობა აქვს რამდენიმე დოლარით მეტის გადახდას, თუ სასუნთქი ჰაერი და სასმელი წყალი ძალიან დაბინძურებულია, თუ მგზავრები დიდ დროსა და ენერგიას ხარჯავენ ქალაქში შესვლასა და გამოსვლაზე, თუ ქუჩები ნაგვითაა სავსე, სკოლები კი იმდენად ცუდია, რომ ახალგაზრდობას უსწავლელობა ურჩევნია, ხოლო მძარცველები მოქალაქეებს იმ რამდენიმე დოლარსაც ართმევენ, რომლებიც ამ უკანასკნელებმა გადასახადების შემცირების შედეგად დაზოგეს."

ჯონ ქენეთ გელბრეითი

10.1. გარეგანი ეფექტები მდინარის მაგალითზე: ამ საკლასო თამაშის დროს სტუდენტები გაეცნობიან გარეგან ეფექტებს და მათ ზემოქმედებას ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე.

10.2. კარგი სიგარა ყველას მოსწონს: ეს სწრაფი დემონსტრაცია უჩვენებს, რატომ გასხვავდება კერძო და სოციალური დანახარჯები.

11.1. კერძო საქონელი / საზოგადოებრივი საქონელი: ამ დემონსტრაციის შედეგად სტუდენტები გაეცნობიან მახასიათებლებს, რომლებიც განასხვავებს კერძო საქონელსა და საზოგადოებრივ საქონელს.

11.2. უკანონო გაცვლები: ამ თამაშის დროს სტუდენტები გაეცნობიან საბაზრო გაცვლებისათვის სამართლებრივი სისტემის მნიშვნელობას.

12.1. ერთგვაროვანი გადასახადი: ეს მოკლე სავარჯიშო უჩვენებს, რომ მხოლოდ პროპორციული გადასახადები არ არის მთავარი.

12.2. "ანბანის სუპი": მთავრობის როლი: ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტები გაეცნობიან იმ როლს, რომელსაც მთავრობა ასრულებს საბაზრო ეკონომიკაში.

12.3. სტატია მთავრობის როლის შესახებ: ამ საშინაო დავალების შესრულებისთვის სტუდენტებმა უნდა დაასახელონ საბაზრო ჩავარდნის უახლესი მაგალითი.

10.1. გარეგანი ეფექტები მდინარის მაგალითზე

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	უარყოფითი გარეგანი ეფექტები
სახელმძღვანელო:	თავი 10. გარეგანი ეფექტები
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს დემონსტრაცია სტუდენტებს იმის გაგებაში დაეხმარება, თუ ვინ იხდის გარეგანი ეფექტებით გამოწვეულ დანახარჯებს და რატომაა გარეგანი ეფექტები საბაზრო ჩავარდნის ერთ-ერთი სახეობა.

ინსტრუქციები

დაფაზე დახატეთ მდინარე (ორი დაკლაკნილი მრუდი საკმარისია). მის ერთ-ერთ ბოლოში დახატეთ ოთხკუთხედი და დააწერეთ "ფაბრიკა". ოთხკუთხედისგან მოშორებით დახატეთ ადამიანის მარტივი ფიგურა. მდინარის მეორე ბოლოზე დახატეთ ოთხკუთხედი ნარნერით "ლუდის ქარხანა".

მაგალითში მოცემული სახელები სტუდენტების სახელებით შეცვალეთ.

"ნახატზე წარმოდგენილია ბუნებრივი რესურსების სამი მომხმარებელი. ტიფანის მდინარის პირას სვიტრების ფაბრიკა აქვს. დენს მდინარის ნაპირზე დასვენება უყვარს. პეტის ლუდის ქარხანა მდინარის წყალს იყენებს."

გაავლეთ ხაზი მდინარიდან ლუდის ქარხანამდე. დენისთვის დახატეთ პლაჟის საჩრდილობელი ქოლგა. ფაბრიკიდან მდინარემდე დახაზეთ მილი, რომლითაც მდინარეში ნარჩენები ჩაედინება.

"განვიხილოთ ტიფანის სვიტრების ბაზარი. ამ სვიტრებზე მოთხოვნა დამოკიდებული იქნება მომხმარებლების გემოვნებაზე, შემოსავალზე, შემავსებლებისა და შემცვლელების ფასებზე და ბაზარზე არსებული მომხმარებლების რაოდენობაზე."

ააგეთ მოთხოვნის ჩვეულებრივი კლებადი მრუდი.

"ტიფანის სვიტრების მიწოდების მრუდი სვიტრების წარმოების დანახარჯებზეა დამოკიდებული."

გრაფიკზე ააგეთ მიწოდების ზრდადი მრუდი. დააწერეთ "მიწოდება ყველა დანახარჯის გათვალისწინებით".

ჰკითხეთ კლასს, როგორ გადაადგილდება მიწოდების მრუდი, თუ ტიფანი საწარმოო მასალებში ფულს არ იხდის. შემდეგ ჰკითხეთ, როგორ გადაადგილდება მიწოდების მრუდი, თუ ტიფანი თავის მშრომელებს ფულს არ უხდის. ორივე შემთხვევაში მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება.

"რა თქმა უნდა, შრომისა და საწარმოო მასალების დანახარჯები თითქმის გარდაუვალია, მაგრამ არსებობს საწარმოო დანახარჯები, რომელთა თავიდან აცილებაც ფირმას შეუძლია."

ახსენით, რომ სვიტრის თანაპროდუქტია ტოქსიკური ნალექი. გაავლეთ სქელი ხაზები, რომლებიც ფაბრიკიდან მდინარეში ამ ნალექის ჩადინებას უჩვენებს. გააგრძელეთ ეს ხაზები ადამიანის ფიგურამდე და ლუდის ქარხნამდე.

"დენის უქმე დღე დაკარგულია. დენი ჭუჭყითაა დაფარული. პეტის ლუდი გაფუჭებულია. პროდუქცია მთლიანად მონამლულია. ეს რეალური დანახარჯებია, რომელიც ტიფანის სვიტრების წარმოებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამ დანახარჯებს დენი და პეტი იხდიან. მიწოდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ტიფანი ამ დანახარჯებს არ ითვალისწინებს."

დაუბრუნდით მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდებს. ააგეთ მიწოდების ახალი მრუდი ძველისგან მარჯვნივ და დააწერეთ: "მიწოდება კერძო დანახარჯების გათვალისწინებით".

განსახილველი საკითხები

გარეგანი ეფექტებით, მაგალითად, გარემოს დაბინძურებით გამოწვეული დანახარჯების შემცირება მიწოდების ზრდის გამო მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას იწვევს, სწორედ ისე,

როგორც ნებისმიერი სხვა დანახარჯის შემცირება. ამ შემთხვევაში დანახარჯები რეალურად კი არ მცირდება, არამედ მესამე მხარეს ეკისრება. ამის შედეგად ჩნდება განსხვავება საზოგადოებისთვის ოპტიმალურ საბაზრო შედეგსა და ფირმის კერძო დანახარჯებზე დამყარებულ გადაწყვეტილებას შორის.

გრაფიკზე მიღებული ორი გადაკვეთის შედარება გვიჩვენებს, რომ მომხმარებლის მიერ სვიტრში გადახდილი ფასი ძალიან მცირეა, ხოლო წარმოებული რაოდენობა — ძალიან დიდი. გარეგანი ეფექტების გათვალისწინების შემთხვევაში ფასი უფრო დიდი იქნებოდა, ხოლო რაოდენობა — უფრო მცირე.

არსებობს ბაზრის ფუნქციონირების შედეგის გაუმჯობესების რამდენიმე გზა. ყველა ეს გზა გადაწყვეტილების მიმღებების მიერ გარეგანი ეფექტების გათვალისწინებას გულისხმობს. ეს მაგალითი შეიძლება სტუდენტებისთვის გარემოს დაბინძურების გადასახადის, გარემოს დაბინძურების სამართლებრივი რეგულირებისა და სავალდებულო წესების გაცნობის მიზნით გამოვიყენოთ.

თემის საინტერესო გაგრძელება იქნება იმის განხილვა, თუ როგორ იმოქმედებს მფლობელთა შეცვლა ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე. სვიტრის ფაბრიკა, პლაჟი და ლუდის ქარხანა ერთი ადამიანის საკუთრება რომ იყოს, გარეგანი ეფექტები აუცლებლად იქნებოდა გათვალისწინებული.

10.2. კარგი სიგარა ყველას მოსწონს

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	უარყოფითი გარეგანი ეფექტები
სახელმძღვანელო:	თავი 10. გარეგანი ეფექტები
დამატებითი მასალა:	სიგარა (და სანთებელა)
მეცადინეობის დრო:	3 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	50 ან ნაკლები

მიზანი

ეს დემონსტრაცია სტუდენტებს გარეგანი ეფექტებისა და იმ მიზეზების გაგებაში დაეხმარება, თუ რატომ ინვევს გარეგანი ეფექტები ბაზრის ფუნქციონირების არაოპტიმალურ შედეგებს. ამას გარდა, ნაჩვენები იქნება მოხმარების გარეგანი ეფექტებიც.

ინსტრუქციები

სიგარას მოუკიდეთ და გააბოლეთ. გამოუშვით დიდი რაოდენობის ბოლი სტუდენტების მიმართულებით. ამცნეთ კლასს ის სიამოვნება, რომელსაც სიგარა გგვრით.

როდესაც საკლასო ოთახი ბოლით გაივსება, სტუდენტებს უთხარით, რომ ამიერიდან კლასში ყოველდღე გააბოლებთ სიგარას, ვინაიდან ეს უდიდეს სიამოვნებას განიჭებთ. ჰკითხეთ, ხომ არ არის ვინმე ამის წინააღმდეგი.

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

სტუდენტების უმრავლესობა თქვენს მიერ სიგარის ყოველდღიური გაბოლების წინააღმდეგი იქნება. სიგარიდან გამოშვებული ბოლი უარყოფითი გარეგანი ეფექტია, რომელიც კლასს დანახარჯებს აკისრებს. მნეველის გადაწყვეტილება, რომელიც მის საკუთარ სიამოვნებას ემყარება, ამ გარეგან ეფექტებს არ ითვალისწინებს. კერძო გადაწყვეტილება ოპტიმალური არ იქნება.

ამ დემონსტრაციის ჩატარება სხვა გამაღიზიანებელი საშუალებებითაც შეიძლება. შესაძლებელია ლექციის მსვლელობისას რადიოს ხმამაღალი ჩართვა. შეგიძლიათ სტუდენტების ნანილს ნივრიანი პური შესთავაზოთ. კერძო გადაწყვეტილება ოპტიმალურ შედეგს ამ შემთხვევებშიც ვერ მოიტანს.

თუ კლასი საკმაოდ დიდია, ხშირად იქნება იმ სტუდენტების მცირე ჯგუფი, რომლებიც ლექციის მსვლელობისას ერთმანეთს ესაუბრებიან. გარეგანი ეფექტების მაგალითად ამ სტუდენტების გამოყენებაც შეიძლება. მათი გადაწყვეტილება მეზობლებთან ლაქლაქის შესახებ საკუთარ სიამოვნებას ემყარება და სხვა სტუდენტებისთვის მიყენებულ ზიანს არ ითვალისწინებს. კერძო გადაწყვეტილება ვერც ამ შემთხვევაში მიგვიყვანს ეფექტიან შედეგამდე.

11.1. კერძო საქონელი/საზოგადოებრივი საქონელი: დემონსტრაცია

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	კერძო და საზოგადოებრივი საქონელი
სახელმძღვანელო:	თავი 11. საზოგადოებრივი საქონელი და საერთო რესურსები
დამატებითი მასალა:	შოკოლადის ფილა
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს გასხვავებას საზოგადოებრივ და კერძო საქონელს შორის.

ინსტრუქციები

გამოიწვიეთ მოხალისე. მიეცით შოკოლადის ფილა და სთხოვეთ მიირთვას.

სანამ სტუდენტი შოკოლადს მიირთმევს, აუხსენით, რომ არ გსურთ სიამოვნებაში ხელი შეუშალოთ და ამიტომ არ სთხოვთ არანაირი ჩანაწერების გაკეთებას. მისი ნებართვით და მისივე სიამოვნების გაზრდის მიზნით დაფაზე დახატეთ სურათი, რომელიც, შესაძლოა, არც რთული იყოს და არც ლამაზი. გამოდგება მდინარეში მოლივლივე კანოე, რომელშიც ორი კაცი ზის, განსაკუთრებით, თუ კანოე ჩანჩქერისკენ მიემართება. შეიძლება დიდი რეპროდუქციის, სლაიდის ან ნამდვილი ნახატის გამოყენებაც.

ჰკითხეთ მოხალისეს, მოსწონს თუ არა შოკოლადი და ნახატი.

ჰკითხეთ კლასის დარჩენილ ნაწილს, იღებენ თუ არა რაიმე სიამოვნებას შოკოლადისგან. შემდეგ კი ჰკითხეთ, სიამოვნებთ თუ არა ნახატი.

განსახილველი საკითხები

შოკოლადი კერძო საქონელია. ის გამოლევადი და გამორიცხვადია. მისგან სიამოვნებას მხოლოდ მოხალისე იღებს. ადვილი შესაძლებელია შოკოლადის განანილება ფასდადების მეშვეობით.

"ნახატი" არც გამოლევადია და არც გამორიცხვადი. მოხალისის მიერ მიღებული სიამოვნება სხვა სტუდენტების მიერ მიღებულ სიამოვნებას არ ამცირებს. "ნახატზე" ფასის დაწესება არაეფექტიანი იქნება, ვინაიდან მას ყველა სტუდენტი უყურებს, მიუხედავად იმისა, რომ არავინ არაფერს იხდის. "ნახატი" საზოგადოებრივი საქონელია.

ეს კარგი მაგალითია საზოგადოებრივ საქონელთან დაკავშირებული მრავალი საკითხის გასაცნობად.

11.2. უკანონო გაცვლები

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლება
სახელმძღვანელო:	თავი 11. საზოგადოებრივი საქონელი და კერძო რესურსები
დამატებითი მასალა:	მოხალისე, ქაღალდის პაკეტი
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ მაგალითით ნაჩვენებია სამართლებრივი სისტემის, როგორც საბაზრო სისტემის ინსტიტუციური მექანიზმის ნაწილის, მნიშვნელობა. მაგალითით ნათელი ხდება, რომ თვით ყველაზე მარტივი საბაზრო ურთიერთქმედებაც კი კანონმდებლობას ეფუძნება. შეიძლება სამართლებრივი სისტემის ოთხი აუცილებელი ელემენტის დემონსტრირება. სამართლებრივი სისტემა უნდა: 1) უზრუნველყოფდეს კონტრაქტების შესარულებას, 2) განსაზღვრავდეს და იცავდეს საკუთრებას, 3) ებრძოდეს თაღლითობას და 4) განსაზღვრავდეს და აძლიერებდეს პასუხისმგებლობას.

ინსტრუქციები

ახსენით, რომ ამ მაგალითში მოხსენიებული გაცვლები წარმოსახვითია და ფულისა და საქონლის რეალურ მიმოქცევას არ გულისხმობს.

მოხალისეს ჰკითხეთ, რამდენს გადაიხდის ზურგჩანთაში.

შეთანხმდით შემოთავაზებულ ფასზე. ესაა ტიპიური საბაზრო ურთიერთქმედება, რომელიც საქონლისა და ფულის გაცვლას გულისხმობს. იმის მიუხედავად, რომ ეს ურთიერთქმედება ძალიან მარტივად გვეჩვენება, სამართლებრივი სისტემის გარეშე მისი განხორციელება შეუძლებელია.

მოხალისეს ჰკითხეთ: "რა მოხდება, თუ შენ ფულს გადამიხდი, მე კი სანაცვლოდ არაფერს მოგცემ? როგორ იგრძნობ თავს?"

ბაზარი არ ფუნქციონირებს, თუ შეთანხმებებს პატივს არ სცემენ. ამ პრობლემის აღმოფხვრა სამართლებრივ სისტემას კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფით შეუძლია.

მეორე სტუდენტს გამოართვით ზურგჩანთა. მიეცით მოხალისე "მყიდველს". ამ შემთხვევაში, მყიდველიცა და გამყიდველიც კმაყოფილია. მოხალისეს ზურგჩანთა ერგება, მასწავლებელს — ფული. კლასს ჰკითხეთ, ხომ არავინაა უკმაყოფილო?

აქ ჩნდება საკუთრების უფლების პრობლემა. მასწავლებელმა სხვა სტუდენტის ზურგჩანთა მოითვისა. ამან საბაზრო ურთიერთობების წინაშე რამდენიმე პრობლემა დააყენა. თუ საკუთრება დაცული არ არის, მოხალისეს ზურგჩანთის ყიდვის მცირე სტიმული აქვს, ვინაიდან მას შეუძლია ეს ზურგჩანთა მოიპაროს და არც არაფერი გადაიხადოს. უფრო მეტიც, მოხალისეს არ გააჩნია ისეთი ნივთის ყიდვის სტიმული, რომელიც შეიძლება ყიდვისთანავე მოპპარონ. სამართლებრივმა სისტემამ უნდა განსაზღვროს და დაიცვას საკუთრების უფლებები, რათა საბაზრო ურთიერთქმედებებს ფუნქციონირების საშუალება მისცეს.

დაუბრუნეთ ზურგჩანთა მფლობელს.

მოხალისეს ამჯერად ქაღალდის პაკეტი შესთავაზეთ. უთხარით, რომ სამართლებრივად სავალდებულო კონტრაქტი გაქვთ და სრული თანხის მიღება გსურთ. აქ ჩნდება ფაქტების განზრახ დამახინჯების პრობლემა. ამ პრობლემის თავიდან აცილება სამართლებრივ სისტემას თაღლითური კონტრაქტების მოქმედების შეჩერებით შეუძლია.

ბოლოს, მოხალისეს უთხარით, რომ ახალი ზურგჩანთა გაქვთ, რომელიც ქიმიის ფაკულტეტის მიერ შემუშავებული მაღალი ტექნოლოგიითაა დამზადებული. ზურგჩანთა ძალიან გამძლე, მსუბუქი და, ამავე დროს, მოდურია. გაცვლის შედეგად ყველა კმაყოფილია. ორი კვირის შემდეგ, როდესაც მოხალისე ბიბლიოთეკაში მეცადინეობს, ზურგჩანთას ცეცხლი ეკიდება და ფეთქდება. ახალი მასალა, რომლითაც ზურგჩანთა დაამზადეს, შემადგენლობის თვალსაზრისით, არასტაბილური იყო. ხანძარი მთელ ბიბლიოთეკას ანადგურებს. ვინ უნდა აანაზღაუროს ზარალი?

უნდა აგოს თუ არა სტუდენტმა პასუხი ზარალისთვის? მასნავლებელმა? თუ ზარალი ქიმიის ფაკულტეტმა უნდა აანაზღაუროს? პასუხისმგებლობის განსაზღვრა სამართლებრივი სისტემის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

განსახილველი საკითხები

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გარდამავალი ეკონომიკა ყოველდღიურად გვაძლევს ჩამოუყალიბებელი სამართლებრივი სისტემის პირობებში მოქმედი ბაზრების პრობლემების მაგალითებს. ბაზრები საქონლის განანილების მეტად ეფექტიანი საშუალებაა, მაგრამ მათი ფუნქციონირება მხოლოდ სოციალურ მექანიზმში ხდება.

საკუთრების უფლების განსაზღვრა, შესაძლოა, ტრივიალური საკითხი იყოს ზურგჩანთის მსგავს კერძო საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებში, მაგრამ, საზოგადოდ, ის ძალიან მნიშვნელოვანია. საკუთრების უფლებების ცვლილებას დიდი მოგებისა და დიდი დანაკარგების გამოწვევა შეუძლია. გარემოს დაცვისკენ მიმართული კანონები (განსაკუთრებით ის კანონები, რომლებიც ჭაობებსა და გადაშენების პირას მდგარ სახეობებს შეეხება) და ინტელექტუალური საკუთრების უფლებები უკანასკნელ წლებში საკუთრების უფლებების განსაზღვრასთან დაკავშირებული არაერთი დისკუსიის საგანი გახდა.

პასუხისმგებლობის განსაზღვრა დღესაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ საკითხად რჩება.

12.1. ერთგვაროვანი გადასახადი?

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო თამაში
თემები:	პროგრესული, რეგრესული და პროპორციული გადასახადები
სახელმძღვანელო:	თავი 12. საგადასახადო სისტემა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	3 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ თამაშის დროს ხაზი გაესმება პროცენტების მნიშვნელობას პროგრესული, რეგრესული და პროპორციული გადასახადების განსაზღვრის დროს.

ინსტრუქციები

კლასს უთხარით, რომ კონგრესმა დაამტკიცა ახალი გადასახადი კლონირებასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევების დასაფინანსებლად. თითოეულმა მოქალაქემ $1000 უნდა გადაიხადოს.

ჰკითხეთ, პროგრესული, რეგრესული თუ პროპორციულია ეს გადასახადი.

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

მრავალი სტუდენტი, შეცდომით, ამ გადასახადს პროპორციულად ჩათვლის. მისი რეგრესული ბუნების ჩვენება მარტივი მაგალითით შეიძლება.

შეადარეთ დაბალშემოსავლიანი სტუდენტი, რომელიც ზაფხულობით ჭურჭლის რეცხვაში მხოლოდ $1000-ს გამოიმუშავებს, და უნივერსიტეტის მაღალშემოსავლიანი პრეზიდენტი, რომლის შემოსავალია $100000. ორივე მათგანი იხდის $1000-ის ტოლ გადასახადს. სტუდენტისთვის ეს გადასახადი შემოსავლის 100%-ს შეადგენს, პრეზიდენტისთვის კი — მხოლოდ 1%-ს.

ასეთი გადასახადის გადახდა დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების შემოსავლის დიდი ნაწილისა და მაღალშემოსავლიანი მოქალაქეების შემოსავლის მცირე ნაწილის გადახდას გულისხმობს. ეს რეგრესული გადასახადია.

სასარგებლო იქნება იმის აღნიშვნა, რომ პროპორციული გადასახადის შემთხვევაში დაბალშემოსავლიანი მოქალაქეები ნაკლებ თანხას იხდიან. იმავე მაგალითში, თუ სტუდენტი $10-ს გადაიხდის, ხოლო უნივერსიტეტის პრეზიდენტი — $1000-ს, მაშინ გადასახადი პროპორციული იქნება.

ამ მაგალითის დახმარებით შეგვიძლია ვისაუბროთ რეგრესული შედეგების მქონე გადასახადების სხვა ნაირსახეობების, მაგალითად, სიგარეტსა და კვების პროდუქტებზე დანესებული გადასახადების შესახებ.

12.2. "ანბანის სუპი": მთავრობის როლი

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემები:	მთავრობის როლი
სახელმძღვანელო:	თავი 12. საგადასახადო სისტემა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს საკლასო დავალება უჩვენებს მთავრობის ქმედებებს საბაზრო ეკონომიკაში.

ინსტრუქციები

სტუდენტებს სთხოვეთ შეადგინონ მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი საქონლისა და მომსახურების სია, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ფედერალური, შტატებისა და ადგილობრივი მთავრობების საქმიანობა.

ამის შემდეგ სთხოვეთ ჩამოთვალონ ყველა "ანბანური" სააგენტო (FBI, CIA, USDA და ა.შ.).

დასვით მთავარი კითხვა: რატომ ხდება, რომ საბაზრო ეკონომიკაში მთავრობა ამდენ როლს ასრულებს?

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

სტუდენტები მთავრობის ათობით ქმედებასა და თითქმის ამდენსავე სააგენტოს ჩამოთვლიან.

მთავრობის ქმედებების სასარგებლო არგუმენტებს შორის იქნება:

- ბაზრების ფუნქციონირების ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა (კანონები, სასამართლოები, ფული, SEC);
- ბაზრის ჩავარდნების თავიდან აცილება (სახელმწიფო თავდაცვა, განათლება, გზატკეცილები, EPA);
- მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლა (ანტიმონოპოლიური კანონები, საზოგადოებრივი კომუნალური მომსახურება, FTC);
- თანასწორობისა და შემოსავლის განაწილების უზრუნველყოფა (სოციალური უზრუნველყოფა, სასურსათო ბარათები);
- მაკროეკონომიკური სტაბილურობა (ფისკალური პოლიტიკა, მონეტარული პოლიტიკა);
- ჩამოთვლილი ქმედებების დაფინანსება (გადასახადები, ობლიგაციები, IRS).

12.3. სტატია მთავრობის როლის შესახებ

მეცადინეობის ხასიათი:	საშინაო დავალება
თემები:	მთავრობის როლი, საბაზრო ჩავარდნა
სახელმძღვანელო:	თავი 10. გარეგანი ეფექტები თავი 11. საზოგადოებრივი საქონელი და საერთო რესურსები თავი 12. საგადასახადო სისტემა
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს საშინაო დავალება სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გააცნობიერონ რეალური ბაზრების ჩავარდნები და მთავრობის შესაბამისი ქმედებები. რეალური პრობლემების კატეგორიებად დაყოფა სტუდენტებს საბაზრო ჩავარდნების ნაირსახეობების შესწავლაში დაეხმარება.

ინსტრუქციები

ამ დავალების შესრულება ბევრ სტუდენტს გაუჭირდება, მით უფრო, თუ მათ ცხადად არ ესმით საბაზრო ჩავარდნის ცნება. ამ დავალებისთვის მთავრობის ქმედებების ყველა მაგალითი არ გამოდგება. მთავრობის როლის შესახებ სტატიის მოძებნამდე სტუდენტებმა, შესაძლოა, სიმარტივისთვის საბაზრო ჩავარდნების შესაძლო სფეროების სიის შედგენა მოისურვონ.

განსახილველი საკითხები

საბაზრო სისტემა დამოკიდებულია ფასის ზუსტ სიგნალებზე, რომლებიც საქონლისა და მომსახურების განაწილებას განსაზღვრავს. საბაზრო ჩავარდნა ფასების სისტემის ფუნქციონირებას აბრკოლებს, რასაც რესურსების არაეფექტიანი გამოყენებისკენ მივყავართ. მთავრობის ინტერვენციას საბაზრო ჩავარდნის შემთხვევებში ეკონომიკური ეფექტიანობის გაუმჯობესება შეუძლია.

ზოგიერთმა სტუდენტმა, შესაძლოა, ამ დავალებისთვის შეუფერებელი მაგალითი დაასახელოს. ხაზი გაუსვით იმ ფაქტს, რომ საწარმოო ჩავარდნა საბაზრო ჩავარდნისგან განსხვავდება. ეფექტიანი ბაზარი არაეფექტიან ფირმებს ბაზრიდან გასვლისკენ უბიძგებს. ეს ბაზრის წარმატებაა. ანალოგიურად, ბაზარზე შეღწევას ან ახალი ტექნოლოგიის შექმნას ამ ბაზარზე მანამდე არსებული ფირმების შემოსავლების შემცირება შეუძლია, მაგრამ არც ესაა საბაზრო ჩავარდნის მაგალითი.

მთავრობის როლი

ჟურნალსა თუ გაზეთში მოძებნეთ სტატია, სადაც საუბარია საბაზრო ჩავარდნის წინააღმდეგ მიმართული სამთავრობო ღონისძიებების შესახებ.

განსაზღვრეთ საბაზრო ჩავარდნის სახეობა. რასთანაა დაკავშირებული ეს პრობლემა — უარყოფით გარეგან ეფექტებთან, დადებით გარეგან ეფექტებთან, საზოგადოებრივ საქონელთან თუ შეუზღუდავ სარგებლობასთან?

ახსენით, როგორ შეუძლია მთავრობას ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდა.

ააგეთ საბაზრო ჩავარდნის ამსახველი გრაფიკი და აღწერეთ პრობლემა. აჩვენეთ, როგორ შეცვლის მდგომარეობას მთავრობის ღონისძიებები.

მოიტანეთ სტატიის ასლი კლასში განსახილველად.

აღნიშნეთ სტატიის წყარო და გამოცემის თარიღი.

©1998 The Dryden Press

ნაწილი V — ფირმის ქცევა და დარგის ორგანიზება

"ავტომობილის წარმოების ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ავტომობილი მეორეს ჰგავდეს, ყველა ავტომობილი ერთმანეთს ჰგავდეს, ქარხნიდან გამოდიოდეს მხოლოდ ერთმანეთის მსგავსი ავტომობლები — სწორედ ისე, როგორც ქინძისთავების ქარხნის მიერ დამზადებული ქინძისთავები ჰგავს ერთიმეორეს."

ჰენრი ფორდი, 1903

13.1. ბრინჯის მოყვანა საკლასო დაფაზე: ამ საკლასო თამაშის დროს ნათლად იქნება ნაჩვენები შრომის კლებადი უკუგება ნარმოების სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში.

13.2. ინტენსიური წარმოება: ეს სავარჯიშო გვიჩვენებს, რატომ იზრდება ზღვრული დანახარჯი მოკლევადიან პერიოდში.

13.3. საშუალო და ზღვრული ნიშნები: ამ სავარჯიშოში ნიშნების და მათი საშუალო მაჩვენებლის მაგალითზე ნაჩვენებია ზღვრული და საშუალო სიდიდეების ურთიერთდამოკიდებულება და მათი ანალოგია დანახარჯებთან.

14.1. დავფიქრდეთ ფირმის შესახებ: ეს საკლასო დავალება სტუდენტებს გააცნობს ოლიგოპოლიისა და საქონლის დიფერენციაციის მნიშვნელობას შეერთებული შტატების ეკონომიკაში.

14.2. მომგებიანი შესაძლებლობა? ამ საკლასო დავალების დროს სტუდენტები შეაფასებენ საშუალო დანახარჯებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებულ საფრთხეს.

15.1. ფასისმიერი დისკრიმინაცია და დროში მოგზაურობა: ამ მეცადინეობისას სტუდენტები ერთმანეთს შეადარებენ კონკურენციას, მონოპოლიასა და ფასისმიერ დისკრიმინაციას წარმოსახვით დარგში.

16.1. სამკერდე ნიშნების ოთხი ბაზარი: ეს საკლასო დავალება ცხადყოფს, თუ რა დიდი განსხვავებაა სხვადასხვა საბაზრო სტრუქტურებში წარმოქმნილ ფასებს შორის.

16.2. სტატია ბაზრის სტრუქტურის შესახებ: ეს საშინაო დავალება სტუდენტებისგან მონოპოლიის, ოლიგოპოლიის ან მონოპოლისტური კონკურენციის მაგალითის მოძებნასა და ანალიზს მოითხოვს.

17.1. საავჭრო მარკები: ამ საკლასო დავალებით ნაჩვენები იქნება საქონლის დიფერენციაციის მნიშვნელობა.

17.2. ლურჯი ჯინსის შარვლის წონასწორული ფასი: ამ ხანმოკლე თამაშის დროს სტუდენტები გაიგებენ განსხვავებას დიფერენცირებული საქონლის მწარმოებელი ფირმის საფასო პოლიტიკასა და ამ საქონელზე საბაზრო ფასწარმოქმნას შორის.

13.1. ბრინჯის მოყვანა საკლასო დაფაზე

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	კლებადი უკუგება და ზრდადი დანახარჯები
სახელმძღვანელო:	თავი 13. წარმოების დანახარჯები
დამატებითი მასალა:	ორი მოხალისე, დაფა, ცარცი, 2 "სესხი"
მეცადინეობის დრო:	25 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	15-ზე მეტი

მიზანი

სტუდენტებს ხშირად უჭირთ იმის გაგება, თუ რატომ ხდება უკუგების კლება მოკლევადიანი პერიოდის წარმოებაში. ეს დემონსტრაცია ნათლად უჩვენებს, როგორ ზღუდავს მუდმივი სანარმოო ფაქტორები ცვალებადი სანარმოო ფაქტორების უკუგებას. ამის შემდეგ ცხადი ხდება ზღვრული დანახარჯის ზრდის მიზეზიც.

ინსტრუქციები

თითოეული "სესხი" ქაღალდის ფურცელია, რომლის ერთ მხარეს წერია დოლარის ნიშანი ($), ხოლო მეორე მხარეს — სიტყვა "სესხი". თამაშის დასაწყებად საჭიროა ორი მოხალისე და დაფაზე დაახლოებით 60 X 90 სანტიმეტრის სიდიდის ორი მართკუთხედის დახაზვა. თითოეული მართკუთხედის გვერდით დახაზეთ ორი სვეტი. ერთს დააწერეთ "შრომა", მეორეს — "წარმოების მოცულობა". თითოეულ მოხალისეს მიეცით ცარცის თითო ნატეხი, სხვა ნატეხები კი გადამალეთ. ცარცი მუდმივი სანარმოო ფაქტორია.

მოხალისეები გლეხები არიან, მართკუთხედებით კი მათი მინებია შემოსაზღვრული. ბრინჯის წარმოებისთვის საჭიროა დიდი ასოებით სიტყვა "ბრინჯის" დაწერა საკუთარ მართკუთხედში. ასოები, სულ ცოტა, 7 სანტიმეტრის სიმაღლისა უნდა იყოს. გლეხებს სურთ ყოველ 15-წამიან პერიოდში ბრინჯის მაქსიმალური რაოდენობის მოყვანა.

რა თქმა უნდა, გლეხებს ამისთვის დიდძალი თანხები სჭირდებათ (უჩვენეთ ნიშანი "$"), რომელსაც სესხის სახით იღებენ (უჩვენეთ ფურცლის მეორე მხარე). მოხალისეებს უთხარით: "ვიდრე წარმოებას დაიწყებდეთ, უნდა მიხვიდეთ კლასის მეორე ბოლოში და ჩემგან სესხი მიიღოთ."

ამ მაგალითში ცვალებადი ფაქტორი შრომაა. თამაში განმეორებადია, ხოლო სტუდენტების რაოდენობა თითოეულ პერიოდში იცვლება. საბოლოოდ, თითოეულ "ყანასთან" 5 სტუდენტი აღმოჩნდება, რომლებიც ცარცის პანანინა ნატეხით წერას ცდილობენ.

ეს მუდმივი ფაქტორებით გამონვეული შეზღუდვის ნათელი დემონსტრირებაა.

დაიწყეთ თამაში. თავდაპირველად როგორც შრომის, ისე წარმოების მოცულობის შესაბამის სვეტებში "0" დაწერეთ. არ არის შრომა — არ არის ბრინჯიც. დაიწყეთ შეჯიბრი სტუდენტების პირველ წყვილს შორის და ნახეთ, რამდენ ბრინჯს მოიყვანენ 15 წამში. მიღებული რაოდენობა ჩაწერეთ სვეტში "წარმოების მოცულობა", ხოლო სვეტში "შრომა" ჩაწერეთ "1".

ამის შემდეგ თითოეულ სტუდენტს მიეცით უფლება, აირჩიოს ამხანაგი, რომელიც მას ყანაში დაეხმარება, და განაახლეთ თამაში. სტუდენტები ცარცის ნატეხის გაყოფა დასჭირდებათ, მაგრამ სესხის მისაღებად მხოლოდ ერთი სტუდენტი უნდა წავიდეს. ამასობაში მეორეს შეუძლია წერის დაწყება. 15 წამის შემდეგ ჩაიწერეთ მათ მიერ წარმოებული ბრინჯის მოცულობა.

თამაში გაიმეორეთ მანამ, სანამ თითოეულ ყანაში სტუდენტების რაოდენობა 5-ს არ მიაღწევს. ამ დროისთვის შრომის კლებადი და, შესაძლოა, უარყოფითი უკუგება გამოჩნდება. სტუდენტებს მადლობა გადაუხადეთ და თავიანთ ადგილებზე დაბრუნება სთხოვეთ.

თამაშის ტიპიურ შედეგს ასეთი სახე აქვს:

შრომა	წარმოების მოცულობა
0	0
1	3
2	15
3	25
4	32
5	33

განსახილველი საკითხები

თითოეული დამატებული მშრომელის წილის განსაზღვრის მიზნით შეიძლება ზღვრული პროდუქტის გამოთვლა.

შრომა	წარმოებს მოცულობა	ზღვრული პროდუქტი
0	0	–
1	3	3
2	15	12
3	25	10
4	32	7
5	33	1

პროდუქციის დამატებითი ერთეულის წარმოების დანახარჯი დამოკიდებულია შრომის ხარჯებსა და ზღვრულ მწარმოებლურობაზე. თავდაპირველად ზღვრული დანახარჯი მცირდება. შემდეგ, მუდმივი ფაქტორებით გამოწვეული შეზღუდვების მოქმედების შედეგად, ზღვრული დანახარჯი ზრდას იწყებს.

13.2. ინტენსიური წარმოება

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო თამაში
თემები:	ზღვრული დანახარჯი
სახელმძღვანელო:	თავი 13. წარმოების დანახარჯები
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ მაგალითში ნაჩვენებია, თუ როგორ ინვევს მოკლევადიან პერიოდში მუდმივი საწარმოო ფაქტორები დანახარჯების ზრდას წარმოების ზრდის შედეგად. სასოფლო-სამეურნეო მაგალითი, სადაც შეზღუდვა ძალიან ძლიერია, ხელს უწყობს ამ იდეის ნათლად წარმოჩენას.

ინსტრუქციები

კლასს უთხარით, რომ გაინტერესებთ საძინებელი ოთახის სიდიდის მიწის ნაკვეთზე ხორბლის მოყვანის პერსპექტივა. ყანის ფართობი უცვლელია, მაგრამ შესაძლებელია წარმოების გაზრდის მიზნით ნებისმიერი სხვა ფაქტორის დამატება. წარმოების არსებული მეთოდი ხორბლის დათესვას და იქ მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მოსავლის ასაღებად დაბრუნებას გულისხმობს. სტუდენტებს სთხოვეთ წარმოების იმ მასალების ჩამოთვლა, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ ნაკვეთზე მაქსიმალური მოსავლის მიღებას. ააგეთ წარმოების მოცულობისა და ზღვრული დანახარჯის დამოკიდებულების გრაფიკი.

ტიპიური პასუხები:

- დათესე მეტი ხორბალი.
- გააკეთე კულტივირება.
- გამოიყენე სასუქი.
- გამოიყენე ჰერბიციდი.
- გაიყვანე ირიგაციული სისტემა.
- გადარგე ნათესები.
- ააგე სათბური.
- გაათბე სათბური..
- დააყენე ინტენსიური ზრდის გამომწვევი განათება სათბურში.

განსახილველი საკითხები

წარმოების მოცულობის გაზრდა სულ უფრო მეტი საწარმოო ფაქტორის დამატებით წარმოების ზღვრული დანახარჯის ზრდას ინვევს. მიწის მცირე ნაკვეთზე ხორბლის დამატებითი რაოდენობის მოყვანა მხოლოდ გაზრდილი ზღვრული დანახარჯითაა შესაძლებელი.

მოცემულ ნაკვეთზე შესაძლებელი მოსავლის მაქსიმალური რაოდენობა პირველ ვარაუდებს ბევრად აღემატება. ჯულიან საიმონი ამტკიცებს, რომ ოჯახს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია საკუთარი თავის გამოკვება საწოლი ოთახიდან გაუსვლელად, თუ ერთმანეთზე დაწყობილ ჰიდროპონულ ფენებს გამოიყენებს. რა თქმა უნდა, წარმოების ეს მაქსიმალური მოცულობა წარმოების ფაქტორების ეკონომიკურად ოპტიმალურ რაოდენობაზე გაცილებით მეტს საჭიროებს.

აქვე შესაძლებელია სტუდენტებისთვის მოგების მაქსიმიზაციის ელემენტების გაცნობაც. ხორბალი სათბურში იმიტომ არ მოგვყავს, რომ ხორბლის ფასი მისი მოყვანის დანახარჯებს ვერ ფარავს. თუ პროდუქციის ღირებულება ძალიან მაღალია, მაშინ ჩამოთვლილი აგრარული მეთოდებიდან ნებისმიერის მომგებიანად გამოყენება შეიძლება. კომერციულ სათბურებში ძვირფასი საქონელი მოჰყავთ, მაგალითად, პომიდორი და სალათა.

13.3. საშუალო და ზღვრული ნიშნები

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	დამოკიდებულება ზღვრულ და საშუალო დანახარჯებს შორის
სახელმძღვანელო:	თავი 13. წარმოების დანახარჯები
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ სწრაფ სავარჯიშოში გამოყენებული ანალოგია სტუდენტებს უჩვენებს, რომ მათთვის უკვე ცნობილია დამოკიდებულება ზღვრულ და საშუალო სიდიდეებს შორის.

ინსტრუქციები

კლასს უთხარით, რომ "ეკონომიკის პრინციპების" შემსწავლელ კურსს დაემატა ტყუპი სტუდენტი, რომელთაგან თითოეულის საშუალო ნიშანი იყო "B".

პირველი ტყუპისცალი ამ კურსში იღებს "C" ნიშანს. რა მოსდის მის საშუალო ნიშანს?

მეორე ტყუპისცალი იღებს "A"-ს. რა მოსდის მის საშუალო ნიშანს?

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

ყველა სტუდენტს ეცოდინება, რომ №1-ის GPA შემცირდება, ხოლო №2-ის GPA გაიზრდება. "ზღვრული" ნიშანი, რომელიც საშუალოზე ნაკლებია, საშუალო ნიშანს შეამცირებს. "ზღვრული" ნიშანი, რომელიც საშუალოზე მეტია, საშუალო ნიშანს გაზრდის.

იგივე შეიძლება ითქვას ზღვრული დანახარჯისა და საშუალო დანახარჯის შესახებაც. თუ ზღვრული დანახარჯი საშუალოზე ნაკლებია, ეს უკანასკნელი შემცირდება, ხოლო თუ მეტია — გაიზრდება.

14.1. დავფიქრდეთ ფირმის შესახებ

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემები:	ბაზრის სტრუქტურა
სახელმძღვანელო:	თავი 14. კონკურენტული ფირმა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს მეცადინეობა სტუდენტებს ბაზრის სტრუქტურის კონცეფციის რეალურ სამყაროსთან დაკავშირებაში დეხმარება.

ინსტრუქციები

სტუდენტებს სთხოვეთ წერილობით უპასუხონ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს. ყველა პასუხის გაცემის შემდეგ თითოეულმა სტუდენტმა თავისი პასუხი მეზობელს უნდა გაუზიაროს. დაფაზე ჩამოწერეთ ოთხი საბაზრო სტრუქტურა და სტუდენტებს სთხოვეთ დაასახელონ თითოეული კატეგორიის შესაბამისი მაგალითები.

1. დანერეთ რომელიმე კონკრეტული ფირმის სახელი. ფირმა რეალური უნდა იყოს და არა წარმოსახვითი.
2. რა საქონელსა თუ მომსახურებას ყიდის ეს ფირმა? თუ ფირმა მრავალფეროვან საქონელს ყიდის, მაშინ შემდეგ კითხვებზე პასუხის გასაცემად ერთ-ერთი საქონელი აირჩიეთ.
3. რომელი ფირმები უწევენ ამ კომპანიას კონკურენციას? მრავალი კონკურენტია, ერთი თუ არცერთი?
4. კონკურენტი ფირმები ზუსტად ასეთ საქონელს ყიდიან თუ თითოეული კომპანიის საქონელს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებები აქვს?
5. მიაკუთვნეთ ეს დარგი ქვემოთ ჩამოთვლილი საბაზრო სტრუქტურებიდან ერთ-ერთს:
   - ა) კონკურენცია
     - მრავალი ფირმა
     - იდენტური საქონელი
   - ბ) მონოპოლია
     - ერთი ფირმა
     - უნიკალური საქონელი
   - გ) ოლიგოპოლია
     - რამდენიმე ფირმა
     - სტანდარტული ან დიფერენცირებული საქონელი
   - დ) მონოპოლისტური კონკურენცია
     - ბევრი ფირმა
     - დიფერენცირებული საქონელი

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

ბევრი სტუდენტი აირჩევს კომპანიას, რომელიც სამომხმარებლო საქონელს აწარმოებს. ამ შემთხვევაში საქონლის დიფერენციაცია ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ამ დარგების უმეტესობა ან ოლიგოპოლიაა ან მონოპოლისტური კონკურენცია. რამდენიმე სტუდენტი დაასახელებს მონოპოლიის მაგალითს, განსაკუთრებით, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ფარმაცევტიკის დარგებში. წმინდა კონკურენციის მაგალითს თითქმის არავინ მოიყვანს.

კონკურენცია, ეს ეკონომიკური იდეალი, არასაკმარისად ზუსტად აღწერს ეკონომიკის ყველა სექტორს. იმის ახსნა, რომ კონკურენცია განსაკუთრებული შემთხვევაა (და კონკურენტული დარგების რამდენიმე მაგალითის მოყვანა), სტუდენტებს იმის გაგებაში დაეხმარებათ, თუ რატომ ხასიათდება კონკურენტული ფირმები მოთხოვნის ჰორიზონტალური მრუდით და რატომ ვერ აკონტროლებენ ისინი ფასებს.

ზოგ სტუდენტს შეიძლება გაუჩნდეს კითხვები ოლიგოპოლიასა და მონოპოლისტურ კონკურენციას შორის არსებულ განსხვავებასთან დაკავშირებით. მკვეთრი ზღვრის გავლება "რამდენიმესა" და "ბევრს" შორის ზოგჯერ სულაც არ არის ადვილი. ამ კითხვებზე პასუხისთვის შესაძლებელია საჭიროა ბაზრის კონცენტრაციის საზომის განხილვა.

14.2. მომგებიანი შესაძლებლობა?

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემები:	მოგების მაქსიმიზაცია
სახელმძღვანელო:	თავი 14. ფირმები კონკურენტულ ბაზრებზე
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ სავარჯიშოში ხაზგასმულია ზღვრული დანახარჯის მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღებისას. აქ ნაჩვენებია, რომ საშუალო დანახარჯებს ჩვენი შეცდომაში შეყვანა შეუძლია.

ინსტრუქციები

კლასს უთხარით: "კოლეჯის დამთავრების შემდეგ თქვენ დაიწყეთ მუშაობა კომპანიაში "იუნივერსალ კლონს ინკ." წარმოების მენეჯერად. შაბათ-კვირას კომპანიაზე პასუხს მხოლოდ თქვენ აგებთ."

"თქვენი დანახარჯები ქვემოთაა მოცემული."

რაოდენობა	საშუალო მთლიანი დანახარჯი
500	200
501	201

"ამჟამად თქვენი წარმოების მოცულობა 500 ერთეულია. ხუთასივე ერთეული თქვენმა მუდმივმა მომხმარებლებმა შეგიკვეთეს."

"გაისმის ტელეფონის ზარი. ეს ახალი მომხმარებელია, რომელსაც თქვენი საქონლის 1 ერთეულის შეძენა სურს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარმოების მოცულობა 501 ერთეულამდე უნდა გაზარდოთ. ახალი მომხმარებელი დამატებითი ერთეულის წარმოებისთვის $450-ს გთავაზობთ."

ა) მიიღებთ თუ არა შეკვეთას?
ბ) როგორია ფირმის მოგების წმინდა ცვლილება?

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

სტუდენტების უმრავლესობა შეკვეთის მიღებას დათანხმდება. ერთი შეხედვით, $450-ად იმის გაყიდვა, რისი წარმოების საშუალო დანახარჯიც $201-ა, მომგებიანია. ეს სტუდენტები ცდებიან.

უფრო მართებულია ზღვრული დანახარჯისა და ზღვრული შემოსავლის შედარება. ზღვრული დანახარჯის გამოთვლა ადვილია — ის მთლიანი დანახარჯის ცვლილების ტოლია.

რაოდენობა	საშუალო მთლიანი დანახარჯი	საშუალო დანახარჯი = Q*ATC
500	200	100 000
501	201	100 701

$100 701 - $100 000 = $701

ამ მაგალითში ზღვრული დანახარჯი $701-ის ტოლია. ეს ბევრად მეტია, ვიდრე ზღვრული შემოსავალი — $450. შეკვეთა არ უნდა მივიღოთ, ვინაიდან მისი შესრულების შედეგად კომპანიის მოგება $251-ით შემცირდება.

15.1. ფასისმიერი დისკრიმინაცია და დროში მოგზაურობა

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	ფასისმიერი დისკრიმინაცია, სამომხმარებლო დანაზოგი
სახელმძღვანელო:	თავი 15. მონოპოლია
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ მაგალითში ნაჩვენებია, როგორ იღებს მონოპოლისტი, რომელიც ფასისმიერ დისკრიმინაციას ახორციელებს, იმაზე მეტ მოგებას, ვიდრე მონოპოლისტი, რომელიც ერთიან ფასს აწესებს. მაგალითში გამოყენებულია წარმოსახვითი დროის მანქანა, რომელიც მონოპოლისტის მოგებისა და სამომხმარებლო დანაზოგის შეფასებაში გვეხმარება. განიხილება კონკურენციის, მონოპოლიისა და ფასისმიერი დისკრიმინაციის მაგალითები.

ინსტრუქციები

დროში მოგზაურობაზე მოთხოვნის მრუდისთვის, რომელიც ქვემოთაა მოცემული, გამოიყენეთ თქვენი სტუდენტების სახელები.

სთივს დინოზაერების ეპოქაში გამგზავრება სურს. დროის მანქანით სარგებლობისთვის ის მზადაა $200 გადაიხადოს.

ჯოისს ამ სემესტრის დასაწყისში დაბრუნება სურს, რისთვისაც მზადაა $150 გადაიხადოს.

ჩიპს ამ სემესტრის სწრაფად დასრულება სურს, რისთვისაც მზადაა $125 გადაიხადოს.

დოუნს სურს, ამ გაკვეთილს "გადაახტეს". ამ მიზნით ის მზადაა $100 გადაიხადოს.

დროში მოგზაურობაზე მოთხოვნის მრუდს ასეთი სახე აქვს:

ფასი	რაოდენობა
$200	1
$150	2
$125	3
$100	4

სიმარტივისთვის დავუშვათ, რომ დროში მოგზაურობის ზღვრული დანახარჯი მუდმივია და $100-ის ტოლია.

თუ დროში მოგზაურობა კონკურენტული დარგია, მაშინ ფასი ზღვრული დანახარჯის ტოლი იქნება და 4 მოგზაურობა გაიყიდება.

სამომხმარებლო დანაზოგი იქნება $175.

სამომხმარებლო დანაზოგი = (200-100)+(150-100)+(125-100)+(100-100)= 175

მოგება ნულის ტოლი იქნება.

მოგება=400-400

დავუშვათ, დროში მოგზაურობა დაპატენტებული საქონელია, რაც ფირმას სრული მონოპოლიური კონტროლის საშუალებას აძლევს. მონოპოლისტი ზღვრულ დანახარჯსა და ზღვრულ შემოსავალს ერთმანეთს გაუტოლებს, რათა მაქსიმალური მოგების შესაბამისი რაოდენობა დაადგინოს. ერთიანი ფასის შემთხვევაში მონოპოლისტის მთლიანი შემოსავალი ფასისა და რაოდენობის ნამრავლი იქნება.

ფასი	რაოდენობა	მთლიანი შემოსავალი	ზღვრული შემოსავალი
$200	1	200	200
$150	2	300	100
$125	3	375	75
$100	4	400	25

ერთიანი ფასის განმსაზღვრელი მონოპოლისტი იმოქმედებს იქ, სადაც MC=MR. ზღვრული დანახარჯი მუდმივია და $100-ის ტოლია, ამიტომ მონოპოლისტი გაყიდის ორ მოგზაურობას $150-ად. სამომხმარებლო დანაზოგი შემცირდება და $50-ს გაუტოლდება.

სამომხმარებლო დანაზოგი = (200-150)+(150-150) = 50

მოგება გაიზრდება $100-მდე.

მოგება = 300-200=100

განვიხილოთ ფასისმიერი დისკრიმინაციის მაგალითი. დისკრიმინატორი მონოპოლისტი თითოეულ მომხმარებელს მისი გადახდისთვის მზადყოფნის ტოლ ფასს გადაახდევინებს. მთლიანი შემოსავალი სხვადასხვა მომხმარებლისთვის დანესებული სხვადასხვა ფასების ჯამის ტოლი იქნება. ამ შემთხვევაში სთივი გადაიხდის $200-ს, ჯოისი — $150-ს, ჩიპი — $125-ს, ხოლო დოუნი — $100-ს.

ფასი	რაოდენობა	მთლიანი შემოსავალი	ზღვრული შემოსავალი
$200	1	200	200
$200,150	2	350	150
$200,150,125	3	475	125
$200,150,125,100	4	575	100

დისკრიმინატორი მონოპოლისტიც გამოიყენებს MC=MR წესს. ზღვრული დანახარჯი კვლავ $100 იქნება, მაგრამ ამჯერად ზღვრული შემოსავალი დამატებითი მომხმარებლის მიერ გადახდილი მთლიანი თანხის ტოლი იქნება. დისკრიმინატორი მონოპოლისტი გაყიდის 4 მოგზაურობას. თითოეული მომხმარებელი განსხვავებულ ფასს გადაიხდის. სამომხმარებლო დანაზოგი ნულის ტოლი იქნება.

სამომხმარებლო დანაზოგი = (200-200)+(150-150)+(125-125)+(100-100) = 0

მოგება ჩვეულებრივი მონოპოლისტის მოგებაზე მეტი იქნება.

მოგება = 575-400 = 175

<u>განსახილველი საკითხები</u>

ფასის დისკრიმინატორი მონოპოლისტი მეტს ანარმოებს, ვიდრე ჩვეულებრივი მონოპოლისტი. მისი მოგებაც მეტია. ამ მონოპოლისტს შეუძლია სრული ფასისმიერი დისკრიმინაციის განხორციელება, რის შედეგადაც სამომხმარებლო დანაზოგი ნულს უტოლდება.

ფასისმიერი დისკრიმინაცია სამ ფაქტორზეა დამოკიდებული: მონოპოლიურ ძალაზე, მომხმარებლის გადახდისთვის მზადყოფნის დადგენაზე და ხელახალი გაყიდვის თავიდან აცილების უნარზე. თუ დოუნს შეეძლება დროში მოგზაურობის $100-ად ყიდვა და შემდეგ სთივისთვის $200-ად მიყიდვა, მაშინ ფასისმიერი დისკრიმინაცია არსებობას შეწყვეტს.

16.1. სამკერდე ნიშნების ოთხი ბაზარი

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	ბაზრის სტრუქტურა და ფასი
სახელმძღვანელო:	თავი 16. ოლიგოპოლია
დამატებითი მასალა:	7 მოხალისე, ფული ($2,5-$4)
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	15-ზე მეტი

მიზანი

ეს დემონსტრაცია აჩვენებს, როგორ ინვევს ბაზრების სტრუქტურებს შორის განსხვავება მომხმარებლისთვის ფასებს შორის განსხვავებას. ამას გარდა, აქ ნაჩვენებია, თუ როგორ შეუძლია კომუნიკაციებს ოლიგოპოლიის მოგების გაზრდა. რეალური ფულის მოგების შესაძლებლობა სტუდენტების დიდ დაინტერესებას ინვევს.

ინსტრუქციები

კლასი 4 ჯგუფად იყოფა. A ჯგუფში 1 სტუდენტია (პირველი მოხალისე). B და C ჯგუფებში სამ-სამი სტუდენტია. D ჯგუფში კლასის დარჩენილი ნაწილი შედის.

თითოეული ჯგუფი სამკერდე ნიშნების მხოლოდ ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელ სამკერდე ნიშნებს ანარმოებს. ჯგუფის ფარგლებში ფირმები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, მაგრამ ჯგუფებს შორის კონკურენცია არ არსებობს. სამკერდე ნიშნების წარმოებისთვის ფურცელზე უნდა დაინეროს სიტყვები "სამკერდე ნიშანი".

A ჯგუფი მონოპოლიას წარმოადგენს. მონოპოლისტს არ სჭირდება რომელიმე სხვა ფირმის ქმედებების გათვალისწინება. პროფესორი A ჯგუფისგან ერთ სამკერდე ნიშანს ყიდულობს. ის მზადაა ამისთვის $1 გადაიხადოს.

B ჯგუფი ოლიგოპოლიას წარმოადგენს. ჯგუფის წევრები ერთმანეთთან ურთიერთობენ და ერთმანეთის ქმედებებს თვალყურს ადევნებენ (ეს სტუდენტები ერთად დასვით). მათ უფლება აქვთ, ერთად მიიღონ ესა თუ ის გადანყვეტილება და შეთანხმდნენ მოგების განაწილების შესახებ. პროფესორი B ჯგუფისგან ერთ სამკერდე ნიშანს ყიდულობს, რისთვისაც მზადაა $1 გადაიხადოს, მაგრამ სამკერდე ნიშანს მხოლოდ უმცირესი ფასის მქონე ფირმისგან იყიდის.

C ჯგუფიც ოლიგოპოლიაა. ამ ჯგუფის წევრებს ერთმანეთთან ურთიერთობა არ შეუძლიათ (ეს სტუდენტები ერთმანეთისგან მოშორებით დასვით). პროფესორი B ჯგუფისგან ერთ სამკერდე ნიშანს ყიდულობს. ამისთვის ის მზადაა $1 გადაიხადოს, მაგრამ სამკერდე ნიშანს მხოლოდ უმცირესი ფასის მქონე ფირმისგან იყიდის.

D ჯგუფი კონკურენციას წარმოადგენს. პროფესორი D ჯგუფისგან ერთ სამკერდე ნიშანს ყიდულობს. ამისთვის ის მზადაა $1 გადაიხადოს, მაგრამ სამკერდე ნიშანს მხოლოდ უმცირესი ფასის მქონე ფირმისგან იყიდის.

თითოეული ჯგუფის სტუდენტებს სთხოვეთ, ქაღალდზე დაწერონ თავიანთი სახელები და შემოთავაზებული ფასები. გაახსენეთ, რომ მათ დასჭირდებათ ჯგუფის ფარგლებში მოქმედი მეტოქეების შემოთავაზებების განხილვაც, ვინაიდან ფულს მხოლოდ საუკეთესო შემოთავაზების ავტორი მიიღებს.

თანმიმდევრობით შეაგროვეთ თითოეული ჯგუფის შემოთავაზებები. თითოეულ ჯგუფს გადაუხადეთ უმცირესი შემოთავაზებული ფასი.

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

მონოპოლისტის შემოთავაზება იქნება $1, მაქსიმალური გადახდისთვის მზადყოფნა.

ერთმანეთთან ურთიერთობის უფლების მქონე თითოეული ოლიგოპოლისტი, როგორც წესი, საკუთარ საქონელს $1-ის ტოლ ფასს დაადებს. ისინი თითქმის ყოველთვის მიაღწევენ შეთანხმებას მოგების განაწილების შესახებ.

ოლიგოპოლისტები, რომლებიც ერთმანეთთან არ ურთიერთობენ, უფრო დაბალ ფასებს დაანესებენ. მათი ინდივიდუალური შემოთავაზებები ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება. როგორც წესი, ეს შემოთავაზებები $0,25-დან თითქმის დოლარამდე მერყეობს.

კონკურენტული ჯგუფის შემოთავაზებებიც ასევე მრავალფეროვანი იქნება, მაგრამ უმცირესი შემოთავაზება C ჯგუფის უმცირეს შემოთავაზებაზე ნაკლები იქნება. როგორც ნესი, ეს სამკერდე ნიშანი $0,01-ად გაიყიდება.

ნათლად ჩანს დამოკიდებულება ფასსა და ბაზრის სტრუქტურას შორის. მონოპოლისტის ფასი კონკურენტული ფირმის ფასზე 100-ჯერ მეტია.

ოლიგოპოლისტებს შორის კომუნიკაცია ფასის შეთანხმების საშუალებას იძლევა. მოლაპარაკებას შეუძლია მაქსიმალური საერთო მოგების შესაბამისი ფასის, ანუ მონოპოლიური ფასის მიღწევა. კომუნიკაციის შეზღუდვა მკვეთრად ამცირებს ოლიგოპოლისტების მიერ ფასდადების კოორდინირების უნარს.

კონკურეტთა დიდი რაოდენობის შედეგად ფასები წარმოების დანახარჯების ტოლი ხდება, ვინაიდან ნებისმიერი ფირმის მიერ მაღალი ფასის დაწესებას სხვა ფირმები უფრო დაბალი ფასის დაწესებით პასუხობენ.

16.2. სტატია ბაზრის სტრუქტურის შესახებ

მეცადინეობის ხასიათი:	საშინაო დავალება
თემები:	ბაზრის სტრუქტურა
სახელმძღვანელო:	თავი 15. მონოპოლია თავი 16. ოლიგოპოლია თავი 17. მონოპოლისტური კონკურენცია
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს დავალება აერთიანებს რამდენიმე კონცეფციას და მათ რეალურ მაგალითთან აკავშირებს. სტუდენტები ადვილად მოძებნიან ოლიგოპოლიის, მონოპოლიისა და მონოპოლისტური კონკურენციის მაგალითებს. ზოგიერთ სტუდენტს გაუჭირდება ანალიზისთვის სათანადო მოდელის არჩევა, განსაკუთრებით, ოლიგოპოლიურ დარგებში.

ინსტრუქციები

სტუდენტებს ქვემოთ მოცემული დავალების შესრულება სთხოვეთ.

განსახილველი საკითხები

ამ დავალებაში ხაზგასმულია რეალურ სამყაროში პროდუქციის დიფერენციაციისა და ოლიგოპოლიის მნიშვნელობა. არასრულყოფილი კონკურენციის მაგალითები უფრო ადვილი მოსაძებნია, ვიდრე სრულყოფილისა.

ფირმების უმრავლესობას საკუთარ საქონელზე მოთხოვნის კლებადი მრუდის შესაბამისად უნევს მოქმედება. ეს საბაზრო ძალაუფლება მათ ფასზე გარკვეული კონტროლის საშუალებას აძლევს. ამას გარდა, მრავალ ფირმას უხდება საკუთარი ქმედებების მეტოქე ფირმების გადანყვეტილებებზე ზემოქმედების გათვალისწინება.

მრავალ ფირმას შეუძლია ეკონომიკური მოგების მიღება მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში მოგება ბაზარზე შეღწევის ბარიერებზეა დამოკიდებული.

გვარი_____ კურსი_____

არასრულყოფილი კონკურენცია

უახლეს გაზეთსა თუ ჟურნალში მოძებნეთ სტატია, სადაც ნაჩვენები იქნება სრულყოფილი კონკურენციისგან განსხვავებული საბაზრო სტრუქტურა.

მონოპოლია, მონოპოლისტური კონკურენცია თუ ოლიგოპოლიაა განხილული ამ მაგალითში?

იღებენ თუ არა, თქვენი აზრით, ამ დარგში მოქმედი ფირმები ეკონომიკურ მოგებას? მოსალოდნელია თუ არა ამ ბაზარზე ახალი ფირმების შესვლა?

სიტუაციის ასახსნელად გამოიყენეთ კლასში ჩატარებული ანალიზი და ტექსტი. გამოიყენეთ ეკონომიკური მსჯელობა და აჩვენეთ თქვენი ანალიზი გრაფიკის ან სხვა სათანადო მოდელის გამოყენებით.

მოიტანეთ სტატიის პირი თქვენს ახსნა-განმარტებასთან ერთად.

სტატიის წყარო_____ თარიღი_____

© 1998 The Dryden Press

17.1. სავაჭრო მარკები

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემები:	საქონლის დიფერენციაცია
სახელმძღვანელო:	თავი 17. მონოპოლისტური კონკურენცია
დამატებითი მასალა:	კითხვების პირები ყველა სტუდენტისთვის
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ თამაშის დროს ნაჩვენებია საქონლის დიფერენციაციის მნიშვნელობა სამომხმარებლო საქონლის შემთხვევაში.

ინსტრუქციები

სტუდენტებს დაურიგეთ კითხვების პირები. სთხოვეთ, გამოიყენონ ინტუიცია, თუ კონკრეტული საქონლის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არა აქვთ. დაარწმუნეთ, რომ პასუხები მათ ნიშნებზე არ იმოქმედებს. მას შემდეგ, რაც სტუდენტები კითხვარის შევსებას დაასრულებენ, სათითაოდ ჩამოთვალეთ თითოეული საქონელი, ხოლო სტუდენტებს სთხოვეთ, ხელი ასნიონ მათ მიერ შემოხაზული საქონლის სახელის გაგონებისას.

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

სტუდენტების პასუხები მრავალფეროვანი იქნება და თითოეული კომპანიის ყველა სახის საქონელი დასახელდება. ყველა პასუხი სწორია. თითოეულ შემთხვევაში კომპანია ყველა დასახელებულ საქონელს ანარმოებს.

ამ გზით ნაჩვენები იქნება სამომხმარებლო ბაზრებზე საქონლის დიფერენციაციის დიდი მნიშვნელობა. ეს ფირმები დიდ ხარჯებზე მიდიან, რათა შექმნან და შეინარჩუნონ ცალკეული სახელები თავიანთი საქონლის სხვადასხვა სახეობებისთვის, რომელთაც ერთი და იგივე ფუნქცია აქვთ.

ეს კითხვარი შეიძლება გამოიყენოთ საქონლის დიფერენციაციის მოთხოვნაზე ზემოქმედების ან რეკლამის შედეგებზე სასაუბროდ.

სავაჭრო მარკები

შემოხაზეთ თითოეული კომპანიის სავაჭრო მარკები

1. მარგარინი. "უნილეევერი" აწარმოებს:
ა) "იმპერიალს" ბ) "ფრომისს" გ) "ქანთრი ქროქს" დ) "შედსს"
ე) "კრონას" ვ) "მისის ფილბერთს" ზ) "არ მჯერა, რომ ეს კარაქი არ არის"-ს

2. წყალი. "ნესტლე" აწარმოებს:
ა) "პერიე ს" ბ) "ეროუპედს" გ) "ფოულენდ სთრინგს"
დ) "აის მაუნთინს" ე) "ვითელს" ვ) "ქონთრექსს"

3. ცხოველების საკვები. "ქუეიქერი" აწარმოებს:
ა) "გრეივი თრეინს" ბ) "გეინს ბერგერსს" გ) "საიქლს"
დ) "ქიბლს'ნ'ბითსს" ე) "თოფ ჩოისს" ვ) "ქენ-ლ-რეიშნს"

4. საპონი. "პროქტერ ანდ გემბლი" აწარმოებს:
ა) "სეიფგარდს" ბ) "ზესტს" გ) "აივორის" დ) "ქამეის" ე) "ლავას"

5. ჯინსები. "ვ.ფ. ქორფორეიშნი" აწარმოებს:
ა) "ლის" ბ) "რანგლერს" გ) "რასლერს" დ) "ჯირბაუდს"

6. მაკარონი. "ბორდენი" აწარმოებს:
ა)"ქრიმეთეს" ბ) "პრინსს" გ) "ბრავოს"
დ) "დათჩ მეიდს" ე) "გიოია" ვ) "ენთონისს"

7. ყავა. "ფილიპ მორისი" აწარმოებს:
ა) "ბრიმს" ბ) "მაქსიმს" გ) "სანკას"
დ) "მაქსველ ჰაუსს" ე) "იუბანს"

8. სამომხმარებლო ელექტროსაქონელი. "მაცუშიტა" აწარმოებს:
ა) "პანასონიკს"ბ) "თექნიქსს" გ) "ქუაზარს" დ) "ნეიშნლს"

9. არაყი. "გრენდ მეტროპოლიტენი" აწარმოებს:
ა) "სმირნოფს" ბ) "პოპოვს" გ) "ფინლანდიას"

© 1998 The Dryden Press

17.2. ლურჯი ჯინსის შარვლის წონასწორული ფასი

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	საქონლის დიფერენციაცია
სახელმძღვანელო:	თავი 17. მონოპოლისტური კონკურენცია
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ დემონსტრაციით ნაჩვენები იქნება, რომ საბაზრო მიწოდებისა და მოთხოვნის გრაფიკები ფასის ზედმეტად გამარტივებულ სურათს იძლევა, როდესაც საქონელი დიფერენცირებულია.

ინსტრუქციები

სტუდენტებს სთხოვეთ, ააგონ მიწოდებისა და მოთხოვნის გრაფიკები, სადაც ასახული იქნება ლურჯი ჯინსის ბაზარი. გრაფიკების აგების შემდეგ სთხოვეთ აღნიშნონ წონასწორული ფასი დოლარებში გამოხატული რეალური რიცხვით. ეს რიცხვი მაქსიმალურად ზუსტად უნდა ასახავდეს ჯინსის შარვლის ფასს.

დაფაზე ააგეთ მიწოდებისა და მოთხოვნის სტანდარტული გრაფიკები. რომელიმე სტუდენტს სთხოვეთ, დაასახელოს წონასწორული ფასი. ასევე მოიქცეს რამდენიმე სხვა სტუდენტი.

<u>ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები</u>

სტუდენტების მიერ დასახელებული ფასების დიაპაზონი დიდი იქნება და ის ლურჯი ჯინსის შარვლის რეალურ ფასებს ასახავს. არც თუ ისე დიდი ხნის ნინ ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში ეს ფასები $14-დან $100-მდე მერყეობდა.

ფასების განსხვავება საქონლის დიფერენციაციას ასახავს. ხარისხი, სტილი და რეპუტაცია — ეს ყველაფერი ჯინსის შარვლის ფასზე მოქმედებს. ამასთან, სხვადასხვა საბითუმო მაღაზიაში ფასები ხშირად სხვადასხვაა.

მიწოდებისა და მოთხოვნის მარტივ მრუდს შეუძლია სარგებლობის მოტანა ჯინსის შარვლების ბაზრის ზოგადი ანალიზისას, მაგრამ ცალკეული ფასები და რაოდენობები თითოეული საქონლის მოთხოვნისა და დანახარჯის მრუდებით განისაზღვრება.

ნაწილი VI — შრომის ბაზრების ეკონომიკა

"ამ კვირაში უარი ვთქვი "უოლის კომპენსაციის წონასწორობის პროექტზე". ჩემი მიზანია ისე შევამცირო ჩემი შრომის ხარისხი, რომ ის ჩემს ხელფასს შეესაბამებოდეს."

ადამ სმიტი, "დილბერთი"

19.1. თანაბარი შემოსავალი: ამ საკლასო დავალების შესრულებისთვის სტუდენტებს მოეთხოვებათ შეერთებული შტატების ეკონომიკის ისეთი ცვლილების განხილვა, რომლის შედეგადაც შემოსავალი თანაბრად იქნება განაწილებული.

20.1. რა გჭირდებათ ცხოვრების მინიმალური დონის შესანარჩუნებლად? ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტები განიხილავენ დამოკიდებულებას დაბალ შემოსავლებსა და სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს შორის.

20.2. ღარიბის პორტრეტი: ამ სწრაფი სავარჯიშოს შესრულებისას სტუდენტები განიხილავენ სიღარიბესთან დაკავშირებულ ზოგიერთ სტერეოტიპს.

19.1. თანაბარი შემოსავალი

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემები:	სტიმულები, შემოსავლის განაწილება
სახელმძღვანელო:	თავი 19. ხელფასები და დისკრიმინაცია
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს სავარჯიშო მიზნად ისახავს შრომის ბაზართან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, რისთვისაც განიხილავს სრული თანასწორობის ნარმოსახვით სიტუაციას. აქვე განიხილება სტიმულებისა და სამუშაო ადგილებს შორის განსხვავების საკითხები. ეს თემა, როგორც წესი, ცოცხალ დისკუსიას ინვევს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ნარმოდგენილია რეალისტური ალტერნატივა.

ინსტრუქციები

სტუდენტებს სთხოვეთ, უპასუხონ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს. თითოეულ კითხვაზე წერილობითი პასუხის გაცემის შემდეგ პასუხები ერთად თანამიმდევრულად განიხილეთ.

სტუდენტებს სთხოვეთ, განიხილონ აშშ ეკონომიკური სისტემის შეცვლა ისეთი სისტემით, სადაც ყველას ზუსტად ერთნაირი ხელფასი აქვს. დაუშვით, რომ თითოეული ოჯახი მშპ-ს ერთსა და იმავე წილს იღებს. ამ შემთხვევაში, ოთხი წევრისგან შემდგარი ტიპიური ოჯახის შემოსავალი იქნება $90000-ზე მეტი.

1. მხარს უჭერთ თუ არა ასეთ სისტემას? ახსენით.

2. რა პრობლემები გაჩნდება ასეთ სისტემაში?

3. რა მექანიზმები უნდა ამოქმედდეს ამ პრობლემების გადასაჭრელად?

4. ვინ მიიღებს სარგებლობას შემოსავლის განაწილების გათანაბრების შედეგად?

5. რა სახის სამუშაო ადგილები დარჩება შეუვსებელი?

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

1. მხარს უჭერთ თუ არა ასეთ სისტემას? ახსენით.
სტუდენტების უმრავლესობა შემოსავლის თანაბარი განაწილების წინააღმდეგი იქნება. რამდენიმე სტუდენტს არსებული სისტემის პირობებში მეტი ფულის გამომუშავების იმედი ექნება. სტუდენტების ნაწილი მიუთითებს სხვადასხვა სახის პრობლემებზე, რომლებიც თანასწორობის ეფექტიანობას საეჭვოს ხდის. დანარჩენები ასეთ სიტუაციას, უბრალოდ, "არაამერიკულად" აღიქვამენ.

2. რა პრობლემები გაჩნდება ასეთ სისტემაში?
გაჩნდება უამრავი პრობლემა. შეიძლება შემცირდეს ეროვნული შემოსავალი, თუ შრომის სტიმული რადიკალურად შეიცვალა. ხალხმა, შესაძლოა, შრომაზე საერთოდ უარი თქვას. სხვები თავიანთ ძალისხმევას შეამცირებენ. არასასიამოვნო სამუშაო ადგილები ცარიელი იქნება. ყველა საინტერესო სამუშაო ადგილს მოისურვებს. გაჩნდება დაბრკოლებები ახალი გამოგონებებისა და ტექნოლოგიის განვითარებაში. დანაზოგები, ინვესტიციები და ინვესტიციების დონე შემცირდება. განათლება თავის მნიშვნელობას დაკარგავს. გაიზრდება იმიგრაცია.

3. რა მექანიზმები უნდა ამოქმედდეს ამ პრობლემების გადასაჭრელად?
შეიძლება შემოსავალი შეეზღუდოს მათ, ვინც არ შრომობს. შეიძლება იმ მშრომელების დათხოვნა, რომლებიც არასაკმარისი ძალისხმევით შრომობენ. ოჯახებს სამუშაო ძალაში მონაწილეობა უნდა მოეთხოვოს. უნდა გაუმჯობესდეს შრომის პირობები არასასიამოვნო სამუშაო ადგილებზე, უნდა გაიზარდოს უსაფრთხოება, გაუმჯობესდეს სანიტარული მდგომარეობა, შემცირდეს შრომის სირთულე. მათთვის, ვინც ყველაზე უსიამოვნო და მძიმე შრომითაა დაკავებულები, უნდა შემცირდეს სამუშაო საათების რაოდენობა.

მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა შეიქმნას ალტერნატიული სტიმულების მთელი კომპლექსი. რაც უფრო მეტი ასპექტი შეიცვლება ფასების სისტემაში, ეს სტიმულები მით უფრო გართულდება.

4. ვინ მიიღებს სარგებლობას შემოსავლის განაწილების გათანაბრების შედეგად?
სარგებლობას მიიღებს ოჯახების დიდი უმრავლესობა (მოკლევადიან პერიოდში, თუ ეს სისტემა არსებობას შეძლებს), ვინაიდან დღეს საშუალო ოჯახის შემოსავალი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ოჯახების თანაბარი წილი მშპ-ში.

5. რა სახის სამუშაო ადგილები დარჩება შეუვსებელი?
ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას სტუდენტების აზრი გაიყოფა. ბევრი სტუდენტი არასასურველად თვლის მოსაწყენ, ხმაურიან, სიცოცხლისთვის საშიშ და უსუფთაო სამუშაო ადგილებს. ხშირად დაასახელებენ სასაკლაოებს, ნაგვის გატანას და კონვეიერებს.

აქ სასარგებლო იქნება შემდეგი კითხვის დასმა: "რატომ უნდა იყოს ასეთი სამუშაო ადგილების შევსება ძნელი წელიწადში $90000-ად, როცა დღეს ამ ადგილებზე გაცილებით ნაკლებს უხდიან?"

სტუდენტების მეორე ჯგუფი ჩათვლის, რომ პროფესიული სამუშაო ადგილები არასასურველი იქნება. ასეთი ადგილების მაგალითებად დასახელდება ექიმების, ადვოკატებისა და მმართველების ადგილები.

ამ ჯგუფს ჰკითხეთ: "ნუთუ ამ პროფესიების წარმომადგენლების შრომა უარესია, ვიდრე ქათმის გამოშიგნვა? ამ სამუშაო ადგილებზე შრომის უკეთესი პირობები, პირადი ავტონომიის უფრო მაღალი დონე და, ზოგჯერ, საინტერესო ამოცანებია. არის თუ არა ამ ადამიანების მოტივი მხოლოდ ფულის შოვნა?"

საუკეთესო სამუშაო ადგილებზე საუბრისას ბევრი სტუდენტი "ხალისიან სამუშაოდ" პროფესიულ სპორტს დაასახელებს. ამ სტუდენტებს ჰკითხეთ, რატომ იღებენ ეს მშრომელები მილიონობით დოლარს საკუთარი შრომისთვის.

ეს სავარჯიშო შეიძლება გამოიყენოთ რამდენიმე სხვა საკითხზე სასაუბროდაც, როგორიცაა რესურსების განაწილება ბაზრის მიერ, შემოსავლების განაწილება, რისკის საზღაური, საკომპენსაციო სხვაობა და ადამიანის შრომის უკუგება.

20.1. რა გჭირდებათ ცხოვრების მინიმალური დონის შესანარჩუნებლად?

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემები:	გამომუშავების უნარი, სიღარიბის ზღვარი
სახელმძღვანელო:	თავი 20. შემოსავლების განაწილება
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ საკარჯიშოში ნაჩვენებია, რომ თითქმის ყველა ადამიანისთვის საკუთარი შრომის ღირებულება უდიდესი აქტივია. ამის შემდეგ განხილულია შემოსავლის დონეები, რომლებიც საჭიროა კომფორტის კონკრეტული დონეების მისაღწევად, და ეს დონეები შედარებულია სიღარიბის ოფიციალურ მაჩვენებლებთან.

ინსტრუქციები

სტუდენტებს სთხოვეთ უპასუხონ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს. თითოეულ კითხვაზე წერილობითი პასუხის გაცემის შემდეგ პასუხები ერთად თანამიმდევრულად განიხილეთ.

1. რა შემოსავლის მიღებას ელით სწავლის დამთავრებიდან ერთი წლის განმავლობაში?

2. რა უმაღლეს წლიურ შემოსავალს ელით?

3. გამოითვალეთ თქვენი საშუალო წლიური შემოსავალი მთელი თქვენი კარიერის განმავლობაში. (შეგიძლიათ გამოიყენოთ 1 და 2 კითხვების პასუხად მოყვანილი რიცხვების საშუალო.)

4. გამოითვალეთ მთელი თქვენი სიცოცხლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავალი. (ამის ერთ-ერთი მეთოდია საშუალო შემოსავლის 40-ზე გამრავლება.)

5. თქვენი აზრით, რა მინიმალური შემოსავალია საჭირო იმისთვის, რომ ოთხი სულისგან შემდგარი ოჯახი კომფორტის შემდეგ დონეზე ცხოვრობდეს:
   ა) "ოცნების ახდენისთვის" საკმარისი ფული;
   ბ) "ზომიერად კომფორტული ცხოვრებისთვის" საკმარისი ფული;
   გ) "ცხოვრების მინიმალური დონის შესანარჩუნებლად" საკმარისი ფული?

6. გამოითვალეთ შემოსავალი დაბეგვრამდე იმ მშრომელისთვის, რომელიც მინიმალურ ხელფასს იღებს სრული განაკვეთით მუშაობისთვის. (ამ თანხის დაახლოებით გამოსათვლელად შეიძლება მინიმალური ხელფასის გამრავლება 2000-ზე.)

განსახილველი საკითხები

სტუდენტები სიცოცხლის განმავლობაში გამომუშავებულ დიდი დიაპაზონის თანხებს დაასახელებენ, მაგრამ, ძირითადად, ეს თანხები რამდენიმე მილიონის ფარგლებში იქნება მოქცეული. ძირითადი აქ ისაა, რომ გამომუშავების უნარი თითქმის ყველასთვის ყველაზე ღირებული აქტივია.

მე-5 კითხვის პასუხები ასევე ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული იქნება. გარკვეულწილად, ეს დასახელებული რიცხვები დამოკიდებული იქნება თითოეული სტუდენტის ოჯახის შემოსავალზე. გ) ნაწილზე გაცემული პასუხები ყველაზე შესაფერისია სიღარიბის შესახებ საუბრის დასაწყებად. თუ დასახელებული რიცხვები ნამდვილად "ცხოვრების მინიმალური დონის შესანარჩუნებლად" საჭირო მინიმუმს ასახავს, მაშინ ის ოჯახები, რომელთა შემოსავალი ნაკლებია, ღარიბები არიან.

არსებითად, ეს რიცხვი სიღარიბის ზღვართან დაკავშირებულ პირად თვალსაზრისზეა დამოკიდებული. დოლარებში გამოხატული ტიპიური თანხები გაცილებით მეტია, ვიდრე სიღარიბის ოფიციალური ზღვარი. ხშირად, სტუდენტების მიერ სიღარიბის ზღვრის ყველაზე დაბალი შეფასებაც კი ორჯერ გადააჭარბებს ოფიციალურ მაჩვენებელს. მრავალი სტუდენტის მიერ დასახელებული სიღარიბის ზღვრის მაჩვენებელი მეტი იქნება ყველა ოჯახის საერთო შემოსავლის საშუალო სიდიდეზე.

ეს გვეხმარება იმაში, რომ სიღარიბესთან დაკავშირებული რიცხვები პერსპექტივაში განვიხილოთ. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრება გაცილებით უარესია, ვიდრე "ცხოვრების მინიმალური დონის შენარჩუნება". აქ შეიძლება იმსჯელოთ "სასურსათო ბიუჯეტის შედგენის" საფუძველზე სიღარიბის ოფიციალური მონაცემების მიღების შესახებ.

ბოლო კითხვა ერთმანეთთან აკავშირებს შემოსავლებსა და სიღარიბეს. სრული განაკვეთით შრომა მინიმალური ხელფასის საზღაურად არ იძლევა საკმარის შემოსავალს იმისთვის, რომ ოჯახმა სიღარიბის ზღვარს ზემოთ ცხოვრება შეძლოს. შეერთებულ შტატებში სიღარიბე, ძირითადად, საკმარისი ხელფასის გამომუშავების უუნარობის პრობლემასთანაა დაკავშირებული.

20.2. ღარიბის პორტრეტი

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	სიღარიბე
სახელმძღვანელო:	თავი 20. შემოსავლების განაწილება
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	2 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ სავარჯიშოს მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტები დამკვიდრებულ სტერეოტიპებს გასცდნენ და რეალურად დაინახონ სიღარიბის სურათი.

ინსტრუქციები

სტუდენტებს სთხოვეთ, აღწერონ ღარიბი ადამიანი, ოღონდ არა ის, ვისაც თვითონ იცნობენ, არამედ ღარიბების ტიპიური წარმომადგენელი. სთხოვეთ, დაახასიათონ ეს კონკრეტული ადამიანი და უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- რა სქესისაა ეს ადამიანი?
- რამდენი წლისაა?
- სად ცხოვრობს?
- რომელ რასას მიეკუთვნება?

განსახილველი საკითხები

ღარიბის ყველაზე ხშირი აღწერა ასეთია: ეს არის მდედრობითი სქესის თეთრკანიანი ბავშვი, რომელიც სოფელში ცხოვრობს.

რეალური მდგომარეობა დამკვიდრებული სტერეოტიპებისგან განსხვავდება.

მრავალი სტუდენტის აზრით, სიღარიბე ქალაქის მოსახლეობის პრობლემაა. ისინი ხშირად უკავშირებენ სიღარიბეს მოხუც მამაკაცებსა და ეთნიკურ უმცირესობებსაც. ღარიბების უმრავლესობა ჩვენს საზოგადოებაში უხილავია.

აქ შეიძლება დაიწყოთ დისკუსია სხვადასხვა რასის წარმომადგენლებისთვის სიღარიბის სხვადასხვა დონეების, მოხუცებს შორის სიღარიბის ზღვრის შემცირებისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეფორმების შესახებ.

ნაწილი VII — ეკონომიკის შესწავლის შემდგომი ეტაპი

"ჰედონისტური კონცეფცია ნათელს ჰფენს ადამიანის ცხოვრებაში სიამოვნებისა და ტკივილის მონაცვლეობას, რაც ბედნიერებისადმი ლტოლვითაა გამოწვეულიდა წააგავს იმ ერთგვაროვან ბურთულას, მასტიმულირებელი იმპულსის შეხების გარეშე რომ მოძრაობს განსაზღვრულ სივრცეში..."

თორსთეინ ვებლენი

21.1. სარგებლიანობის საზომი: ამ დემონსტრაციისას გაშუქებული იქნება ძირითადი დაშვებები მომხმარებლის უპირატესობებთან დაკავშირებით.

21.2. ყოველთვის ვერ მიიღებთ იმას, რაც გსურთ: ამ თამაშში ნაჩვენები იქნება მომხმარებლის არჩევანის შემზღუდველი ორი ფაქტორი — შემოსავალი და ფასები.

21.3. მოიმოქმედე რაიმე ახალი: ეს საშინაო დავალება სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მომხმარებლის არჩევანისა და სარგებლიანობის მაქსიმიზაციის ცნებები საკუთარ ცხოვრებას დაუკავშირონ.

21.1. სარგებლიანობის საზომი

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	კლებადი ზღვრული სარგებლიანობა, ზრდადი მთლიანი სარგებლიანობა
სახელმძღვანელო:	თავი 21. მომხმარებლის არჩევანის თეორია
დამატებითი მასალა:	3 ღვეზელი, ვაშლი, "სარგებლიანობის საზომი", სახრახნისი ("სარგებლოანობის საზომად" გამოდგება ნებისმიერი ყუთი, საიდანაც მავთული გამოდის. სრული დამაჯერებლობისათვის შეიძლება რამდენიმე ელექტრონული დეტალის დამატებაც.)
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს თამაში სტუდენტებს გააცნობს ეკონომისტების თვალსაზრისს მოხმარებასთან დაკავშირებით. აქვე ნათლად იქნება წარმოჩენილი კლებადი ზღვრული სარგებლიანობის იდეა.

ინსტრუქციები

მაგიდაზე დაანყვეთ ერთი ღვეზელი, ვაშლი და სარგებლიანობის საზომი. ახსენით, რომ სარგებლიანობის საზომი საქონლის მოხმარების შედეგად მიღებული კმაყოფილების დონეს ზომავს. კერძოდ, ის გვიჩვენებს ზღვრულ სარგებლიანობას ანუ საქონლის დამატებითი ერთეულის მოხმარებით მიღებულ კმაყოფილებას.

სარგებლიანობის საზომის მავთული ღვეზელს მიადეთ. თავი ისე მოაჩვენეთ, თითქოს სარგებლიანობის საზომზე ასახულ მონაცემებს კითხულობთ, შემდეგ კი სტუდენტებს განუცხადეთ: "ამ ღვეზლის მოხმარების შედეგად კმაყოფილების 30 ერთეულს მივიღებ."

მავთული ამჯერად ვაშლს მიადეთ. შეხედეთ საზომს და სტუდენტებს უთხარით: "ვაშლის მოხმარების შედეგად კმაყოფილების 10 ერთეულს მივიღებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ღვეზელი სამჯერ მეტ კმაყოფილებას მომანიჭებს, ვიდრე ვაშლი."

"სარგებლიანობის საზომი უაღრესად სასარგებლო გამოგონებაა. თუ სხვადასხვა საქონლის მოხმარების შედეგად თითოეული ადამიანის მიერ მიღებული კმაყოფილების გაზომვას შეეძლებთ, მაშინ შეგეეძლება ისე გავანაწილოთ საქონელი, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობა მაქსიმალური იყოს."

თავი ისე მოაჩვენეთ, თითქოს სარგებლიანობის საზომს სახრახნისით არეგულირებთ. სტუდენტებს უთხარით: "პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც სხვადასხვა ადამიანის მონაცემების შედარებას ვცდილობთ. ეს-ესაა ჩემი სარგებლიანობის საზომი დავარეგულირე და ჩემზე მოვირგე. ახლა ის ვაშლისგან მიღებული კმაყოფილების 100 ერთეულს უჩვენებს."

მავთული ისევ ღვეზელს "მიუერთეთ". "ღვეზლისგან მიღებული კმაყოფილება 300 ერთეული გახდა. ფარდობითი კმაყოფილება უცვლელი რჩება, მაგრამ სხვადასხვა ინდივიდების კმაყოფილების შედარება შეუძლებელია, ვინაიდან საზომები კმაყოფილების აბსოლუტურ სიდიდეებს არ გვაძლევს."

მაგიდაზე დაანყვეთ დარჩენილი 2 ღვეზელი. ახსენით, რომ ეკონომისტებს აინტერესებთ, როგორ იცვლება კმაყოფილება მოხმარების ზრდის შედეგად. დაფაზე ააგეთ შემდეგი ცხრილი:

რაოდენობა	ზღვრული სარგებლიანობა	მთლიანი სარგებლიანობა
0	0	–
1		
2		
3		

სარგებლიანობის საზომის დახმარებით "შეამოწმეთ" სამივე ღვეზელი, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი ერთნაირია. თითოეულმა ღვეზელმა უნდა მოგვცეს 300 ერთეულის ტოლი სარგებლიანობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ღვეზლის მოხმარების შედეგად მიღებული ზღვრული სარგებლიანობა 300-ის ტოლია.

ღვეზელი შეჭამეთ. გრაფაში "ზღვრული სარგებლიანობა" ჩანერეთ 300 ერთეული პირველი ღვეზლისთვის.

რაოდენობა	ზღვრული სარგებლიანობა	მთლიანი სარგებლიანობა
0	0	–
1	300	300
2		
3		

ამის შემდეგ ხელახლა "გაზომეთ" დამატებითი ღვეზლის შეჭმით მიღებული ზღვრული სარგებლიანობა. მიადეთ მავთული ღვეზელს და გამოაცხადეთ, რომ საზომი კმაყოფილების 210 ერთეულს აღნიშნავს. ახსენით, რომ არც საზომი დარეგულირებულა და არც ღვეზელი შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ მასნავლებლის შიმშილის დონე და ღვეზლის ჭამის სურვილი. მეორე ღვეზლის შეჭმა ისეთ სიამოვნებას აღარ მოგანიჭებთ, რაც პირველმა მოგანიჭათ.

შეჭამეთ მეორე ღვეზელი. ცხრილში შეიტანეთ ზღვრული სარგებლიანობა და გამოითვალეთ მთლიანი სარგებლიანობა ორი ღვეზლის მოხმარების შედეგად.

რაოდენობა	ზღვრული სარგებლიანობა	მთლიანი სარგებლიანობა
0	0	–
1	300	300
2	210	510
3		

გაზომეთ მესამე ღვეზლის მოხმარების ზღვრული სარგებლიანობა. გამოაცხადეთ, რომ საზომი ამჯერად კმაყოფილების 75 ერთეულს უჩვენებს. ამ ღვეზლის შეჭმის შედეგად კმაყოფილება გაიზრდება, მაგრამ იმაზე ნაკლებად, ვიდრე პირველი და მეორე ღვეზლების შემთხვევაში.

ცხრილში შეიტანეთ ზღვრული და მთლიანი სარგებლიანობის საბოლოო მონაცემები.

რაოდენობა	ზღვრული სარგებლიანობა	მთლიანი სარგებლიანობა
0	0	–
1	300	300
2	210	510
3	75	585

განსახილველი საკითხები

სარგებლიანობების შედარება გვიჩვენებს ერთი საქონლის მოხმარებისგან მიღწეულ ფარდობით კმაყოფილებას ამ საქონლის მეორე ერთეული მოხმარებასთან შედარებით.

სხვადასხვა ადამიანის სარგებლიანობების შედარება მართებული არ არის.

მთლიანი სარგებლიანობა იზრდება მოხმარების ზრდასთან ერთად.

ზღვრული სარგებლიანობა მცირდება მოხმარების ზრდასთან ერთად.

ბუნებრივად გაჩნდება უარყოფითი ზღვრული სარგებლიანობის იდეა. მომხმარებელს შეუძლია იმდენი ღვეზელი შეჭამოს, რომ ცუდად გახდეს. ახსენით, რომ ეკონომისტები უშვებენ, რომ მომხმარებლები რაციონალურად იქცევიან და საკუთარი მდგომარეობის გაუარესებაში ფულს არ იხდიან.

21.2. ყოველთვის ვერ მიიღებთ იმას, რაც გსურთ

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო თამაში
თემები:	საბიუჯეტო შეზღუდვა
სახელმძღვანელო:	თავი 21. მომხმარებლის არჩევანის თეორია
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს თამაში უჩვენებს, რომ მომხმარებლები შეზღუდულები არიან საკუთარი შემოსავლებითა და საქონლის ფასებით.

ინსტრუქციები

სტუდენტებს სთხოვეთ დაფიქრდნენ საკუთარი სარგებლიანობის მაქსიმიზაციის შესახებ.

კერძოდ, სთხოვეთ დაუშვან, რომ მილიარდერი ბილ გეითსი მათ ისეთი რამის ყიდვას და ჩუქებას ჰპირდება, რაც მათ კმაყოფილებას მაქსიმალურად გაზრდის. ეს არც ფულია და არც რაიმე ფინანსური საშუალება, მაგრამ გეითსი სტუდენტებს უყიდის ნებისმიერ საქონელს, რომელიც მათ გააბედნიერებს. სთხოვეთ, დაწერონ მათთვის სასურველი საქონლის დასახელება.

ჰკითხეთ რამდენიმე სტუდენტს, თუ რა აირჩია. შემდეგ ჰკითხეთ კლასს: "რატომ არ ყიდულობთ ამ საქონელს თქვენთვის? განა ეს ის არ არის, რაც თქვენს ბედნიერებას მაქსიმალურად გაზრდის? რატომ დღესვე არ ყიდულობთ?"

რა თქმა უნდა, სტუდენტები გიპასუხებენ, რომ ამის საშუალება არა აქვთ. მომხმარებლის შესყიდვები მისი შემოსავლითაა შეზღუდული.

მაგრამ ეს არ არის ერთადერთი შეზღუდვა. სტუდენტებს სთხოვეთ გამოითვალონ არჩეული საქონლის ღირებულება და საქონლის დასახელების გვერდით დაწერონ. ამის შემდეგ დაუშვით, რომ ბილ გეითსს არ სცალია მაღაზიაში წასასვლელად, ამიტომ საქონლის ნაცვლად სტუდენტებს ფულს აძლევს. ის არ ზღუდავს ნაღდი ფულის გამოყენებას. ერთადერთი, რაც მას სურს, თქვენი ბედნიერების მაქსიმიზაციაა.

ამით შემოსავლის მიერ წარმოქმნილი ბარიერი ბათილდება. სტუდენტებს ჰკითხეთ, რამდენი მათგანი დახარჯავს მთლიან თანხას მათ მიერ არჩეული ერთადერთი საქონლის ყიდვის მიზნით.

რამდენიმე სტუდენტი გიპასუხებთ, რომ ამ საქონელს იყიდის, მაგრამ სტუდენტების დიდი ნაწილი სხვადასხვა საქონელს იყიდის. ერთ ძვირ საქონელზე მთელი ფულის დახარჯვა ახალშეძენილი სიმდიდრის განაწილების საუკეთესო გზა არ არის. რამდენიმე უფრო იაფი საქონლის ყიდვას მეტი კმაყოფილების მინიჭება შეუძლია.

განსახილველი საკითხები

1) მომხმარებლებს შეზღუდული შემოსავლები აქვთ.
2) საქონელს ფასი ადევს.

ეს ორი ფაქტი ერთად მომხმარებლის ბიუჯეტის შეზღუდვას განსაზღვრავს.

21.3. მოიმოქმედე რაიმე ახალი

მეცადინეობის ხასიათი:	საშინაო დავალება
თემები:	მომხმარებლის არჩევანი
სახელმძღვანელო:	თავი 21. მომხმარებლის არჩევანის თეორია
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს დავალება სტუდენტებს მომხმარებლის თეორიისა და ოპტიმიზაციის აბსტრაქტული იდეების საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებაში დაეხმარება. პირველ ნაწილში სტუდენტებს ევალებათ ისეთი რამის დასახელება, რაც ადამიანებს კმაყოფილებას ანიჭებს. მეორე ნაწილში სტუდენტებს ისეთი რამის გაკეთება ევალებათ, რაც მათ კმაყოფილებას გაზრდის.

ინსტრუქციები

სტუდენტებს ქვემოთ მოცემული დავალებების შესრულება სთხოვეთ. ახსენით, რომ 1-ლი ნაწილის შესრულება მათგან განჭვრეტას მოითხოვს, მეორე ნაწილის შესრულება კი — აქტიურ ქმედებას. ეს ქმედება არ უნდა იყოს ეგზოტიკური და დიდ ხარჯებთან დაკავშირებული.

განსახილველი საკითხები

მომხმარებლის კმაყოფილებისა და სარგებლიანობის გაზრდა ისეთ რამესაც შეუძლია, რაც მკაცრად განსაზღვრული მატერიალური მოხმარების სფეროს არ განეკუთვნება. "საკუთარი ინტერესი" ეგოიზმს არ გულისხმობს. სხვების დახმარება შეიძლება სწორედ ის აღმოჩნდეს, რაც ადამიანის კმაყოფილებას გაზრდის.

მომხმარებლის გადაწყვეტილებებს არასრული ინფორმაცია ართულებს. შესაძლოა, ზოგიერთმა სტუდენტმა სცადოს ისეთი რამის გაკეთება, რაც თვითონვე არ მოსწონს, ან აღმოაჩინოს, რომ სანყისი ხარჯები აჭარბებს სარგებლობას. ასეთი შემთხვევები შეგიძლიათ გამოიყენოთ არასრული ინფორმაციის პირობებში გადაწყვეტილების მიღების ან ინფორმაციასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ სასაუბროდ.

ადამიანებს განსხვავებული გემოვნება აქვთ. ის საქმიანობა, რომელიც სტუდენტების ერთ ნაწილს მოსწონს, მეორე ნაწილს არ მოსწონს. სხვადასხვა ადამიანების კმაყოფილების დონეების შედარება შეუძლებელია.

სარგებლიანობა და მომხმარებლის ქცევა

მომხმარებლის თეორიის ძირითადი საკითხია ინდივიდუალური კმაყოფილების მაქსიმიზაცია. ეს სავარჯიშო იმ ქმედებებზე დაფიქრების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც, თქვენი აზრით, თქვენს პირად სარგებლიანობას გაზრდის.

ნაწილი I. ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული კატეგორიისთვის მიუთითეთ ქმედება, რომელიც მიმზიდველად მიგაჩნიათ, მაგრამ არ გამოგიცდიათ.
1. მოგზაურობა. სად ისურვებდით გამგზავრებას?

2. მოხალისე. რომელ ჯგუფს დაეხმარებოდით?

3. საქმიანობა. რის გაკეთებას ცდიდით?

4. პირადი მიზნები. რის მიღწევას ისურვებდით?

ნაწილი II. მოიმოქმედე რაიმე ახალი. აირჩიეთ საქმე, რომლითაც ადრე არასდროს ყოფილხართ დაკავებული, მაგრამ გინდათ ახლა სცადოთ. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც მოგწონთ და თვლით, რომ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ეს შეიძლება არც კი იყოს ის საქმიანობა, რომელიც 1-ელ ნაწილში მიუთითეთ.

ნაწილი III. გააკეთეთ არჩეული საქმე.

ნაწილი IV. დაწერეთ ანგარიში თქვენი არჩეული საქმის განხორციელების შესახებ.
რა მოიმოქმედეთ?
რა ხარჯები დასჭირდა არჩეულ საქმეს?
გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი?
ურჩევდით თუ არა მეგობრებს იმავეს გაკეთებას?

© 1998 The Dryden Press

ნაწილი VIII — მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

"ფული არის ის, რასაც ანგარიშისთვის ვიყენებთ."
ჰენრი ფორდი

22.1. ეროვნული შემოსავალი და კეთილდღეობა: ამ საკლასო დავალების შესრულებისთვის სტუდენტები უნდა დაფიქრდნენ კეთილდღეობის პირდაპირი საზომების შესახებ და ეს საზომები შეადარონ მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე.

23.1. სტუდენტური ფასების ინდექსის შექმნა: ეს საშინაო დავალება სტუდენტებისგან მოითხოვს საბაზრო სასაქონლო კალათისთვის ფასების შესახებ ინფორმაციის შეკრებას.

23.2. მონაცემებზე ნადირობა: ეს ულმობელი ნადირობა სტუდენტებს მრავალფეროვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მოძიებას ავალებს.

22.1. ეროვნული შემოსავალი და კეთილდღეობა:

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	მშპ ერთ სულ მოსახლეზე
სახელმძღვანელო:	თავი 22. ეროვნული შემოსავლის გამოთვლა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	15 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ მეცადინეობისას სტუდენტები შეაფასებენ ეროვნული შემოსავლის საზომების სასარგებლოობასა და შესაძლებლობებს. სტუდენტებს ხშირად უჭირთ ეროვნული შემოსავლის, როგორც კეთილდღეობის გამომხატველის აღქმა. მშპ ერთ სულ მოსახლეზე პირდაპირ არ ასახავს კეთილდღეობას, მაგრამ ის მჭიდროდაა დაკავშირებული კეთილდღეობის პირდაპირ საზომებთან. ამ კავშირის გაცნობიერება სტუდენტებს იმის გაგებაში ეხმარება, თუ რატომ ექცევა მაკროეკონომიკაში ასეთი დიდი ყურადღება ეროვნულ შემოსავალს.

ინსტრუქციები

სტუდენტებს სთხოვეთ, ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს უპასუხონ. თითოეული კითხვა განიხილეთ თანამიმდევრულად.

1) თუ ეროვნული შემოსავალი კეთილდღეობის კარგი საზომია, რატომაა შვეიცარიის მთლიანი შიდა პროდუქტი ინდოეთის ან ჩინეთის მშპ-ზე ბევრად ნაკლები?

2) რა მაჩვენებლებით იქნება შესაძლებელი სხვადასხვა ქვეყნების კეთილდღეობის შედარება?

3) თქვენი აზრით, როგორაა ეს პირდაპირი საზომები დაკავშირებული მშპ-სთან ერთ სულ მოსახლეზე?

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

1) ეროვნული შემოსავალი თავისთავად ძალიან მნირ ინფორმაციას იძლევა. შვეიცარიის მთლიანი შიდა პროდუქტი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ჩინეთის ან ინდოეთისა, მაგრამ შვეიცარიის მოქალაქეების ცხოვრების დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. რა თქმა უნდა, აქ საქმე მოსახლეობის რაოდენობაშია. შვეიცარია პატარა ქვეყანაა, ამიტომ მისი ეროვნული შემოსავალი შედარებით მცირეა, ქვეყნის სიმდიდრის მიუხედავად. ამიტომ უფრო მართებულია კეთილდღეობის საზომად ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს გამოყენება.

უფრო საინტერესოა ასეთი კითხვა: "არის თუ არა ერთ სულ მოსახლეზე მშპ კეთილდღეობის კარგი საზომი?" ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ: "რისგან შედგება კეთილდღეობა?"

2) კეთილდღეობის პირდაპირი გამოთვლა რამდენიმე ხერხითაა შესაძლებელი. სტუდენტები ხშირად გვთავაზობენ შემდეგს:

ჯანდაცვა
კვება
განათლება

რა თქმა უნდა, ეს უკეთესი საზომებია, ვიდრე ფულადი შემოსავალი, მაგრამ ამ მონაცემების შეგროვება და ინტერპრეტირება ხშირად ძალიან ძნელია.

3) იმის მიუხედავად, რომ ერთ სულ მოსახლეზე მშპ არ არის კეთილდღეობის პირდაპირი საზომი, ის შეგვიძლია პირდაპირი საზომების გამომხატველად გამოვიყენოთ. ყველაზე მდიდარი ქვეყნების მშპ ერთ სულ მოსახლეზე 10-ჯერ და უფრო მეტია, ვიდრე ყველაზე ღარიბი ქვეყნებისა.

ჯანდაცვა
ისეთი საზომები, როგორიცაა მოსახლეობის რაოდენობა ერთ ექიმზე, ზოგად ინფორმაციას იძლევა ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის დონის შესახებ. მდიდარ ქვეყნებში ერთ ექიმზე 400-600 ადამიანი მოდის. ყველაზე ღარიბ ქვეყნებში ეს რიცხვი 5000-ზე მეტია.

სიცოცხლის ხანგრძლივობის სტატისტიკა, არსებითად, ჯანდაცვის საშუალო ეფექტიანობის შემაჯამებელია. მდიდარ ქვეყნებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თითქმის ოთხმოცი წელია. ღარიბ ქვეყნებში კი ის ორმოცდაათს მცირედით აღემატება.

კვება

ერთ სულზე კალორიების დღიური მოხმარება კარგად ასახავს ქვეყანაში ხელმისაწვდომი კვების პროდუქტების საერთო რაოდენობას. მდიდარ ქვეყნებში ეს რიცხვი 3000-ს აჭარბებს. ღარიბი ქვეყნების მოქალაქეები დღეში საშუალოდ მხოლოდ 2000 კალორიას იღებენ. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გამოთვლების თანახმად, ადამიანის არსებობისთვის საჭირო კალორიების დღიური რაოდენობა 2600-ს შეადგენს.

განათლება

მოსახლეობაში წერა-კითხვის მცოდნეთა წილი ქვეყანაში ელემენტარული განათლების დონეს ასახავს. თითქმის ყველა მდიდარ ქვეყანაში ეს რიცხვი 99%-ს შეადგენს. უღარიბეს ქვეყნებში წერა-კითხვა მოსახლეობის მხოლოდ 35-65%-მა იცის.

23.1. სტუდენტური ფასების ინდექსის შექმნა

მეცადინეობის ხასიათი:	საშინაო დავალება
თემები:	მომხმარებლის არჩევანი
სახელმძღვანელო:	თავი 23. ცხოვრების ღირებულების გამოთვლა
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ დავალების შესრულებისას სტუდენტები პრაქტიკოსის თვალით შეხედავენ ფასების ინდექსის გამოთვლის საკითხებს. ამას გარდა, გაეცნობიან საბაზისო ფასებს, რაც მოგვიანებით ინფლაციის დონის გამოთვლაში დაეხმარება (იხ. 28.8 სტუდენტური ფასების ინდექსის ცვლილებები).

ინსტრუქციები

სტუდენტებმა უნდა განიხილონ იმ საქონლის რეალური გასაყიდი ფასები, რომელსაც თვითონ ყიდულობენ. თუ ინფლაციის დონის გამოთვლისთვის გამოყენებული იქნება ინდექსები, მაშინ სტუდენტებმა ამ დავალების პირი სამომავლოდ უნდა შეინახონ. დავალების შესრულებისას არ უნდა გამოიყენონ ფასები კატალოგებიდან, ვინაიდან ეს ფასები ერთი სემესტრის განმავლობაში არ შეიცვლება.

განსახილველი საკითხები

ეს დავალება კარგი საბაბია ფასების ინდექსების დადგენის მიზნით სამომხმარებლო კალათის გამოყენების შესახებ საუბრისთვის. იმ საქონელზე დახარჯული თანხა, რომელთაც სტუდენტები, ჩვეულებრივ, საკუთარი სამომხმარებლო კალათისთვის იძენენ, სამომხმარებლო ხარჯების შედარებით მცირე ნაწილია საბინაო, სამედიცინო, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯებთან შედარებით. სტუდენტებს ჰკითხეთ, რომელი საქონლის ფასის ხშირ ცვლილებას ვარაუდობენ. აქვე შეგიძლიათ განიხილოთ სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოთვლასთან დაკავშირებული სირთულეებიც.

დავალება: ფასების ინდექსი

სამომხმარებლო ფასების ინდექსი მომხმარებლის მიერ შეძენილი ასობით საქონლის ფასებისგან შედგება. შესაძლებელია ფასების ბევრი სხვა სახის ინდექსის გამოყენებაც.

თქვენი დავალება პერსონალური სტუდენტური ფასების ინდექსის დადგენაა.

1) აირჩიეთ 5 (ან მეტი) განსხვავებული საქონელი — საქონის დასახელება დეტალური უნდა იყოს, მაგალითად: ტყვიაგამოცლილი ბენზინი, ლუდი "ბუდვაიზერი".

2) დაასახელეთ თითოეული საქონლის რაოდენობა — მაგალითად, 60 ლიტრი ბენზინი, 70 ბოთლი "ბუდვაიზერი".

3) იპოვეთ თითოეული საქონლის რეალური ფასი.

4) გამოთვალეთ ამ საქონლის შეძენის მთლიანი ხარჯი.

© 1998 The Dryden Press

23.2. მონაცემებზე ნადირობა

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო ან საშინაო დავალება
თემები:	მაკროეკონომიკური მაჩვენებლები
სახელმძღვანელო:	თავი 22. ეროვნული შემოსავლის გამოთვლა თავი 23. ცხოვრების დონის გამოთვლა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	50 წუთი ან მეტი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ დავალებაში სტუდენტებს მრავალფეროვანი ეკონომიკური მონაცემების შეგროვება ევალებათ. მოყვანილი რიცხვები მრავალი საინტერესო შედარების საფუძველი გახდება. ამას გარდა, დავალების შესრულებისას სტუდენტები ეკონომიკური მონაცემების მრავალფეროვან წყაროებსაც გაეცნობიან.

ინსტრუქციები

ესაა ულმობელი ნადირობა ეკონომიკურ მონაცემებზე. მას შეიძლება საკლასო თამაშის ან საშინაო დავალების სახე ჰქონდეს. სტუდენტთა ჯგუფების მონაცემების შედარება დავალებას შეჯიბრის ელემენტს ჰმატებს. მონაცემების უმრავლესობა "World Wide Web"-ს სხვადასხვა ვებ-გვერდებზეა მოცემული. თუ სტუდენტებს ინტერნეტთან მუშაობა უჭირთ, მაშინ შეუძლიათ ბიბლიოთეკას მიაკითხონ.

დაურიგეთ ქვემოთ მოცემული სიის პირები თითოეულ ჯგუფს. მიეცით დავალებისთვის საჭირო დრო. სთხოვეთ მოიძიონ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემები თითოეული მაჩვენებლისთვის. გაიმარჯვებს გუნდი, რომელიც ყველაზე მეტ პასუხს გასცემს.

განსახილველი საკითხები

სტუდენტებს ჰკითხეთ, მონაცემების რომელი წყარო იყო ყველაზე ინფორმაციული. ამ დავალების დახმარებით შეგიძლიათ სტუდენტებს გააცნოთ ეკონომიკური მონაცემების წყაროები როგორც "ინტერნეტის", ისე ნაბეჭდ გვერდებზე.

სტუდენტების მიერ წარმოდგენილი კონკრეტული მოცემებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება მრავალი დასკვნის გაკეთება. სხვადასხვა ქვეყნების შემოსავლების, უმუშევრობისა და ინფლაციის დონეებს შორის განსხვავება, შესაძლოა, სტუდენტებისთვის მოულოდნელად დიდი აღმოჩნდეს. საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს სარგებლის განაკვეთების მრავალფეროვნებაც. აქვე შეიძლება ეროვნული შემოსავლის კომპონენტებზე საუბარი.

სტუდენტების მიერ მოძიებული ზოგიერთი მონაცემი რამდენიმე წლის წინანდელი იქნება. ამის გამო, ზოგიერთი ცვლადი ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული აღმოჩნდება, მაგრამ სხვა ცვლადები თითქმის უცვლელი დარჩება. ეს ფაქტი შეგიძლიათ სხვადასხვა მაკროეკონომიკური ცვლადების ფარდობითი მდგრადობის შესახებ სასაუბროდ გამოიყენოთ.

მონაცემებზე ნადირობა

მოძებნეთ მიმდინარე მონაცემები ქვემოთ ჩამოთვლილი სიდიდეებისთვის:

1. 1. აშშ უმუშევრობის დონე
2. სამომხმარებლო ფასების ინდექსი
3. აშშ ინფლაციის დონე
4. აშშ მთლიანი შიდა პროდუქტი
5. აშშ მშპ ერთ სულ მოსახლეზე
6. წმინდა ეროვნული პროდუქტი (აშშ)
7. განკარგვადი შემოსავალი (აშშ)
8. სამომხმარებლო ხარჯები (აშშ)
9. სახელმწიფო შესყიდვები (აშშ)
10. M1
11. M2
12. სახელმწიფო ვალი
13. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიცი
14. იმპორტის მოცულობა
15. ექსპორტის მოცულობა
16. სავაჭრო დეფიციტი
17. დისკონტის განაკვეთი
18. სახელმწიფო ობლიგაციებიდან ამოღებული თანხა
19. ბინის გირაოს სარგებლის განაკვეთი
20. დანაზოგის სარგებლის განაკვეთი
21. სარგებლის საბაზისო განაკვეთი
22. სამრეწველო დოუ ჯონსის საშუალო
23. "გენერალ მოთორზის" აქციის ფასი
24. "მაიკროსოფტის" აქციის ფასი
25. "ნეტსკეიპის" აქციის ფასი
26. აშშ დოლარის ღირებულება იაპონურ იენებში
27. აშშ დოლარის ღირებულება ბრიტანულ გირვანქებში
28. აშშ დოლარის ღირებულება გერმანულ მარკებში
29. ინფლაციის დონე ევროპის რომელიმე ქვეყანაში
30. უმუშევრობის დონე ევროპის რომელიმე ქვეყანაში
31. მთლიანი შიდა პროდუქტი ევროპის რომელიმე ქვეყანაში
32. ერთ სულ მოსახლეზე მშპ ევროპის რომელიმე ქვეყანაში
33. ინფლაციის დონე აფრიკის რომელიმე ქვეყანაში
34. უმუშევრობის დონე აფრიკის რომელიმე ქვეყანაში
35. მთლიანი შიდა პროდუქტი აფრიკის რომელიმე ქვეყანაში
36. ერთ სულ მოსახლეზე მშპ აფრიკის რომელიმე ქვეყანაში
37. ინფლაციის დონე აზიის რომელიმე ქვეყანაში
38. უმუშეერობის დონე აფრიკის რომელიმე ქვეყანაში
39. მთლიანი შიდა პროდუქტი აზიის რომელიმე ქვეყანაში
40. ერთ სულ მოსახლეზე მშპ აზიის რომელიმე ქვეყანაში
41. ინფლაციის დონე ცენტრალური ან სამხრეთ ამერიკის რომელიმე ქვეყანაში
42. უმუშევრობის დონე ცენტრალური ან სამხრეთ ამერიკის რომელიმე ქვეყანაში
43. მთლიანი შიდა პროდუქტი ცენტრალური ან სამხრეთ ამერიკის რომელიმე ქვეყანაში
44. ერთ სულ მოსახლეზე მშპ ცენტრალური ან სამხრეთ ამერიკის რომელიმე ქვეყანაში

© 1998 The Dryden Press

ნაწილი IX — რეალური ეკონომიკა გრძელვადიან პერიოდში

"რესურსები უფრო მეტად ადამიანის გონებიდან მოდის, ვიდრე მიწიდან ან ჰაერიდან. გონება ეკონომიკურად იმდენივეს ან უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ხელები ან ენა. ადამიანები, საშუალოდ, უფრო მეტს ქმნიან, ვიდრე იყენებენ. ეს ასეც უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გადაშენებული სახეობა ვიქნებოდით."

ჯულიან საიმონი

24.1. უნივერსალური დუბლიკატორი: ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტები შეისწავლიან ისეთი ტექნოლოგიის შექმნის შედეგებს, რომელიც ნებისმიერი საქონლის წარმოების საშუალებას იძლევა.

25.1. შეადგინე პორტფელი: ეს საშინაო დავალება სტუდენტებს ფინანსური ბაზრების შესწავლასა და ამის საფუძველზე $100000 პორტფელის შექმნას ავალებს.

26.1. ვინ არის უმუშევარი? ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტებმა სამუშაო ძალის განმარტება რამდენიმე ინდივიდუალური შემთხვევის შესასწავლად უნდა გამოიყენონ.

24.1. უნივერსალური დუბლიკატორი

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემები:	ტექნოლოგიური ცვლილებები
სახელმძღვანელო:	თავი 24. ნარმოება და ეკონომიკური ზრდა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ მეცადინეობისას სტუდენტები წარმოსახვითი ახალი ტექნოლოგიის, ე.ნ. "უნივერსალური დუბლიკატორის" შექმნის ეკონომიკურ შედეგებს შეისწავლიან. წამოიჭრება ეკონომიკურ ზრდასთან და ცვლილებებთან დაკავშირებული არაერთი საკითხი.

ინსტრუქციები

უნივერსალური დუბლიკატორი ისეთი დანადგარია, რომელსაც ნებისმიერი ფიზიკური საქონლის დუბლირება შეუძლია. თუ უნივერსალურ დუბლიკატორში ავტომობილს შევიყვანთ, ღილაკის ერთი დაჭერით დანადგარი მის ზუსტ დუბლიკატს შექმნის. დანადგარს ნებისმიერი არაორგანული ობიექტის დუბლირება შეუძლია.

დავუშვათ, ეს ტექნოლოგია მალე მთელს ქვეყანაში გავრცელდა და მას უკვე ყველა მწარმოებელი იყენებს.

სტუდენტებს სთხოვეთ უპასუხონ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს. თითოეულ კითხვაზე წერილობითი პასუხის გაცემის შემდეგ პასუხები ერთად თანამიმდევრულად განიხილეთ.

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

1) როგორ იმოქმედებს უნივერსალური დუბლიკატორი ეკონომიკაზე?
სტუდენტების უმრავლესობა ხაზს გაუსვამს ამ ტექნოლოგიის გამოყენების ნეგატიურ ასპექტებს: სამუშაო ადგილებიდან მშრომელთა დათხოვნას, ინსტიტუტების ნგრევას, ქაოსს.

ზოგიერთი სტუდენტი დადებით მომენტებსაც დაასახელებს: სიღარიბის აღმოფხვრას, ყველა მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, დამღლელი და სიცოცხლისთვის სახიფათო სამუშაო ადგილების გაუქმებას.

2) რა სამუშაო ადგილები აღარ იქნება საჭირო?
მრეწველობა, წიაღისეულის მოპოვება, სოფლის მეურნეობა, კონვეირები.

3) რა მოუვა საქონლის ფასებს?
საქონლის ფასები მკვეთრად შემცირდება.

4) რა პრობლემების გაჩენაა მოსალოდნელი?
სტრუქტურული უმუშევრობა, რეცესია, უსაქმურობა, შემოსავლების განანილების თანასწორობის შემცირება, პროფესიული ცოდნის გამოუყენებლობა, შეიარაღების ზრდა, ახალი სამართლებრივი სტრუქტურების შექმნის საჭიროება.

5) რა სარგებლობას მოიტანს უნივერსალური დუბლიკატორი?
მატერიალური საქონლის რაოდენობის ზრდა, მეტი თავისუფალი დრო, სოციალური პრობლემების გადაჭრისთვის რესურსების გამოყენების შესაძლებლობა.

6) რა სამუშაო ადგილები იქნება ჯერ კიდევ აუცილებელი?
დიზაინერები, გამომგონებლები, ექიმები, მასწავლებლები, ადვოკატები, პოლიცია, დალაქები...

რა თქმა უნდა, უნივერსალური დუბლიკატორი რეალურად არ არსებობს, ტექნოლოგიურ ცვლილებებს მსგავსი შედეგები მოაქვს. მაგალითად, განვიხილოთ სოფლის მეურნეობის განვითარება გრძელვადიან პერიოდში. ორასი წლის წინ შეერთებული შტატების სამუშაო ძალის 80% სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული. დღეს სოფლის მეურნეობით დაკავებულთა წილი ქვეყნის სამუშაო ძალაში მხოლოდ 2%-ს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო საქონლის მოცულობა დღეს შეუდარებლად დიდია, ხოლო კვების პროდუქტების ფასები — მნიშვნელოვნად დაბალი.

მრეწველობაშიც მსგავსი, მაგრამ არა ასეთი მკვეთრი ცვლილებები ხდება. დღეს მშრომელების ნაკლები რაოდენობაა საჭირო მეტი საქონლის ნაკლები დანახარჯებით წარმოებისთვის. "ამერიკის დეინდუსტრიალიზაციას" თან ახლდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდა.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგებში დასაქმება მცირდება. იზრდება მომსახურების სფეროში დასაქმებულთა რიცხვი. სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო საქონელზე ფასების შემცირება მომსახურების შედარებით გაძვირებას გულისხმობს. მომსახურების ფარდობითი ღირებულების ეს ზრდა მრავალი საზოგადოებრივი საკითხის გადაჭრაზე მოქმედებს, რომელთა შორისაა ჯანდაცვა, განათლება და პოლიცია.

უნივერსალური დუბლიკატორის მსგავსად, ტექნოლოგიური პროგრესი მატერიალური კეთილდღეობის ზრდას ინვევს. უპასუხოდ რჩება იგივე კითხვები: რა მოსდით სამუშაოდან დათხოვნილებს? რა მოსდის შემოსავლის განაწილებას? როგორ ხდება წარმოების თანამდევი პროდუქტების, ნარჩენებისა და გარემოს დაბინძურების პრობლემების მოგვარება?

გვარი_____ კურსი_____

დავალება: უნივერსალური დუბლიკატორი

1) როგორ იმოქმედებს უნივერსალური დუბლიკატორის შექმნა ეკონომიკაზე?

2) რა სახის სამუშაო ადგილები აღარ იქნება საჭირო?

3) რა მოუვა საქონლის ფასებს?

4) რა პრობლემებია მოსალოდნელი?

5) რა სარგებლობას მოიტანს დუბლიკატორი?

6) რა სახის სამუშაო ადგილები იქნება ჯერ კიდევ აუცილებელი?

© 1998 The Dryden Press

25.1. პორტფელის შედგენა

მეცადინეობის ხასიათი:	საშინაო დავალება
თემები:	ფინანსური ბაზრები
სახელმძღვანელო:	თავი 25. დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს დავალება სტუდენტებისგან გაზეთების ფინანსური გვერდების დახმარებით საკუთარი პორტფელების შექმნას მოითხოვს. მრავალი სტუდენტისთვის ჯერ კიდევ უცნობია აქციებისა და ობლიგაციების ცხრილების ძირითადი ელემენტები. ამას გარდა, სტუდენტებს ევალებათ იმ ელემენტების ანალიზი, რომელთაც მათ პორტფელებზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია.

ინსტრუქციები

სტუდენტებს ქვემოთ მოცემული დავალების შესრულება სთხოვეთ. არსებობს პასუხების მრავალი შესაძლო ვარიანტი. სასარგებლო იქნება, თუ სტუდენტებს სთხოვთ, ხელახლა შეაფასონ თავიანთი პორტფელები სემესტრის მინურულს.

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

სტუდენტების უმეტესობა გაზეთებში ყველაზე ხშირად დასახელებული აქციების, ურთიერთფონდებისა და ობლიგაციების მონაცემებს დაასახელებს. ზოგიერთი სტუდენტი მისთვის კარგად ნაცნობ, დაბალრისკიან და, შესაბამისად, დაბალშემოსავლიან საბანკო ანგარიშებსა და დეპოზიტურ სერტიფიკატებს დაასახელებს. რამდენიმე სტუდენტმა, შესაძლოა, უფრო რთული ფინანსური ინსტრუმენტები აირჩიოს.

პასუხები შეგიძლიათ რისკსა და უკუგებას შორის არსებული ალტერნატივისა და რისკის ანაზღაურების კონცეფციის შესახებ სასაუბროდ გამოიყენოთ.

როგორც წესი, სტუდენტებს აინტერესებთ ინფორმაცია ფინანსურ ბაზრებზე მაკროეკონომიკური მოვლენების ზემოქმედების შესახებ. ციკლურ აქციებში ინვესტირებულ პორტფელებს რეცესიის შემთხვევაში დაბალი უკუგება ექნება. მოულოდნელი ინფლაცია ფულსა და ობლიგაციებს აზარალებს. უცხოურ ვალუტაში გამოხატულ აქტივებს დოლარის გაუფასურების შემთხვევაში დიდი უკუგების მოცემა შეუძლია. სარგებლის განაკვეთის ცვლილებას ობლიგაციებისგან შემდგარი პორტფელების ღირებულების დიდი მერყეობების გამონვევა შეუძლია.

გვარი_____ კურსი_____

ფინანსური ბაზრები

1. დავუშვათ, გაქვთ $100000 დანაზოგი. შეადგინეთ $100000-ის ღირებულების ფასიანი ქაღალდების პორტფელი. გადაწყვიტეთ, რომელი ფინანსური ინსტიტუტების გამოყენება გსურთ და იპოვეთ გაზეთებში ამ ინსტიტუტების მიმდინარე ფასები. მიმდინარე ფასების საფუძველზე გამოითვალეთ თითოეული ფასიანი ქაღალდიდან თქვენი მოგება.

2. რას ელით ამ პორტფელისგან? რა მიზანს ემსახურებოდა მისი არჩევა — მოკლევადიან პერიოდში მაქსიმალური მოგების მიღებას, გრძელვადიან სტაბილურობას თუ რაიმე სხვა მიზნებს?

3. აღწერეთ, როგორ იმოქმედებს ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული მოვლენა თქვენი პორტფელის ღირებულებაზე.

ა) სარგებლის განაკვეთის ზრდა
ბ) სარგებლის განაკვეთის შემცირება
გ) რეცესია
დ) სნრაფი ინფლაცია
ე) აშშ დოლარის ღირებულების შემცირება

26.1. ვინ არის უმუშევარი?

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემები:	უმუშევრობის სახეები
სახელმძღვანელო:	თავი 26. უმუშევრობის ბუნებრივი დონე
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ დავალების შესრულებისას სტუდენტები სამუშაო ძალის სტატისტიკას გაეცნობიან.

ინსტრუქციები

სტუდენტებს სთხოვეთ დაალაგონ ქვემოთ ჩამოთვლილი ინდივიდები შემდეგი კატეგორიების მიხედვით: დასაქმებული, უმუშევარი, სამუშაო ძალის გარეთ დარჩენილი.

სთივმა გასულ კვირას ორმოცი საათი იმუშავა მუსიკალურ მაღაზიაში.

გასულ კვირას ელიზაბეთმა 10 საათი იმუშავა "ეროვნულ ვიდეოკომპანიაში". ამას გარდა, ის ადგილობრივი კოლეჯის საღამოს გაკვეთილებს ესწრებოდა. ელიზაბეთს სრული განაკვეთით მუშაობა ურჩევნია.

როჯერმა დაკარგა თავისი სამუშაო ადგილი არგონის მწარმოებელ კომპანიაში. მას შემდეგ ის სხვა ადგილობრივ ქარხნებში სამუშაოს ეძებს.

ლინდა დიასახლისია. გასულ კვირას ის ჩვეულებრივი საშინაო საქმეებით იყო დაკავებული. ლინდას სამუშაო არც ჰქონია და არც უძებნია.

ლინდას მამა შრომისუუნაროა.

სკოტი ფილოსოფიის დოქტორია. გასულ კვირას ის სრული განაკვეთით მუშაობდა, მაგრამ თავისი სამუშაო — ჭურჭლის რეცხვა — არ მოსწონს. მან სამუშაო ადგილის შესახებ განაცხადი შეიტანა სამ კომპანიასა და ხუთ უნივერსიტეტში. როგორც კი სკოტს სამუშაო ადგილს შესთავაზებენ, მიმდინარე სამუშაო ადგილზე უარს იტყვის.

მერი-ელენი ერთი წელია არსად მუშაობს. ის სიამოვნებით იმუშავებდა, მაგრამ მას არავინ ქირაობს. მერი-ელენი სამუშაოს აქტიურად არ ეძებს.

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

სთივი, ელიზაბეთი და სკოტი დასაქმებულები არიან.

როჯერი უმუშევარია.

ლინდა, ლინდას მამა და მერი-ელენი სამუშაო ძალის გარეთ არიან.

ეს დავალება შეგიძლიათ გამოიყენოთ უმუშევრობის დონის დადგენის ისეთ პრობლემებზე სასაუბროდ, როგორიცაა არასრული დასაქმება (ლინდა და სკოტი) და იმედდაკარგული მუშახელი (მერი-ელენი).

ნაწილი — X ფული და ფასები გრძელვადიან პერიოდში

"დღეს ერთ-ერთმა ამერიკულმა კვლევითმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა საკუთარი გამოკვლევის შედეგები, რომელთა თანახმად, 1990 წლისთვის ერთი ოჯახის საცხოვრებელი სახლი, ფარდაგებისა და ხალიჩების ჩაუთვლელად, საშუალოდ თერთმეტი მილიონი დოლარი ეღირება და ასეთი სახლის ყიდვას მხოლოდ საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის წევრები ან ნარკობარონები თუ შეძლებენ."

დეივ ბერი

27.1. ოქრო და რაინდები: ეს საკლასო დემონსტრაცია სტუდენტებს საბანკო საქმისა და ნაწილობრივი რეზერვების სისტემის განვითარებას გააცნობს.

27.2. ფულის შექმნა: ეს საკლასო თამაში უჩვენებს, თუ როგორ ზრდის საბანკო სისტემა ფულის მიწოდებას ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ღია საბაზრო შესყიდვების შედეგად.

27.3. რას გვასწავლის დოლარი? ამ თამაშში ვალუტის გამოყენება სტუდენტებს ფედერალური სარეზერვო სისტემის სტრუქტურის გაცნობაში ეხმარება.

28.1. ინფლაციის ფერია: ამ თამაშში შესწავლილია ინფლაციის შედეგები.

28.2. სტუდენტური ფასების ინდექსის ცვლილება: ამ საშინაო დავალების შესასრულებლად სტუდენტები უნდა გაეცნონ ფასების ცვლილებას და გამოითვალონ ინფლაციის დონე.

28.3. ფასები და დრო: ამ საშინაო დავალების შესრულებისას სტუდენტები ადარებენ მიმდინარე ფასებსა და მათი დაბადების წელს არსებულ ფასებს.

27.1. ოქრო და რაინდები

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	ფული, ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემა
სახელმძღვანელო:	თავი 27. მონეტარული სისტემა
დამატებითი მასალა:	3 მონეტა, ხელწერილი, ერთი მოხალისე
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ თამაშში გადმოცემულია ქაღალდის ფულისა და თანამედროვე საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ისტორია.

ინსტრუქციები

სტუდენტებს აუხსენით, რომ უკან ბრუნდებით დროში და ხვდებით იმ ეპოქაში, როდესაც შარაგზებზე რაინდები მოგზაურობდნენ და ფული ოქროსი იყო. იმის გამო, რომ ოქრო ასე მნიშვნელოვანი იყო, სტუდენტი-მოხალისე ოქრომჭედლის როლს შეასრულებს.

"იმ დღეებში გზებზე ყაჩაღობაც ხშირი იყო, ამიტომ ფულიან ხალხს ამ ფულის შესანახი უსაფრთხო ადგილი სჭირდებოდა. ოქრომჭედლებს სეიფები და მტკიცეკედლებიანი ოთახები ჰქონდათ, სადაც თავიანთ საქონელს ინახავდნენ. ამიტომ ხალხი ფულის შესანახად ისევ ოქრომჭედლებთან მიდიოდა.

მიეცით "ოქრომჭედელს" მონეტები და გამოართვით ხელწერილი.

"იმ დროს შესანახად ფულის ჩაბარება დღევანდელი თეატრის გარდერობში პალტოს ჩაბარების მსგავსი იყო: თქვენს მონეტებს ინახავდნენ და ზუსტად იმავე მონეტებს გიბრუნებდნენ. თანდათან ოქრომჭედლები ერთ-ერთ პირველ ფინანსურ აღმოჩენამდე მივიდნენ: დეპოზიტორებს სულაც არ აინტერესებდათ, ზუსტად იმავე მონეტებს მიიღებდნენ თუ არა, მათთვის მთავარი მხოლოდ იმავე თანხის დაბრუნება იყო."

"ახლა კი დავფიქრდეთ იმ ეპოქაში არსებულ გაცვლებზე." გადით კლასის ბოლოში და აირჩიეთ ერთი სტუდენტი. ეს სტუდენტი "ცხენების გამყიდველი" იყოს. შეუთანხმდით მას ცხენის ყიდვაზე.

დაბრუნდით ოქრომჭედელთან. წარუდგინეთ თქვენი ხელწერილი და დაიბრუნეთ თქვენი მონეტები. ისევ ცხენების გამყიდველთან მიდით. მიეცით მას მონეტები. კლასს აუხსენით, რომ ცხენების გამყიდველს საკუთარი ფულის უსაფრთხო ადგილას შენახვა სურს. გამოართვით გამყიდველს მონეტები, მიუტანეთ ოქრომჭედელს. გამოართვით ოქრომჭედელს ხელწერილი და მიუტანეთ ცხენების გამყიდველს.

ახსენით: "როგორც ხედავთ, ამ გაცვლას რამდენიმე ზედმეტი მისვლა-მოსვლა დასჭირდა. გაცვლის დაწყებისას მე მქონდა ოქროს ჩაბარების ხელწერილი, ხოლო დასასრულს ცხენების ვაჭარს ჰქონდა ხელწერილი იმავე რაოდენობის ოქროს ჩაბარების შესახებ. რეალური მონეტებით აქეთ-იქით სიარული სულაც არ იყო აუცილებელი. საბოლოოდ, ხალხმა ეს გააცნობიერა და დაიწყო შესყიდვები ასეთ ხელწერილების გამოყენებით."
ასე დაედო სათავე ქაღალდის ფულის ანუ ბანკნოტების გამოყენებას.

"გარკვეული ხნის შემდეგ ოქრომჭედელი, რომელიც, რეალურად, ამ დროისთვის უკვე ბანკირია, შენიშნავს, რომ მისი სეიფიდან ოქრო ძალიან იშვიათად გადის. ფული ჯერ კიდევ ღირებული საქონელი იყო და მისი უქმად შენახვა სეიფში გაუმართლებელი იყო. მომწიფდა უფრო მნიშვნელოვანი ფინანსური აღმოჩენა. ბანკებმა გააცნობიერეს, რომ შეიძლებოდა უქმად შენახული ფულის ინვესტორებისთვის სესხება. ინვესტორებს მზად იყვნენ ამ ფულის გამოყენებისთვის გარკვეული თანხა გადაეხადათ. ეს იყო ბანკების მოგებისა და ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის დაფინანსების ახალი წყარო.

ასე შეიქმნა ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემა.

განსახილველი საკითხები

ნანილობრივი რეზერვების საბანკო სისტემას დიდი ეკონომიკური სარგებლობა მოაქვს. მისი შექმნის შედეგად დეპოზიტორებმა შეძლეს თავიანთი ფულისგან სარგებლის მიღება, რამაც დანაზოგების სტიმულირებას ხელი შეუწყო. საბანკო დაფინანსებამ მსესხებლებს ახალი სანარმოო ფაქტორების შექმნის საშუალება მისცა. ინვესტიციების ზრდამ კი ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას შეუნყო ხელი.

ნანილობრივი რეზერვების საბანკო სისტემასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა ისაა, რომ მას არ შეუძლია ყველა დეპოზიტორისთვის ფულის ერთდროულად მიცემა. საბანკო პანიკა შეიძლება ბანკების გაკოტრების მიზეზი გახდეს. ასეთ დროს გადარჩენა თვით მდიდარ ბანკებსაც კი არ შეუძლიათ. აქვე შეგიძლიათ ისაუბროთ დეპოზიტების ფედერალური დაზღვევის, როგორც საბანკო პანიკის თავიდან აცილების საშუალების შესახებ.

27.2. ფულის შექმნა

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	საბანკო სისტემა და დეპოზიტების ზრდა
სახელმძღვანელო:	თავი 27. მონეტარული სისტემა
დამატებითი მასალა:	2 მოხალისე, ფურცელი წარწერით "$1000"
მეცადინეობის დრო:	25 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ თამაშის მიზანია ფულის მინოდების ზრდაში საბანკო სისტემის როლის დემონსტრირება.

ინსტრუქციები

ორი მოხალისე "ბანკირებად" დანიშნეთ. თითოეულ ბანკირს სთხოვეთ, დაფაზე დახაზონ ბალანსის ცხრილი.

"ორთაბანკი"		*"ამერბანკკორპი"*	
აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები
0	0	0	0

კლასის დარჩენილი ნაწილი საზოგადოებას წარმოადგენს. ეს საზოგადოება მსესხებლებისა და დეპოზიტორებისგან შედგება.

მასწავლებელი ფედერალურ სარეზერვო სისტემას წარმოადგენს. ფედერალური სარეზერვო სისტემა აწესებს სარეზერვო მოთხოვნებს, რომლებიც დეპოზიტების 20%-ს შეადგენს.

ამას გარდა, ფედერალური სარეზერვო სისტემა ღია საბაზრო ოპერაციებსაც ახორციელებს. ფურცლით, რომელიც $1000-ს აღნიშნავს, სტუდენტისგან ბეისბოლის ქუდი იყიდეთ. (ახსენით, რომ, რეალურად, ფედერალური სარეზერვო სისტემა საზოგადოებისგან სახელმნიფო ობლიგაციებს ყიდულობს, ვინაიდან ნახმარი ბეისბოლის ქუდების ბაზარი მცირე ზომისაა.)

უქუდო სტუდენტს აქვს $1000 და ამ თანხის დახარჯვას რომელიმე სხვა სტუდენტთან ერთად აპირებს. ეს სტუდენტი $1000-ს იღებს და საბანკო დეპოზიტზე შეაქვს.

ახლა ბანკს აქვს $1000-ის ტოლი დეპოზიტი (ვალდებულება) და $1000 ნაღდი ფული (აქტივი). ბანკი ვალდებულია სარეზერვოდ შეინახოს $200 (20%), ხოლო დანარჩენი $800-ის გასესხება შეუძლია. ბანკირს სთხოვეთ მოახიოს ფურცელს 20% და დარჩენილი ნაწილი სხვა სტუდენტს მისცეს.

ბანკის ბალანსის ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

"ორთაბანკი"		*"ამერბანკკორპი"*	
აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები
$200 (რეზერვები) $800 (სესხები)	$1000 (დეპოზიტები)	0	0

ამის შემდეგ, მსესხებელი $800-ს ხარჯავს, ხოლო ამ თანხის ახალი მფლობელი ფულს საბანკო დეპოზიტზე დებს. ახლა ბანკს დეპოზიტების სახით აქვს $800 და ნაღდი ფულის სახით აქვს $800. აქედან $160 სარეზერვოდ უნდა შეინახოს, ხოლო $640 შეუძლია გაასესხოს. სთხოვეთ ბანკირს, შეინახოს ფურცლის 20%, დანარჩენი კი სხვა მსესხებელს მისცეს.

"ორთაბანკი"		*"ამერბანკკორპი"*	
აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები
$200 (რეზერვები) $800 (სესხები)	$1000 (დეპოზიტები)	$160 (რეზერვები) $640 (სესხები)	$800 (დეპოზიტები)

ეს პროცესი რამდენჯერმე გაიმეორეთ.

დასასრულს სტუდენტებს ჰკითხეთ, ვისა აქვს ფული საბანკო დეპოზიტზე. დეპოზიტების საერთო რაოდენობა გაცილებით მეტი იქნება $1000-ზე, ანუ იმ სანყის თანხაზე, რომელიც ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ეკონომიკაში შეიტანა.

თუ ეს პროცესი უსასრულოდ გაგრძელდება, ბანკების ბალანსის ცხრილები დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

"ორთაბანკი"		*"ამერბანკორპი"*	
აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები
$500 (რეზერვები)	$2500 (დეპოზიტები)	$500 (რეზერვები)	$2500(დეპოზიტები)
$2000 (სესხები)		$2000 (სესხები)	

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს თამაში მაშინ მთავრდება, როდესაც ერთ-ერთ ბანკს ჭარბი რეზერვები დაუგროვდება.

განსახილველი საკითხები

ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფულის შექმნის პროცესში. საბანკო სისტემა, საზოგადოდ, ფულის მიწოდებას რეალურად ზრდის.

თუ საუბარი საკმარისად გაგრძელდა, შეგიძლიათ სტუდენტებს ფულადი მულტიპლიკატორის ცნებაც გააცნოთ.

დრო, რომელიც ამ დემონსტრაციას სჭირდება, სტუდენტებს მონეტარულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დროითი შეუსაბამობის გაგებაში დაეხმარება.

27.3. რას გვასწავლის დოლარი?

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	ფული, ფედერალური სარეზერვო სისტემა
სახელმძღვანელო:	თავი 27. მონეტარული სისტემა
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	5 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ მეცადინეობისას სტუდენტები გაეცნობიან ფედერალური სარეზერვო სისტემის როლს ფულის მიწოდების მართვაში.

ინსტრუქციები

სტუდენტებს სთხოვეთ საფულეებიდან ამოიღონ ერთ, ხუთ, ათ, ოც ან ასდოლარიანები. სტუდენტებს, რომელთაც ფული არა აქვთ, შეუძლიათ სხვებისგან ითხოვონ. სტუდენტებს სთხოვეთ წაიკითხონ ბანკნოტზე აღბეჭდილი წარწერები.

ერთი წუთის შემდეგ ჰკითხეთ, თუ რა შეიტყვეს.

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

სტუდენტების უმეტესობა გამოყოფს განცხადებას "ეს ბანკნოტი არის ყველა საზოგადოებრივი და კერძო ვალის კანონიერი გადახდის საშუალება". ეს განცხდება აშშ ნაღდი ფულის ერთადერთი "საყრდენია" — ბანკნოტს ოქროსა თუ ვერცხლზე ვერ გადაცვლით. აქვე შეგიძლიათ ისაუბროთ განსხვავებაზე დეკრეტულ ფულსა და საქონლურ ფულს შორის.

რომელიმე სტუდენტი ბანკნოტის ზედა ნაწილში დაბეჭდილ ფრაზაზე მიუთითებს: "ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკნოტი". ახსენით, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის, როგორც აშშ ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ფულის მიწოდების მართვა და ბანკებისთვის ვალუტის მიწოდება შეადგენს.

ფედერალური სარეზერვო სისტემის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია ვაშინგტონის პორტრეტის მარჯვნივ, შტამპზეა აღბეჭდილი. აქ წერია "...-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკი".

თუ კლასი დიდია, შეიძლება ფედერალური სარეზერვო სისტემის თორმეტივე ბანკის — ბოსტონის, ნიუ-იორკის, ფილადელფიის, რიჩმონდის, ატლანტის, ქლივლენდის, ჩიკაგოს, სენტ-ლუისის, მინეაპოლისის, კანზასის, დალასისა და სან-ფრანცისკოს ბანკების — წარმოდგენა.

ამ გზით შეგიძლიათ სტუდენტებს გააცნოთ რეგიონებში ფედერალური სარეზერვო სისტემის ფილიალების როლი და ფუნქციები. ამ ფუნქციებს შორისაა ჩეკების განაღდება, კომერციული ბანკების რეზერვების შენახვა, ნაღდი ფულის მიწოდება, კომერციული ბანკებისთვის სესხების გაცემა, რეგიონული ეკონომიკური მონაცემების შეკრება და ანალიზი.

ფედერალური სარეზერვო სისტემის სტრუქტურის შესახებ საუბრისას შეგიძლიათ მოიხსენიოთ მმართველთა საბჭო, ღია ბაზრის ფედერალური კომიტეტი და ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარის როლი სისტემის ფუნქციონირებაში.

28.1. ინფლაციის ფერია

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	ინფლაცია
სახელმძღვანელო:	თავი 28. ინფლაცია
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	10 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ თამაშში ნაჩვენები იქნება ინფლაციის შედეგები.

ინსტრუქციები

სტუდენტებს სთხოვეთ განიხილონ ერთ ღამეში ფასების გაორმაგების შედეგები.

უთხარით, რომ სანამ ყველას ეძინა, ყველა ფასი ორჯერ გაიზარდა. გამაგრილებელი სასმელი, რომელიც ერთი დოლარი ღირდა, ახლა ორი დოლარი ღირს; ავტომობილის ფასი $20000-დან $40000-მდე გაიზარდა.

შრომის ფასიც გაორმაგდა, ასე რომ, თუ მშრომელს საათში $6-ს უხდიდნენ, ახლა $12-ს უხდიან. ნლიური ხელფასი $30000-დან $60000-მდე გაიზარდა.

გაორმაგდა ყველა აქტივის ღირებულებაც. აქციების ფასები გუშინდელთან შედარებით ორჯერ მაღალია. ათასდოლარიანი ობლიგაცია ორიათასდოლარიან ობლიგაციად იქცა. საჩეკო ანგარიშზე არსებული $35 დღეს $70-ია და ა.შ.

ვალებიც გაორმაგდა. $5, რომელიც მეზობლისგან ისესხეთ, დღეს $10-ია. $3000-ის მოცულობის სტუდენტური სესხი $6000-ამდე გაიზარდა. $75000-ის საბინაო გირაო $150000-იან გირაოდ იქცა.

შეიცვალა თვით ნაღდი ფულის ოდენობაც. ინფლაციის ფერიამ ერთ ღამეში ყველა საფულეში $10-იანი ბანკნოტები $20-იანებით შეცვალა. ფერიამ ყულაბაში ჩაყრილი ხურდა ფულიც კი გააორმაგა.

რა მოხდება, თუ ყველა ფასი ერთ ღამეში გაორმაგდა?

განსახილველი საკითხები

თუ ფასები ერთ ღამეში გაორმაგდა, მოხდება შემდეგი რამ: **არაფერი არ მოხდება!**

თუ ყველა ფასი სრულადაა დარეგულირებული, ფასების გაორმაგებას რეალური შედეგი არ მოჰყვება. ყველა შეინარჩუნებს ზუსტად ისეთსავე მსყიდველობით უნარს. ხალხს ორჯერ მეტი ფული აქვს, მაგრამ ყველაფერი ორჯერ მეტი ღირს. ფასების არანაირი ფარდობითი ცვლილება არ მომხდარა.

ინფლაციის ასეთი დონე — 100% — მხოლოდ ფანტასტიკურ რომანშია შესაძლებელი. ფასების ცვლილების ასეთი ტემპის დროს ფასები ერთ თვეში მილიარდიან ზღვარს ასცდება. მაგრამ, თუ ყველაფერი ერთროულად შეიცვლება, ეკონომიკაზე ეს არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს.

პრობლემა, რა თქმა უნდა, ისაა, რომ არ არსებობს ინფლაციის ფერია, რომელიც ყველაფერს უმტკივნეულოდ დაარეგულირებს. ზოგი ფასი სწრაფად რეგულირდება, ზოგი კი — არა.

ნაღდი ფულის ბალანსი ინფლაციის ფერიის გარეშე არ გაორმაგდებოდა, ამიტომ ადამიანები არ მოისურვებდნენ ნაღდი ფულის ფლობას ან ანაზღაურების ნაღდი ფულის სახით აღებას. ეს მნიშვნელოვნად გაზრდიდა ტრანსაქციულ დანახარჯებს.

თუ ფასები ისეთივე ტემპით არ იცვლება, ინფლაციის შედეგად გაჩნდებიან მოგებულები და დაზარალებულები. მაგალითად, თუ ერთ ღამეში გაიზრდება ყველა ფასი, ვალების გარდა, მაშინ მსესხებლები აღმოაჩენენ, რომ მათი სასესხო გადასახადების რეალური ღირებულება განახევრდა. მსესხებლები მოიგებენ, ხოლო გამსესხებლები დაზარალდებიან. თუ ინფლაცია ასეთი ტემპით გაგრძელდა, ყველა ფულის სესხებას ეცდება, მაგრამ გასესხებას აღარავინ მოისურვებს. კრედიტების ბაზარი არსებობას შეწყვეტს.

უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, ის, ვისი შემოსავლის ზრდაც ინფლაციას ჩამორჩება, დაზარალდება, ხოლო ის, ვისი ხარჯების ზრდაც ინფლაციას ჩამორჩება, მოიგებს.

აქვე შეგიძლიათ ისაუბროთ სხვა პრობლემებზეც: მოულოდნელობათა გაზრდაზე, ფასის სიგნალების შესუსტებაზე, "გაცვეთილი ფეხსაცმლის" დანახარჯებზე, "მენიუს" დანახარჯებზე და ა.შ.

ინფლაციით გამოწვეული პრობლემების უმეტესობა შემოსავლის განაწილებას უკავშირდება, მაგრამ ამ მოვლენას რესურსების პროდუქტიულობაზეც შეუძლია გავლენის მოხდენა: ინფლაციისგან მოგების მიღებაზე ან მისგან განცდილ ზარალზე ფიქრში დახარჯული დრო რესურსების პროდუქტიული საქმიანობიდან არაპროდუქტიულისკენ გადადინებას ინვევს.

28.2. სტუდენტური ფასების ინდექსის ცვლილება

მეცადინეობის ხასიათი:	საშინაო დავალება
თემები:	ინფლაცია
სახელმძღვანელო:	თავი 28, ინფლაცია
დამატებითი მასალა:	სამომხმარებლო კალათის სანყისი ფასები (იხ. 23.1)
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ დავალების შესრულებისას სტუდენტები შეაფასებენ პატარა სამომხმარებლო კალათის შემადგენელი საქონლის ფასების ცვლილებას ერთი სემესტრის განმავლობაში. ფასების ეს ცვლილება შეიძლება დაკავშირებული იყოს ინფლაციის საერთო დონესთან. აქვე ნაჩვენები იქნება სამომხმარებლო კალათის არჩევის დიდი მნიშვნელობა.

ინსტრუქციები

ფასების ინდექსთან დაკავშირებული საშინაო დავალების (23.1) შესრულებიდან ერთი თვის შემდეგ სტუდენტებს სთხოვეთ დაუბრუნდნენ მაღაზიებს და დაადგინონ იმავე სამომხმარებლო კალათების მიმდინარე ფასები.

განსახილველი საკითხები

ჩვეულებრივ, ზოგიერთი სამომხმარებლო კალათის ფასი იზრდება, ზოგიერთისა — მცირდება, დანარჩენების ფასები კი უცვლელი რჩება. სტუდენტები, როგორც ნესი, არამდგრადი ფასების მქონე საქონელს ირჩევენ, მაგალითად, კვების პროდუქტებსა და ბენზინს. ეკონომიკის ეს სექტორები, საზოგადოდ, უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე მთლიანი სამომხმარებლო კალათა, რომელიც სამომხმარებლო ფასების ინდექსის დასადგენად გამოიყენება.

სტუდენტთა პასუხების მრავალფეროვნება ხაზს უსვამს სამომხმარებლო კალათის არჩევის დიდ მნიშვნელობას. სხვადასხვა სამომხმარებლო კალათების შეფასება ინფლაციის განსხვაებულ დონეებს იძლევა.

დავალება: ფასების ინდექსი II

სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება ფართოდ გამოიყენება, როგორც ინფლაციის საზომი. თქვენი პირადი ფასების ინდექსის გამოყენებით გამოთვალეთ ფასების ცვლილება.

1. გამოიყენეთ იგივე საქონელი და იგივე რაოდენობა, იმავე მაღაზიის ფასებით.

2. დაადგინეთ თითოეული საქონლის ახალი ფასი.

3. გამოთვალეთ ყველა ამ საქონლის მიმდინარე ფასებად შესყიდვის ხარჯი.

4. გამოთვალეთ ფასების პროცენტული ცვლილება მთლიანი სამომხმარებლო კალათისთვის.

28.3. ფასები და დრო

მეცადინეობის ხასიათი:	საშინაო დავალება
თემები:	ინფლაცია
სახელმძღვანელო:	თავი 28. ინფლაცია
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ დავალების შესრულებისას სტუდენტები შეაფასებენ, როგორ იცვლება ფასები გრძელვადიან პერიოდში. ფასების ეს ცვლილება შეიძლება დაკავშირებული იყოს ინფლაციის საერთო დონესთან.

ინსტრუქციები

სტუდენტებმა ერთმანეთს უნდა შეადარონ ფასები იმ წელს, როდესაც ისინი ქვეყანას მოევლინნენ, და იმავე საქონლის მიმდინარე ფასები.

განსახილველი საკითხები

ინფლაცია გრძელვადიან პერიოდში ფასების შედარებას ართულებს. ძველი ნომინალური ფასები დღეს ძალიან დაბალი გვეჩვენება, მაგრამ იმ დროს ნომინალური ხელფასებიც ძალიან დაბალი იყო.

რეალური ფასების გამოსათვლელად შეიძლება ფასების ინდექსების გამოყენება, მაგრამ თვით საქონლის ცვლილება უზუსტობების მიზეზი ხდება. მრავალი სახის საქონელი 20 წლის წინ სულ სხვაგვარი იყო. ხარისხის ცვლილებები და ტექნოლოგიების განვითარება კიდევ უფრო ართულებს შედარებას. აქვე შეგიძლიათ ისაუბროთ სამომხმარებლო ფასების ინდექსის მოსალოდნელ ცვლილებებზეც.

ვინაიდან მინიმალური ხელფასი ინფლაციურ ინდექსაციას არ ექვემდებარება, ამიტომ მისი მსყიდველობითი უნარი შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს მინიმალური ხელფასის გაზრდასთან დაკავშირებული კანონის მიღებამდე. აქ შეგიძლიათ ისაუბროთ ინდექსაციის ან თანასწორობის შესახებ.

გვარი_____ კურსი_____

დაბადების წელი_____

ფასები და დრო

ნაწილი I. ისტორიული ფასები
1. მოძებნეთ 5 (ან მეტი) სახეობის საქონლის ფასები თქვენი დაბადების წელს. თუ შეძლებთ, დაასახელეთ ზუსტი სავაჭრო მარკები და რაოდენობები. წარსულის ფასების მოძებნაში იმდროინდელი გაზეთები და ჟურნალები დაგეხმარებათ. (მათი ნახვა ბიბლიოთეკაში შეიძლება.)

2. როგორი იყო მინიმალური ფედერალური ხელფასი თქვენი დაბადების წელს?

ნაწილი II. მიმდინარე ფასები
1. დაადგინეთ პირველ ნაწილში დასახელებული თითოეული საქონლის მიმდინარე ფასი.

2. რას უდრის მინიმალური ფედერალური ხელფასი დღეს?

ნაწილი III. შედარება
1. შეიცვალა თუ არა, თქვენი აზრით, ამ პერიოდის განმავლობაში თქვენს მიერ დასახელებული რომელიმე საქონლის ხარისხი?

2. როგორ იმოქმედა ტექნოლოგიურმა განვითარებამ ამ საქონელზე?

3. გამოთვალეთ თითოეული საქონლის ფასის პროცენტული ცვლილება ამ პერიოდისთვის.

4. გამოთვალეთ მინიმალური ხელფასის პროცენტული ცვლილება.

5. რა მოუვიდა იმ ადამიანების მსყიდველობით უნარს, რომლებიც მინიმალურ ხელფასს იღებენ?

© 1998 The Dryden Press

ნაწილი XI. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა

"300 000 ეკრანიდან ახალი ამბებით მოვაჭრენი ცდილობენ იმსჯელონ იმის შესახებ, თუ რა კარგად მართავთ თქვენს ეკონომიკას. ევრობა ზრისა და მცურავი სავალუტო კურსების გაჩენამდე პრე ზიდენტს შეეძლო გასულიყო ვარდების ბაღში და გაეკეთებინა განცხადება დოლარის შესახებ, და ამ განცხადებას მთელი მსოფლიო მშვიდად უსმენდა. დღეს, თუ პრე ზიდენტი ვარდების ბაღში გავა და რაიმე უმნიშვნელოს იტყვის, დოლარის კურსი 60 წამის განმავლობაში შეიცვლება. სწორედ ეს წარმოშობს იმას, რასაც მე საინფორმაციო სტანდარტს ვუწოდებ. საინფორმაციო სტანდარტი უფრო მკაცრია, ვიდრე ოქროს სტანდარტი, ვინაიდან მთავრობამ ბა ზარ ზე კონტროლი დაკარგა. მთავრობა ამას მტკივნეულად აღიქვამს."

უოლტერ რითსონი

29.1. ლუდის საერთაშორისო მოხმარება: აქ ნაჩვენებია სავალუტო კურსების დიდი მნიშვნელობა.

29.2. მომგებიანი შესაძლებლობა: ამ საკლასო დავალების შესრულებისას სტუდენტები არბიტრაჟის შესაძლებლობებს განიხილავენ.

29.3. სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ფასების შედარება: ამ დავალების შესრულებისთვის სტუდენტებმა უნდა შეკრიბონ ინფორმაცია ფასების შესახებ, გადაიყვანონ ეს ფასები ერთი ვალუტიდან სხვა ვალუტაში და ახსნან განსხვავება ფასებს შორის.

29.1. ლუდის საერთაშორისო მოხმარება

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დემონსტრაცია
თემები:	სავალუტო კურსები
სახელმძღვანელო:	თავი 29. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა: ძირითადი ცნებები
დამატებითი მასალა:	სამი ბოთლი იმპორტული ლუდი, უცხოური ვალუტა
მეცადინეობის დრო:	3 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ დემონსტრაციაში საუბარი იქნება სავალუტო კურსების შესახებ.

ინსტრუქციები

სტუდენტებს უამბეთ შემდეგი ამბავი: "რამდენიმე დღის წინ ორ მეგობართან ერთად ბარში ნავედი. სამივემ ლუდი შევუკვეთეთ, მაგრამ სხვადასხვა — "კორონა", "ბექსი" და "მოლსენი". ბარმენმა სასმელი მოგვიტანა."

დააწყვეთ ლუდის ბოთლები მაგიდაზე.

"შემდეგ ბარმენმა გვითხრა: "ეს ყველაფერი ღირს 100 პესო, 3 მარკა და 2 კანადური დოლარი.""

"საბედნიეროდ, ასეთი ფული გვქონდა." მაგიდაზე დადეთ სამივე უცხოური ვალუტა.

სტუდენტებს ჰკითხეთ: "რა უნდა გვექნა, ეს უცხოური ფული რომ არ გვქონოდა?"

განსახილველი საკითხები

პასუხი ნათელია: უნდა გადაიხადო აშშ დოლარები, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ამ გაცვლის უკან მდგომი ბაზრები.

ამ სამი სახეობის ლუდს მექსიკაში, გერმანიასა და კანადაში აწარმოებენ. ლუდის მწარმოებელთა დანახარჯები გამოხატული იყო პესოებში, მარკებსა და კანადურ დოლარებში. არც იქაურ მშრომელებს და არც ლუდის მიმწოდებლებს სხვა ქვეყნის ვალუტის მიღება არ სურთ.

ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც ამ საქონლის აშშ დოლარებით ყიდვა შეგვიძლია, ისაა, რომ ვიღაცა მზადაა აშშ დოლარები პესოებზე, მარკებსა და კანადურ დოლარებზე გადაცვალოს. სწორედ დოლარებზე ეს მოთხოვნა, დოლარების მინოდებასთან ერთად, განსაზღვრავს სავალუტო კურსს.

29.2. მომგებიანი შესაძლებლობა

მეცადინეობის ხასიათი:	საკლასო დავალება
თემები:	სავალუტო კურსები, არბიტრაჟი
სახელმძღვანელო:	თავი 29. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა: ძირითადი ცნებები
დამატებითი მასალა:	საჭირო არ არის
მეცადინეობის დრო:	20 წუთი
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ეს დავალება სტუდენტებს საშუალებას აძლევს ივარჯიშონ სავალუტო კურსების გამოყენებით ფასების გამოთვლაში და მოგების შესაძლებლობების მოძებნაში. ამ მაგალითში გამოყენებული რიცხვები 1990 წელს არსებული რეალური ტრანსაქციული ფასებია.

ინსტრუქციები

სტუდენტებს აღუწერეთ ასეთი სიტუაცია: ლუდ "ლაბათს" კანადაში აწარმოებენ და მრავალ ქვეყანაში ყიდიან. ონტარიოს პროვინციაში "ლაბათის" ექვსბოთლიანი შეკვრა 6,6 კანადური დოლარი ღირდა. საზღვრის მეორე მხარეს, მიჩიგანში, "ლაბათის" ასეთივე შეკვრა $2,75-ად იყიდებოდა. იმ მომენტში სავალუტო კურსი იყო 0,75 აშშ დოლარი 1 კანადურ დოლარში.

სტუდენტებს სთხოვეთ, ჩაატარონ შემდეგი გამოთვლები:

1) რა ეღირებოდა ლუდის ერთი შეკვრა აშშ დოლარებში, თუ მას ონტარიოში იყიდდნენ?

2) რა ეღირებოდა ლუდის ერთი შეკვრა კანადურ დოლარებში, თუ მას მიჩიგანში იყიდდნენ?

3) არსებობს თუ არა აქ არბიტრაჟის შესაძლებლობა?

4) თუ არბიტრაჟი შესაძლებელია, სად იყიდდით და სად გაყიდდით ლუდს? რა მოგებას მიიღებდით ექვსბოთლიანი შეკვრიდან?

5) რატომაა შესაძლებელი ფასებს შორის განსხვავება?

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

1) რა ეღირებოდა ლუდის ერთი შეკვრა აშშ დოლარებში, თუ მას ონტარიოში იყიდდნენ?
6,6 X 0,75 = $4,95 აშშ

2) რა ეღირებოდა ლუდის ერთი შეკვრა კანადურ დოლარებში, თუ მას მიჩიგანში იყიდდნენ?
2,75 / 0,75 = $3,67 კანადური

3) არსებობს თუ არა აქ არბიტრაჟის შესაძლებლობა?
არსებობს. ფასები განსხვავებულია. ლუდი კანადაში უფრო ძვირია, ვიდრე აშშ-ში.

4) თუ არბიტრაჟი შესაძლებელია, სად იყიდდით და სად გაყიდდით ლუდს? რა მოგებას მიიღებდით ექვსბოთლიანი შეკვრიდან?
უნდა ვიყიდოთ მიჩიგანში და გავყიდოთ ონტარიოში. ექვსბოთლიანი შეკვრიდან მიღებული მოგება ონტარიოში არსებულ ფასსა ($4,95) და მიჩიგანში არსებულ ფასს ($2,75) შორის არსებული განსხვავების ტოლია, რაც 2,2 აშშ დოლარს (ან 2,93 კანადურ დოლარს) შეადგენს.

5) რატომაა შესაძლებელი ფასებს შორის განსხვავება?
ფასებს შორის ეს განსხვავება მნიშვნელოვანი გასხვავებაა. მისი ახსნა არც ტრანსპორტირების ხარჯებით, არც საბაჟო გადასახადებითა და არც ტარიფებით არ შეიძლება. ლუდს კანადაში აწარმოებენ, მაგრამ საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ის მაინც უფრო იაფია.

უნდა მოიძებნოს ამ განსხვავების სხვაგვარი ახსნა. ონტარიოში ლუდის საცალო გაყიდვა მონოპოლიას წარმოადგენს. ლუდი მხოლოდ ე.წ. "ლუდის მაღაზიებში" იყიდება. გადასახადებიც, რა თქმა უნდა, ამ ორ რეგიონში სხვადასხვაა.

ტრანსპორტირების ხარჯები და იმპორტის კანონები, ონტარიოში არსებული საცალო გაყიდვის შეზღუდვებან ერთად, ფასებს შორის განსხვავების არბიტრაჟისთვის გამოყენებას აბრკოლებს.

29.3. სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ფასების შედარება

მეცადინეობის ხასიათი:	საშინაო დავალება
თემები:	საავალუტო კურსები, არბიტრაჟი, მსყიდველობითი უნარის პარიტეტი
სახელმძღვანელო:	თავი 29. ლია ეკონომიკის მაკროეკონომიკა: ძირითადი ცნებები
სტუდენტების რაოდენობა:	ნებისმიერი

მიზანი

ამ დავალების შესრულებისას სტუდენტები საავალუტო კურსებთან მუშაობაში და ორ ქვეყანაში არსებული ფასების შედარებაში ივარჯიშებენ. აქ გამოყენებული რიცხვები 1997 წელს არსებული რეალური ფასებია.

ინსტრუქციები

სტუდენტებს სთხოვეთ მოძებნონ სიაში ჩამოთვლილი საქონლის საცალო ფასები. ეს ფასები სტუდენტებმა საერთო ვალუტაში უნდა გადაიყვანონ, რათა შეადარონ ორ ქვეყანაში არსებული ფარდობითი ხარჯები. სტუდენტების უმეტესობა დომინიკის რესპუბლიკის ფასების აშშ დოლარებში გადაყვანას ამჯობინებს. სთხოვეთ, ახსნან ფასებს შორის არსებული უდიდესი განსხვავება.

სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ფასების შედარება

1. ადგილობრივ მაღაზიაში დაადგინეთ ათი (ან მეტი) ქვემოთ დასახელებული საქონლის ფასები.
2. ორ ქვეყანაში არსებული ფასების შედარებისთვის გამოიყენეთ კურსი 1 აშშ დოლარი/14 დომინიკური პესო.
3. შემოხაზეთ 3 დასახელების საქონელი, რომელთა ფასები ყველაზე მეტად განსხვავდება.
4. რატომ განსხვავდება ფასები?

საქონელი	ფასები სანტა-დომინგოში (დომინიკურ პესოებში)	ადგილობრივი ფასები (აშშ დოლარებში)	ფასები შედარებისთვის
ავოკადო	5,45		
ბრინჯი, 1 გირვანქა	5,45		
ლუდი, 6 ბოთლი	59,95		
რომი, 700 სმ³	42,75		
ჯინი, 750 მლ	189,00		
"კემპბელის" ტომატი	15,95		
"კელოგის" ბურღული	29,95		
ნისას ნამცხვრები,6 უნცია	36,95		
სიმინდის ზეთი, 96 უნცია	75,95		
კარაქი, ¼ გირვანქა	7,95		
"ჰოთ დოგის" 8 ფუნთუშა	14,00		
ყავა, 1 გირვანქა	29,95		
შაქარი, 1 გირვანქა	4,30		
საღეჭი რეზინი, 3 შეკვრა	14,45		
რძე, 1/2 გალონი	24,95		
ქათმის ხორცი, 1 გირვანქა	13,95		
12 კვერცხი	16,95		
ბენზინი	32,00		

© 1998 The Dryden Press

ტიპიური პასუხები და განსახილველი საკითხები

საქონელი	ფასები სანტა-დომინგოში (დომინიკურ პესოებში)	დომინიკური ფასები აშშ დოლარებში (შედარებისთვის)
ავოკადო	5,45	0,39
ბრინჯი, 1 გირვანქა	5,45	0,39
ლუდი, 6 ბოთლი	59,95	4,28
რომი, 700 სმ³	42,75	3,05
ჯინი, 750 მლ	189,00	13,50
"კემპბელის" ტომატი	15,95	1,14
"კელოგის" ბურღული	29,95	2,13
ნისას ნამცხვრები,6 უნცია	36,95	2,63
სიმინდის ზეთი, 96 უნცია	75,95	5,45
კარაქი, ¼ გირვანქა	7,95	0,56
"ჰოთ დოგის" 8 ფუნთუშა	14,00	1,00
ყავა, 1 გირვანქა	29,95	2,14
შაქარი, 1 გირვანქა	4,30	0,31
საღეჭი რეზინი, 3 შეკვრა	14,45	1,03
რძე, 1/2 გალონი	24,95	1,78
ქათმის ხორცი, 1 გირვანქა	13,95	1,00
12 კვერცხი	16,95	1,21
ბენზინი	32,00	2,28

ყველაზე დიდი განსხვავებები ორ ქვეყანაში არსებულ ფასებს შორის ასეთია:
ავოკადო, რომი და ყავა დომინიკის რესპუბლიკაში უფრო იაფია.
ბენზინი აშშ-ში უფრო იაფია.

ზოგი საქონელი თითქოს "ერთიანი ფასის წესს" ადასტურებს, მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, განსაკუთრებით, ზემოთ დასახელებული საქონლის ფასებს შორის. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი თითქმის არ არსებობს.

ფასებს შორის არსებული განსხვავებებს მიზეზებია სავაჭრო ბარიერები, გადასახადები და მთავრობის მიერ ფასების კონტროლი. სამივე ეს მიზეზი არსებობს შეერთებულ შტატებშიც (კერძოდ, ალკოჰოლურ სასმელებთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებთან მიმართებაში) და დომინიკის რესპუბლიკაში (იმპორტის მაღალი ტარიფები ბევრ საქონელზე, მთავრობის მიერ ბენზინის ფასების კონტროლი). ზოგიერთი საქონლის (მაგალითად, ყავის) ფასების დადგენაში კარტელებიც მონაწილეობენ. სავაჭრო მარკის მქონე საქონლის ფასებს შორის განსხვავებას ანესებენ საერთაშორისო ფირმებიც. თუ არ არსებობს თავისუფალი ვაჭრობა და შიდა თავისუფალი ბაზრები, არბიტრაჟი ფასებს შორის განსხვავებას ვერ აღმოფხვრის.